ა. ნ. კობაიძე

კომუნისტური პარტიის პროგრამა რუსეთის რევოლუციის მეოცდათერთმეტე განვითარების ლენინური ეტაპის განხორციელებისათვის

(1917 წ. მარტი-ივლისი)

ხარკოვი
1957

თ ა ვ ი I

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარება

პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა კიდევ უფრო გააუარესა რუსეთის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ისედაც დუხჭირი ცხოვრება, განსაკუთრებით გამწვავდა ეკონომიური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი მთელ მსოფლიოში. მტაცებლური ომი თანდათანობით ნთქავდა ქვეყნის მატერიალურ დოვლათს, ულმობლად ანადგურებდა ათიათასობით შრომისუნარიან ადამიანებს, ანგრევდა მეურნეობას.

მეფის მთავრობამ არმიაში გაიწვია მუშათა 40% და მოზრდილ მამაკაცთა საერთო რაოდენობის 47%. სულ 14 მილიონი კაცი იქნა მობილიზებული. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მუშახელის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. გაჩერდა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა, მნიშვნელოვნად შემცირდა ნათესი ფართობები. ყოველდღიურად იზრდებოდა სახელმწიფოს გასავალი. თუ ომის დასაწყისში სახელმწიფოს ხარჯები დღე-ღამეში 10 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1917 წელს (ყოველ 24 საათში) 66,6 მილიონ მანეთს აღწევდა. სახელმწიფოს ბიუჯეტის დეფიციტი 39%-დან 1917 წლისათვის 80%-მდე გაიზარდა. მეფის რუსეთი ხარჯების დასაფარავად მიმართავდა როგორც საშინაო, ისე საგარეო სესხებს რაც საბოლოო ანგარიშით მძიმე ტვირთად აწვებოდა მშრომელ მოსახლეობას.

ძველის რუსეთი მალე საბინელი ეკონომიური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ამან განაპირობა ეროვნული კრიზისის მომწიფება.

1917 წელი რუსეთში მუშათა კლასის მასობრივი გაფიცვებით დაიწყო. 9 იანვარს[1] მოეწყო გაფიცვები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. გაფიცვებმა ორგანიზებული ხასიათი მიიღო პეტროგრადში, მოსკოვში, ბაქოსა და სხვა სამრეწველო ქალაქებში. იანვარ-თებერვალში გაფიცვებში მონაწილეობდა 1.300 ათასზე მეტი მუშა[2]. მარტო საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საწარმოების 676 ათასი გაფიცული მუშიდან 95% პოლიტიკურ გაფიცვებში მონაწილეობდა[3]. ამავე დროს გაძლიერდა გლეხთა გამოსვლები მემამულეთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობა არმიისა და ფლოტში.

მენშევიკები და ესერები შეეცადნენ, რომ მუშათა დემონსტრაცია ჩაეტარებინათ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღეს, მისდამი სოლიდარობის ნიშნად. ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დაგმო მენშევიკებისა და ესერების ასეთი მოქმედება და მოუწოდა მუშებს მოეწყოთ მასობრივი გამოსვლები არა სათათბიროს გახსნის დღეს, არაუფრო ამ სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის გასამართლების ერთი წლისთავთან დაკავშირებით. ამ მოწოდებას მხარი დაუჭირეს ადგილობრივმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა და მიიღეს გამოსვლების კონკრეტული გეგმა, რომელიც აგრეთვე მოწონებულ და მიღებულ იქნა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის მიერ.

ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების თანახმად პეტროგრადის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით 10 თებერვალს დაიწყო საგა-

---

[1] თარიღები 1918 წლის 1(14) თებერვლამდე მოცემულია ძველი სტილით.

[2] ჟურნ. „კომუნისტი", № 4, 1957 წ., გვ. 106.

[3] „მუშათა მოძრაობა 1917 წელს", დოკუმენტების კრებული, მოსკოვი, 1926 წ., გვ. 22.

ფიცვო მოძრაობა, რომელმაც 13 — 14 თებერვალს ეროვნული ხასიათი მიიღო.

ბოლშევიკების მოწოდების თანახმად დედაქალაქის მუშებმა 23 თებერვალს ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მოაწყეს დემონსტრაცია, რომელშიც 100 ათასამდე მუშა მონაწილეობდა. ამ დემონსტრაციამ საყოველთაო პოლიტიკური ხასიათი მიიღო. გაფიცულთა რიცხვმა შემდგომ დღეებში ნახევარ მილიონს მიაღწია.

24 თებერვალს ცკ-ის ბიურომ ადგილობრივ ორგანიზაციებს მოუწოდა კიდევ უფრო განეფითარებინათ საყოველთაო სახალხო რევოლუციური მოძრაობა და განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ რევოლუციურ მოძრაობაში ჯარისკაცების აქტიურად ჩაბმისათვის. 25 თებერვალს ბიურომ განიხილა მიმდინარე მომენტის საკითხები და მიიღო დადგენილება გამოეცათ მოწოდება ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აშკარად დაწყების შესახებ.

25 თებერვალს გამოვიდა პეტერბურგის კომიტეტის მგზნებარე რევოლუციური მოწოდება რუსეთის პროლეტარიატისადმი, რომელიც მთავრდებოდა ლოზუნგებით: „ძირს მეფის მთავრობა!“, „გაუმარჯოს სრულიად რუსეთის საყოველთაო გაფიცვას!“, „ძირს ომი!“.

რუსეთის პროლეტარიატი აღფრთოვანებული შეეგება ბოლშევიკების მგზნებარე მოწოდებას. მასობრივმა რევოლუციურმა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო.

მეფის მთავრობა გააფთრებული იბრძოდა კარს მომდგარი რევოლუციის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ მას ვერ უშველა ვერც დემონსტრაციის დახვრეტამ ზნამენსკის მოედანზე, ვერც მეფის მკაცრმა ბრძანებამ გენერალიტეტისადმი — შეეწყვიტათ „უწესობანი პეტერბურგში!“, ვერც პეტერბურგის კომიტეტის დაპატიმრებამ, რაც მეფის ოხრანკამ მოახერხა 26 თებერვალს. ცარიზმის რეპრესიებს მუშათა კლასმა უფრო მძლავრი რევოლუციური გამოსვლებით უპასუხა. მუშათა კლასის მხარეზე გადასვლა დაიწყეს ჯარის ნაწილებმა, რევოლუციონერი მუშა ქალები და ჯარისკაცები ერთმანეთს დაჟმად ეფიცებოდნენ, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ერთად

გამოდიოდნენ. ამ მოვლენამ საბოლოოდ განსაზღვრა ცარიზმის დამხობის აუცილებლობა.

რევოლუციური სიტუაცია საკმაოდ მომწიფდა: შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც ცარიზმი უკვე უძლური იყო ძველებურად ემართა ქვეყანა და თავი გაერთმია საკარეო და საშინაო რთული ვითარებისათვის.

ჩაგრულ კლასებს აღარ შეეძლოთ ძველებურად ცხოვრება და მოთმინება; ომი, შიმშილი, უუფლებობა, განუსახღვრელი ტანჯვა-წვალება, დამცირება უბიძგებდა მათ გაბატონებული კლასების წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსეთის ბურჟუაზიამ სცადა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ეს ვითარება, სურდა დიდი ხნით ადრე მოპოვებული ეკონომიური ბატონობა განემტკიცებინა ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის სადავეების ხელში ჩაგდებით, მხოლოდ ისე, რომ ძირფესვიანად არ ამოეგდო ცარიზმი. ამიტომ მან ყოველგვარი ზომები მიიღო, რათა თავიდან აეცილებინა კარზე მომდგარი სახალხო რევოლუცია და სასახლის ფარგლებში „პატარა გადატრიალებით“ დიდი საქმე მოეგო.

ხედავდნენ რა ცარიზმის დაუძლურებას, ინგლის-საფრანგეთის და ამერიკის იმპერიალისტები სავსებით უჭერდნენ მხარს რუსეთის მსხვილ კაპიტალისტებს, ყოველმხრივ აქეზებდნენ მათ ხელში ჩაეგდოთ სახელმწიფო ძალაუფლება, ცეცხლითა და მახვილით ჩაეხშოთ დაწყებული სახალხო რევოლუციური მოძრაობა და გაეგრძელებიათ იმპერიალისტური ომი „საბოლოო გამარჯვებამდე“.

რევოლუციური სიტუაციის მომწიფების პირობებში, 1917 წლის თებერვლის მეორენახევარში, მეტად თავისებური ფორმით „შეერთდნენ“ რუსეთის სხვადასხვა კლასების პრინციპულად ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური მისწრაფებანი: ერთი მხრივ, რუსეთის მსხვილი ბურჟუაზიისა, რომელსაც სურდა თავისი პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცება სახელმწიფო მმართველობის ხელში ჩაგდებით; მეორე მხრივ, რუსეთის მრავალტანჯული პროლეტარიატისა და გლეხობის მასობრივი სახალხო-რევოლუციური მოძრაობა ცარიზმის წინააღმდეგ პურის, ზავისა და თავისუფლებისათ-

ვის. ცარიზმზე ამ ძალების სხვადასხვა მხრიდან თავდასხმამ გამოიწვია არა მარტო „პატარა გადატრიალება“ ომის საბოლოო გამარჯვებისათვის (როგორც ამას იმპერიალისტები ვარაუდობდნენ), არამედ მძლავრი სახალხო რევოლუცია, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა მონარქიული წყობილების ბედი რუსეთში.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, რომლის დამწყები და წამყვანი ძალა რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა იყო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რამდენიმე დღის განმავლობაში დაამხო რომანოვების დინასტიის ხანგრძლივი ბატონობა. რევოლუცია მოახდინა პროლეტარიატმა, მან გამოიჩინა გმირობა, იგი ღერიდან სისხლს, მან გაიყოლია თან მშრომელი და უღარიბესი მოსახლეობის უფართოესი მასები. სწორედ პროლეტარიატის ჰეგემონიამ განაპირობა რევოლუციის წარმატება.

თებერვლის რევოლუციის გამარჯვებამ დღის წესრიგში დააყენა ახალი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნის საკითხი.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ანტაგონისტურ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლა ყოველთვის მიემართება ერთი ძირითადი მიზნისაკენ — სახელმწიფო პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვებისაკენ. ამიტომ ყოველი რევოლუციის უმთავრესი საკითხია, მიგვითითებს ვ. ი. ლენინი, სახელმწიფო ძალაუფლების საკითხი; ყოველი რევოლუციის ძირითად ნიშანს წარმოადგენს სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა ერთი კლასის ხელიდან მეორე კლასის ხელში, ამრიგად, ძალაუფლების საკითხი ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს განსაზღვრავს რევოლუციის განვითარებაში, მის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე რუსეთში სახელმწიფო ძალაუფლება ხელში ეპყრო მემამულეებსა და თავადაზნაურობას, რომელთაც სათავეში ედგა რომანოვების დინასტია. 1905 — 1907 წლების რევოლუციას არ შეუტანია ძირეული ცვლილება რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების სოციალურ წყობაში. ამ რევოლუციამ „თვითმპყრობელობა მხოლოდ მოსტეხა“ მაგრამ არ მოუსპია. რევოლუციის შემდეგ ცარიზმი კვლავ ხელისუფლე-

ბის სათავეში დაიჭა, ვიბაიდან იგი საოგეპლობდა ძემაძულე
თა მხარდაჭერით; ბურჟუაზია ოქტიაბრისტებისა და კადეტე
ბის ბლოკის სახით „ოპოზიციაში" ედგა მის „უდიდებულე-
სობას". თებერვლის რევოლუციამდე რუსეთის ბურჟუაზია
გამოდიოდა მონარქიის მსახურის როლში. მუშათა კლასი
და მრავალმილიონიანი წვრილი ბურჟუაზია სრულიად მო-
წყვეტილი იყო სახელმწიფო ხელისუფლებისაგან და სახელმ
წიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობისაგან, მათ შეუბრა
ლებლად ტანჯავდნენ, ძარცვავდნენ, და ექსპლოატაციას
უწევდნენ. მუშათა კლასი და მთელი მშრომელი მოსახლეო-
ბა დუხჭირ ცხოვრებას ეწეოდა.

რუსეთის ბურჟუაზია დიდი ხანია ხელისუფლებისაკენ ის
წრაფოდა. პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუ-
ციის შემდეგ ბან შექმნა თავისი პოლიტიკური პარტიები.
სახელმწიფო (I, II, III. IV) სათათბიროებში ბურჟუაზია
თანდათან სწავლობდა სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას.
იმპერიალისტური ომის წლებში ბურჟუაზიამ უფრო მეტად
გაამაგრა თავისი ეკონომიური პოზიციები და უფრო დაუახ-
ლოვდა სასელმწიფო ხელისუფლებას; შექმნა ეკონომიური
კავშირები, რომლებიც აერთიანებდნენ ქალაქისა და სოფლის
ბურჟუაზიას: ქალაქების კავშირი, ერობათა კავშირი, სამხედ-
რო-სამრეწველო ცენტრალური კომიტეტი და სხვ. IV სახელ
მწიფო სათათბიროში ბურჟუაზიული პარტიები გაერთიანდნენ,
ე. წ. „პროგრესულ ბლოკში", რომელსაც სათავეში ედგნენ
მსხვილი კაპიტალისტები: როძიანკო, გუჩკოვი, მილიუკოვი,
შულგინი. მათ ჯერ კიდევ 1915 წელს სახელმწიფო სათათბი-
როს სახელით წამოაყენეს ეგრეთწოდებული ფართო ნდობის
მქონე მთავრობა. რომლის მრავალი წევრი შემდეგ შევიდა
დროებითი მთავრობის პირველ შემადგენლობაში.

მარქსიზმ-ლენინიზმი მოითხოვს კლასობრივ ძალთა თანა-
ფარდობის ღრმა მეცნიერულ ანალიზს და იმ საკითხის ახს
ნას, თუ რომელი კლასები უნდა ჩაუდგნენ სახელმწიფო
ხელისუფლებას სათავეში რევოლუციის შემდეგ და რომელმა
კლასმა უნდა აიღოს ბომავალში სახელმწიფო ძალაუფლება

თებერვლის რევოლუციამ რუსეთში სერიოზულად შეცვალა კლასობრივ ძალთა თანაფარდობა. პოლიტიკურ სარბიელზე გამოვიდა ძირითადად სამი სოციალური ძალა, რომელთაგან თითოეულს გააჩნდა თავისი დამოუკიდებელი მიზანი ესენი იყვნენ: მონარქიული წყობილების ნაშთები, ბურჟუაზია, პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა. ეს სამი სოციალური ძალა შეადგენდა სამ პოლიტიკურ ბანაკს.

მონარქიული წყობილება დამხობილი იყო, მაგრამ მისი ნაშთები ბოლომდე დაძლეული არ იყო. თებერვლის რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეებში ისინი შეინიღბნენ და საიდუმლოდ დაიწყეს მზადება ცარიზმის აღსადგენად. ცარიზმის წყობილების ნაშთებს პირველ რიგში ეკუთვნოდნენ მემამულეები, რომლებმაც რევოლუციის შემდეგ შეინარჩუნეს მიწათმფლობელობის ძველი წესი, რაც მათს ეკონომიურ სიძლიერეს შეადგენდა. მემამულეების მსხვილი მიწათმფლობელობა წარმოადგენდა მათი ხელისუფლების მატერიალურ დასაყრდენ ბაზას და მონარქიის აღდგენის შესაძლებლობის საწინდარს. ამიტომ ისინი ენერგიულად იბრძოდნენ ძველი რეჟიმის აღდგენისა და თავიანთი წოდებრივი პრივილეგიების შენარჩუნებისათვის.

ცარიზმის რეჟიმის აღდგენით სისხლ-ხორცეულად იყვნენ დაინტერესებული სახელმწიფოს მსხვილი მობელეები, ეკლესიის მსახურნი, ჟანდარმერია-პოლიციის კორპუსი—ცარიზმის უერთგულესი დარაჯი.

რევოლუციის შემდეგ შენარჩუნებულ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში ბევრნი იყვნენ მონარქისტული წყობილების აშკარა და ფარული მომხრეები. ისინი რევოლუციის შემდეგ ხალხის ზურგს უკან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ნიკოლოზ II, რათა სამეფო ტახტი გადაეცათ პირველად მისი შვილის ალექსისათვის. ხოლო შემდეგ მეფის ძმის მიხეილისათვის.

მსხვილი ბურჟუაზია მომხრე იყო აღდგენილიყო მონარქია, რომელიც შეზღუდული იქნებოდა პარლამენტითა და კუდმოკვეცილი კონსტიტუციით. გამოხატავდა რა ბურჟუაზიის ინტერესებს. დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 6 მარტის

დეკლარაციაში მონარქიის საკითხს დუმილით აუარა გვერდი, როდესაც რევოლუციონერმა მუშებმა და ჯარისკაცებმა ჩაშალეს მონარქიის მომხრეთა და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის გეგმები — აღედგინათ რუსეთში მონარქიული წყობილება, მაშინ ძველი რეჟიმის დამცველებმა დაიწყეს მუშაობა რომანოვების დინასტიის გადასარჩენად.

მონარქისტებისა და ბურჟუაზიის გეგმები თავის დროზე ბოლომდე ამხილეს ბოლშევიკებმა; გაზეთ „პრავდაში" დაიბეჭდა სტატია, რომელშიაც გარკვეულად მიუთითებდნენ, რომ მონარქისტულმა ძალებმა იარაღი კი არ დაყარეს, არამედ დამალეს და უცდიან მარჯვე, ხელსაყრელ მომენტს, რათა თავს დაესხან თავისუფალ რუსეთს[1]. ბოლშევიკურმა პარტიამ დროზე გამოიცნო მათი ვერაგული გეგმები.

მონარქიული წყობილების შესაძლებელი აღდგენის საფრთხესთან დაკავშირებით, ბოლშევიკური პარტია შეუნელებლად ამახვილებდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ყურადღებას, ზრდიდა მათში რევოლუციურ სიფხიზლეს, მოუწოდებდა მზადყოფნისაკენ, რათა დაეცვათ რევოლუციის მონაპოვარი, წინააღმდეგობა გაეწიათ ცარიზმის რეაქციისათვის და ბოლომდე გაენადგურებინათ იგი.

რაც უფრო ფართოდ ვითარდებოდა რევოლუცია რუსეთში და რაც უფრო ღრმად იჭრებოდა იგი ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ ურთიერთობაში, რეაქციული ძალები მით უფრო ამეღავნებდნენ თავიანთ კონტრრევოლუციურ მისწრაფებებს, ეძებდნენ თავის გადარჩენის საშუალებებს, უკავშირდებოდნენ ბურჟუაზიას, რომელიც რევოლუციის შემდეგ პოლიტიკური ხელისუფლების ბატონ-პატრონი იყო. თავის მხრივ ბურჟუაზიამ თვითონ გაუწოდა დახმარების ხელი მომაკვდავ ფეოდალურ არისტოკრატიას, რათა ერთად მოეწყოთ კონტრრევოლუცია.

მეორე ბანაკი შედგებოდა ბურჟუაზიისა და გაბურჟუებული მემამულეებისაგან. მათთან ერთად მიდიოდა (თუმცა მერყეობდა) ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზია. თე-

---

[1] გაზ. „პრავდა". 1917 წლის 8 აპრილი.

ბეოვლის რევოლუციამდე ბურჟუაზიის ხელში იყო მრეწველობა და ბანკები, ვაჭრობა და ტრანსპორტი. მან უკვე დიდი ხანია მოიპოვა გადამწყვეტი გავლენა ცარიზმის ეკონომიურ პოლიტიკაზე. დადგა რა ხელისუფლების სათავეში, ბურჟუაზიამ თავისი სახელმწიფო ძალაუფლება მიმართა წარმოების საშუალებათა მსხვილი კერძო საკუთრების გაფართოებისა და განმტკიცებისაკენ. ბურჟუაზიამ კერძო საკუთრებად გამოაცხადა მიწა, ფაბრიკები და ქარხნები, ბანკები, რკინიგზები და სხვ.

მონარქიული სახელმწიფო მანქანა ბურჟუაზიამ თითქმის მთლიანად შეინარჩუნა და შეუფარდა თავის კლასობრივ ინტერესებს. ბურჟუაზიის ასეთი პოლიტიკა აშკარად გამოამჟღავნა მსხვილმა მრეწველმა, ურეაქციონერესმა რიაბუშინსკიმ, რომელიც მსხვილ ბურჟუაზიას მოუწოდებდა არ დაეშალათ, არ დაემსხვრიათ ძველი სახელმწიფო მანქანა, არამედ თანდათანობით გაეუმჯობესებინათ სახელმწიფო წყობილების ფორმა [1].

თითქმის ყველა დაწესებულებაში, დიდი იყო ის თუ პატარა, ბურჟუაზიამ დატოვა ძველი ჩინოვნიკები, მისცა მათ დიდი უფლებები. იგი გამოვიდა სახელმწიფო დაწესებულებებში, ეკონომიური იქნებოდა იგი თუ პოლიტიკური, მუშათა და მშრომელი გლეხობის წარმომადგენელთა მონაწილეობის წინააღმდეგ: ეკონომიურ საბჭოში და ცთავარ ეკონომიურ კომიტეტში. შემარიგებელ კამერებში, მთავარ სამიწათმოქმედო კომიტეტში, მიწისა და სურსათის კომიტეტებში, საქალაქო სათათბიროში. ერთი სიტყვით, ბურჟუაზიას ყველგან სურდა თავისი განუყოფელი ბატონობა. იგი ყოველგვარი ხრიკებით ცდილობდა გაეჭიანურებინა დამფუძნებელი კრების არჩევნები.

საგარეო პოლიტიკაში ბურჟუაზია გადაჭრით გამოვიდა ომის განგრძობის მომხრედ საბოლოო გამარჯვებამდე, იკის-

---

[1] Первый Всероссийский торгово-промышленный с'езд в Москве 19—20 марта 1917 г. Стенографический отчет и резолюции. Москва, 1918 г. стр. 12.

რა მოკავშირეებისადმი ეოთგულება და დიპლომატიურ საი-
დუმლოებათა დაცვა.

ბურჟუაზიის ეკონომიურ-პოლიტიკურ ინტერესებს გამო-
ხატავდნენ სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიები ოქტიაბრის-
ტები, კადეტები, პროგრესისტები. ოქტიაბრისტები გამოხა-
ტავდნენ მსხვილი სამრეწველო და საფინანსო კაპიტალის
ინტერესებს. ამ პარტიის ლიდერი იყო მრეწველი და ბინათ-
მფლობელი გუჩკოვი.

კადეტები ბურჟუაზიისა და გაბურჟუებული მემამულეების
ინტერესებს გამოხატავდნენ. კადეტების რიგებში ბევრი იყო
ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან. ხალხში რომ უფრო პო-
პულარული ყოფილიყვნენ, კადეტებმა 1917 წელს გამოიცვა-
ლეს სახელი და თავიანთ თავს უწოდეს „ხალხის თავისუფლე-
ბის" პარტია. მაგრამ მათი პოლიტიკისა და საქმის მიხედვით
ლენინი კადეტებს უწოდებდა „ხალხის თავისუფლების მოღა-
ლატე პარტიას". კადეტების ლიდერები იყვნენ მილიუკოვი,
მანუილოვი, შინგარიოვი და სხვ. კადეტებთან თავიანთი შე-
ხედულებებით ყველაზე ახლოს იდგნენ პროგრესისტები.
რომელიაც ლენინმა უწოდა „მემარცხენე კადეტები".

ბურჟუაზიულ პარტიებს შორის კადეტების პარტია ყვე-
ლაზე მთავარი და წამყვანი პარტია იყო. რუსეთის ბურჟუა-
ზიის პოლიტიკურ შტაბში ისინი ბატონობდნენ და მათ გარ-
შემო იყრიდნენ თავს რუსეთის ყველაზე რეაქციული ძალები.
შავრაზმულმა ორგანიზაციებმა თავიანთთვის ხელსაყრელი
თავშესაფარი პოვეს კადეტების პარტიის რიგებში. ყველა
პოლიტიკურ კამპანიაში შავრაზმელები მიდიოდნენ კადეტე
ბის დროშით.

ყოველივე ზემოთქმულიდან ვივდივართ იმ დასკვნამდე,
რომ მონარქიული წყობილების ელემენტებსა და ბურჟუაზი
ის ბანაკს შორის არ იყო მტრული და შეურიგებელი წინააღ-
მდეგობა, ხოლო უთანხმოება, გამოწვეული მომენტის კო-
ნიუნქტურისა და იმპერიალისტური ომის გამო, მონარქის-
ტებსა და ბურჟუაზიის ბანაკს შორის მაინცდამაინც ღრმა
არ იყო. რევოლუციის განვითარების წინააღმდეგ ბრძოლაში

საკუთრებით ეროვნეოოეს დაემთხვა მონარქისტებისა. ოქტიაბ
რისტებისა და კადეტების კლასობრივი ინტერესები.

რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის ბურჟუა
ზიას ყოველმხრივ უწევდნენ დახმარებას ამერიკის, ინგლისის
და საფრანგეთის იმპერიალისტები, რომლებიც დაინტერესე-
ბული იყვნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ შეენარჩუნებინათ
რუსეთში ბურჟუაზიული წყობილება. ინგლის საფრანგეთის
მრეწველებს და ბანკირებს სურდათ რუსეთის სათავეში ყო-
ფილიყვნენ კადეტები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ
იმპერიალისტური ომის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანით.
კადეტები თავიანთი პოლიტიკით უცხოელ იმპერიალისტებს
ეხმარებოდნენ, რუსეთს ტოვებდნენ უცხოეთის ნედლეულისა
და გასაღების ბაზად.

იმის შიშით, რომ რუსეთის რევოლუცია შემდგომ არ
განვითარებულიყო და არ მოეხდინა თავისი გავლენა სხვა ქვეყ-
ნების მშრომელ მასებზე, ყველა ქვეყნის იმპერიალისტებმა
პრესაში, რადიოთი და სხვ., ცილისმწამებლური კამპანია
გააჩაღეს ბოლშევიკური პარტიისა და მუშათა და ჯარისკაც-
თა დეპუტატების საბჭოების მიმართ. ისინი ყოველნაირად
ცდილობდნენ რუსეთის რევოლუციის შესახებ სიმართლე არ
გაეგოთ მათი ქვეყნის მშრომელებს.

რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის ბურჟუა-
ზიას დიდ დახმარებას უწევდნენ ესერები. მენშევიკები და
„სახალხო სოციალისტები", რომელთა დასაყრდენ სოციალურ
ბაზას წარმოადგენდა კულაკობა, მემამულეთა ნაშთები და,
ერთი სიტყვით, ყველა ისინი, ვინც უტიფარ ექსპლოატაციას
უწევდა სოფლის ჩაგრულ გლეხობას. კადეტების კონტრრევო-
ლუციური პოლიტიკა, მენშევიკებისა და ესერების გამცემ-
ლური მოქმედება დაფუძნებული იყო წვრილი და მსხვილი
ბურჟუაზიის ღრმა ნათესაობაზე. ესერები და მენშევიკები
თავიანთ გამცემლურ ბურჟუაზიულ პოლიტიკას ყოველთვის
ნიღბავდნენ რევოლუციური ფრაზებით. პეტროგრადის საბ-
ჭოს მენშევიკურ-ესერულმა ხელმძღვანელობამ დროებით
მთავრობასთან ხელშეკრულება დასდო მისდამი მხარდაჭერი-

სა და ბურჟუაზიასთან შეთანხმებული პოლიტიკის გატარების შესახებ. მენშევიკებმა და ესერებმა შექმნეს საკონტაქტო კომისია, რომელიც ფაქტიურად ბურჟუაზიას ემსახურებოდა ანტიხალხური პოლიტიკის განხორციელებაში. ესერებისა და მენშევიკების მხარდაჭერის გარეშე დროებით მთავრობას არ შეეძლო ხელისუფლების შენარჩუნება.

ატარებდნენ რა დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერის გამცემლურ პოლიტიკას, მენშევიკები და ესერები ხელს უშლიდნენ საბჭოების ერთხელისუფლებიანობის დამყარებას და ყოველ მხრივ აფერხებდნენ რუსეთის რევოლუციის შემდგომ განვითარებას, მათ არ სურდათ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლა.

იმისათვის, რათა მუშათა კლასი, ქალაქისა და სოფლის ნახევრად პროლეტარები მიგვეყვანა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, საჭირო იყო ესერებისა და მენშევიკების იზოლაცია, მათი ჩამოშორება მშრომელთა მასებისაგან. ამ ამოცანას მკაცრად და შეუპოვრად ახორციელებდა ბოლშევიკური პარტია. იგი იყო ორგანიზატორი, სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი პროლეტარიატისა და ნახევრად პროლეტარული ფენებისა, რომლებიც შეადგენდნენ პოლიტიკური რევოლუციის ბანაკის მთავარ სოციალურ ძალას.

ბოლშევიკების პარტია იმპერიალისტური ომის წლებში ერთადერთი პარტია იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, რომელიც ბოლომდე ერთგული დარჩა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების, მას გაბედულად მიჰყავდა წინ რუსეთის მუშათა კლასი და გლეხობა ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბოლშევიკურმა პარტიამ, შეიარაღებულმა პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიით, წინააღმდეგ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტური პარტიებისა, გაბედულად წამოაყენა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგი და პრაქტიკულად განახორციელა იგი 1917 წლის თებერვალში.

ახორციელებდნენ რა თებერვლის რევოლუციას, მუშები და გლეხები ისწრაფვოდნენ მიეღწიათ თავიანთი კლასობრი-

ვი მოთხოვნილების განხორციელებისათვის რაც გამოიხატე ბოდა შემდეგში: 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღება, მიწების კონფისკაცია და ნაციონალიზაცია და მათი გადაცემა გლეხობისათვის, ქვეყნად დემოკრატიულ თავისუფ ლებათა და ერთა შორის თანასწორუფლებიანობის დამყარე ბა, იმპერიალისტური ომის შეწყვეტა და სამართლიანი ზა- ვის დადება, ქვეყნის შიგნით სამეურნეო ნგრევისა და შიმ შილის ლიკვიდაცია.

ბოლშევიკების პარტია მუშათა კლასს, გლეხობას და ჯა- რისკაცებს მუდამ განუმარტავდა. რომ დროებითი მთავრობა ვერ დააკმაყოფილებს (და არც დააკმაყოფილებს) ხალხის ვერცერთ მოთხოვნილებას. ვ. ი. ლენინი არა ერთხელ მიუ- თითებდა, რომ მხოლოდ უსუსურებს შეუძლიათ ენდონ და იფიქრონ, რომ ბურჟუაზია ხალხს მისცემს ზავს, პურსა და თავისუფლებას. დროებითი მთავრობის მინისტრები გუჩკო- ვი, ლვოვი და მილიუკოვი, სტოლიპინის გუშინდელი მეგობ- რები, იცავდნენ მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტე- რესებს.

ბოლშევიკების პარტია ზრდიდა მუშათა კლასს, ჯარის- კაცებსა და მშრომელ გლეხობას მონარქიის ნაშთებთან შეუ- პოვარი ბრძოლის სულისკვეთებით, მენშევიკებისა და ესერე- ბისადმი უნდობლობის სულისკვეთებით.

ამრიგად, სამი სოციალური ძალის ბრძოლა განსაზღვრავ- და ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ მდგომარეობას რევოლუ ციის ერთი ეტაპიდან მის მეორე, უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლის პერიოდში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მართალია, ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სამი სოციალური ძალა განსაზღვრავდა, მაგრამ თებერვლიდან ოქტომბრამდე კლასები და პარტიები იყოფოდა ორ ძირითად შეურიგებელ ბანაკად, ატარებდ- ნენ ერთიმეორის პრინციპულად საწინააღმდეგო ორ ხაზს: რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების, ბურჟუაზიულ- დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ხაზს, რომელსაც ბოლშევიკები ატარებდნენ და კონტრრევოლუციის ხაზს, რომელსაც ბურჟუა-მემამულეები და

მონარქიის ნარჩენები ატარებდნენ. ამ უკანასკნელთა პოლიტიკურ ინტერესებს გამოხატავდნენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები, დაწყებული ოქტიაბრისტებითა და კადეტებით, დამთავრებული ესერებითა და მენშევიკებით, რომლებიც დროებითი მთავრობის ირგვლივ ერთიანდებოდნენ.

რევოლუციურ ბანაკს შეადგენდნენ მუშები, ნახევრად პროლეტარები და მშრომელი გლეხობა, რომელთაც თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბობოქარ დღეებში, ეყრდნობოდნენ რა 1905 წლის რევოლუციის გმირულ გამოცდილებას, შექმნეს მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოები — რევოლუციური ხელისუფლების ახალი ორგანოები, რომელთა მსგავსი ისტორიამ არ იცოდა.

პეტროგრადის მუშების მაგალითის მიხედვით საბჭოები ორგანიზებულ იქნა მსხვილ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში. დღის წესრიგში დადგა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გაერთიანების საკითხი, რომლებიც პირველ ხანებში ცალ-ცალკე არსებობდნენ. მენშევიკები და ესერები გამოვიდნენ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნის წინააღმდეგ, ხოლო, როდესაც მათ არაფერი გაუვიდათ, დაიწყეს ბრძოლა, რათა არ მომხდარიყო ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გაერთიანება მუშათა დეპუტატების საბჭოებთან. მათ ეშინოდათ ჯარისკაცთა მასებზე მუშათა კლასს არ მოეხდინა რევოლუციური ზეგავლენა და ამავე დროს არ გამტკიცებულიყო პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი, რაც გარდუვალად მოჰყვებოდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გაერთიანებას.

ბოლშევიკების პარტიის ცკ-ის ბიურომ მოუწოდა რევოლუციურ მუშებსა და ჯარისკაცებს აერჩიათ თავიანთი დეპუტატები პეტროგრადის საბჭოში. 1917 წლის 28 თებერვლიდან 1 მარტამდე პეტროგრადის მოედნებსა და ჯარისკაცთა ყაზარმებში ბოლშევიკები ატარებდნენ ჯარისკაცთა კრებებს და ირჩევდნენ თავიანთ დეპუტატებს საბჭოებში გასაგზავნად. ბოლშევიკების მოთხოვნით, ჯარისკაცთაგან მოსულ წარმომადგენლებს პეტროგრადის საბჭოში, წინააღმდეგ მენშევიკებისა და ესერებისა. ლებულობდნენ,

როგორც დეპუტატების ჯარის ნაწილებიდან. ბოლშევიკური პარტიის ინიციატივითა და ენერგიული მოქმედების წყალობით განხორციელდა პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოების გაერთიანება ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან. ქვეყნის ყველა ქალაქსა და სამრეწველო რაიონში ბოლშევიკებმა მიაღწიეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნასა და გაერთიანებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც, ჯერ ერთი, მუშათა კლასი რევოლუციურ ზემოქმედებას ახდენდა ჯარისკაცთა მასებზე, მეორე, დააახლოვა არმია სალსთან. მესამე, განამტკიცა მუშათა კლასის კავშირი მშრომელ გლეხობასთან.

მუშების მაგალითის მიხედვით გლეხობამ სოფლად შექმნა გლეხთა, მოჯამაგირეთა და უღარიბეს გლეხთა დეპუტატების საბჭოები.

თავისი პოლიტიკური ხასიათით საბჭოები იყო რევოლუციური ხელისუფლება, პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა. მოწინავე მუშები, რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები და გლეხობა საბჭოებს უყურებდნენ როგორც თავიანთი ხელისუფლების ორგანოებს, თავს ვალდებულად თვლიდნენ დაეცვათ საბჭოების ინტერესები. მაგრამ საბჭოებში მოკალათებული ესერები და მენშევიკები, ადგნენ რა მუშათა კლასის, ჯარისკაცთა და მშრომელი გლეხობის ინტერესების გამცემლურ პოლიტიკას, მთელი თავიანთი ძალებით ცდილობდნენ, რომ საბჭოების ორგანოები გადაექციათ ბურჟუაზიის ხელისუფალთა დასაყრდენად.

ისარგებლა რა თებერვლის რევოლუციაში მუშათა კლასისა და გლეხობის ცარიზმზე გამარჯვებით, ეყრდნობოდა რა ამავე დროს ოფიცერთა კორპუსს, კაპიტალისტური ქვეყნების ფინანსურ დახმარებას, ესერებისა და მენშევიკების მხრივ მხარდაჭერას, ბურჟუაზია ისწრაფვოდა დაეპყრო ხელისუფლება. 1917 წლის 1 — 2 მარტს (ღამით) IV სასელმწიფო სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა და პეტროგრადის საბჭოს მენშევიკურ-ესერულმა ხელმძღვანელობამ შექმნეს

დროებითი მთავრობა, რომლის პრემიერად და შინაგან საქმეთა მინისტრად აირჩიეს თავადი ლვოვი. დროებითი მთავრობა შედგა ბურჟუაზიისა და გაბურჟუებული მემამულეებისაგან.

მენშევიკები და ესერები — ჩხეიძე და სტეკლოვი, სუხანოვი და ფილიპოვსკი პეტროგრადის საბჭოს წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც ბოლშევიკებისაგან მალულად და მათი სურვილის საწინააღმდეგოდ მისცეს თანხმობა შეექმნათ ბურჟუაზიულ-მემამულური დროებითი მთავრობა.

ამრიგად, მენშევიკებმა და ესერებმა შეგნებულად, ნებაყოფლობით გადასცეს სახელმწიფო ძალაუფლება ბურჟუაზიას და იკისრეს დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერა. ეს დათმობა იყო მუშათა კლასის საქმისადმი ღალატი, აშკარად გამკემლური მოქმედება.

თებერვლის რევოლუციის ბობოქარ დღეებში ბოლშევიკები გამოვიდნენ მუშათა და გლეხთა რევოლუციური მთავრობის შექმნის სასარგებლოდ. ბოლშევიკების პარტიის ცკ-ის ბიურო თავის მანიფესტში, რომელიც 1917 წლის 27 თებერვალს გამოქვეყნდა, მუშებსა და ჯარისკაცებს მოუწოდებდა შეექმნათ დროებითი რევოლუციური მთავრობა, რომელიც შეძლებდა დაეკმაყოფილებინა მუშების, გლეხობის და ჯარისკაცების მოთხოვნები. რსდმპ (ბ) ცკ-ის მანიფესტს უდიდესი მაორგანიზებელი და მამობილიზებელი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციის მსვლელობაში.

1917 წლის მარტში ცკ-ის ბიურომ მითითება მისცა ყველა პარტიულ ორგანიზაციას ებრძოლა იმისათვის, რომ სახელმწიფო ძალაუფლება მთელ რუსეთში საბჭოების ხელში გადასულიყო.

დროებითი მთავრობის შექმნის საკითხში ბოლშევიკები გამოვიდნენ პროტესტით მენშევიკებისა და ესერების გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ. ჰყავდათ რა საბჭოების შემადგენლობის უმრავლესობა, მენშევიკებმა და ესერებმა, მიუხედავად ბოლშევიკების პროტესტისა, მიაღწიეს იმას, რომ საბჭომ მოიწონა მათი გამცემლური პოლიტიკა.

ბოლშევიკების პარტიის მოსკოვის კომიტეტმა თავის

პირველ სხდომაზე ცნო საბჭოები, როგორც რევოლუციური ხელისუფლების ერთადერთი ორგანო, მუშებსა და ჯარისკაცებს მოუწოდა ებრძოლათ საბჭოების ერთხელისუფლებიანობისათვის. ბოლშევიკების მოწოდებამ მოსკოვის მუშებში სათანადო გამოხმაურება ჰპოვა. მუშები მიტინგებზე იღებდნენ რეზოლუციებს სადაც აღნიშნული იყო: დროებითი მთავრობის გამცემლური მოქმედების გამო ჩვენ ნოვითხოვთ მის დამხობას და ძალაუფლების ერთადერთ ორგანოდ ვცნობთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. საბჭოების ერთხელისუფლებიანობისათვის ბრძოლაში ადგილებზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ივანოვო-ვოზნესენსკში, კრასნოიარსკში, კრონშტადტში და სხვ. საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლისათვის ბრძოლას ბოლშევიკები ეწეოდნენ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცების საფუძველზე.

დროებითი მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა დიდად არ განსხვავდებოდა ცარიზმის პოლიტიკისაგან. დროებითი მთავრობის 1917 წლის 6 მარტის დეკლარაცია დუმილით უკლიდა გვერდს ხალხის ძირეულ, სასიცოცხლო მოთხოვნებს, რომელთა შესრულებისათვის მუშებმა, ჯარისკაცებმა და გლეხებმა განახორციელეს რევოლუცია.

ბურჟუაზიულ-მემამულურმა მთავრობამ უარი თქვა მიეცა მუშებისათვის 8 საათიანი სამუშაო დღე, გაედიდებინა ხელფასი, რომელიც შემცირებული იყო ომის დროს. კაპიტალისტებსა და მუშებს შორის ყოველგვარ კონფლიქტში დროებითი მთავრობა მხარს უჭერდა მემამულეებსა და კაპიტალისტებს. 1917 წელს დონბასის მეშახტეებმა მოითხოვეს ხელფასის მცირეოდენი გადიდება და ამავე დროს ბრალს სდებდნენ ქვანახშირის მრეწველებს საბოტაჟში. დროებითმა მთავრობამ უარი განუცხადა მუშებს ხელფასის მომატებაზე, ამავე დროს ქვანახშირის მრეწველებს მისცა 20 მილიონი მანეთი „დანაკარგების“ დასაფარავად და ორჯერ გაადიდა ქვანახშირის ფასი.

დროებითმა მთავრობამ ძირითადად შეინარჩუნა ცარიზ-

ძის მილიტარისტული ორგანოები თავიანთი საგანგებო უფლებებით — თავდაცვის საქმისათვის განკუთვნილი თათბირები სურსათზე, სათბობზე, ტრანსპორტზე და სხვ. ეს ორგანოები თავიანთი მოქმედებით აძლიერებდნენ სახალხო მეურნეობის რღვევასა და მოშლილობას.

ბურჟუაზიის ერთგული მსახურები — ესერები და მენშევიკები ეხმარებოდნენ მეფაბრიკეებსა და მექარხნეებს მუშების მოტყუებაში. მაგალითად, 18 მარტს პეტროგრადის საბჭოს მენშევიკურ-ესერულმა ხელმძღვანელობამ საბჭოს განსაკილველად დააყენა საკითხი ფაბრიკა-ქარხნებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მენშევიკი ბოგდანოვი თავის მოხსენებაში ცილს სწამებდა მუშებს, თითქოს ისინი ცუდად მუშაობენ და ბევრს მოითხოვენო. მენშევიკებმა და ესერებმა მიღებული რეზოლუციით მუშებს მოუწოდეს უარი ეთქვათ მოთხოვნებზე ხელფასის მომატების შესახებ, თავიდან აეცდინათ კონფლიქტები, გაფიცვები, ბუნტები და ნაყოფიერად ემუშავათ ქვეყნის თავდაცვისათვის. ასეთი მოწოდება იყო მუშებისადმი ღალატი და იმპერიალიზმის აშკარა სამსახური.

გლეხები და ჯარისკაცები ელოდნენ, რომ თებერვლის რევოლუცია მათ სასარგებლოდ გადაჭრიდა აგრარულ საკითხს. მაგრამ დროებითმა მთავრობამ ცარიზმის მაგალითისამებრ დაიცვა მემამულეთა ინტერესები (ამაშიც არ დააკლეს თავიანთი დახმარების ხელი ესერებმა და მენშევიკებმა). როდესაც კურსკის, ყაზანის, მოსკოვის, რიაზანის და სხვა გუბერნიების გლეხებმა დაიწყეს მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება, 1917 წლის 17 მარტს პრემიერ-მინისტრმა თავადმა ლვოვმა გლეხებს მიმართა მოწოდებით—ძალით ნუ ჩაიგდებთ ხელში მემამულეთა მიწებს, უნდა დაუცადოთ დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებასო. დროებითმა მთავრობამ გამოსცა კანონი „ნათესების დაცვის შესახებ", რომლითაც მემამულეებს მიწებზე ხელშეუხებლობის გარანტია ეძლეოდათ, ხოლო ტელეგრაფით დაგზავნილ ცირკულარში გუბერნიის კომისრებს ავალებდნენ აეკრძალათ გლეხებისათვის მიწის თვითნებური მოხვნა, ტყის გაჭრა, საქონლის გარეკვა, მიჯნის ამსახველი ნიშნების განადგურება და სხვ.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ დროებითი მთავრობა აგრარულ საკითხში მემამულეების მხარეზე იდგა და მთელი ძალით იცავდა მათ ინტერესებს, ხოლო გლეხებს კი ატყუებდა.

ექსპლოატირებული გლეხობის სოციალ-პოლიტიკური ინტერესების ერთადერთი და თანმიმდევრული დამცველი იყო ბოლშევიკების პარტია, რომელიც მოუწოდებდა გლეხებს ებრძოლათ მიწების მემამულური, სამონასტრო-საეკლესიო და სხვა ჯურის საკუთრების წინააღმდეგ, მოეპოდინათ მიწების კონფისკაცია და მისი ნაციონალიზაცია. ბოლშევიკური აგიტაციის ზეგავლენით გლეხები მართლაც აყენებდნენ ასეთ მოთხოვნებს.

1917 წლის მარტ-აპრილში ჩატარდა გლეხთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები პეტროგრადის, მოსკოვის, ვლადიმირის, პერმის, ვორონეჟის, ტამბოვის, საპარის, სარატოვის, ვიატკისა და პენზის გუბერნიებში. ყველა საგუბერნიო ყრილობაზე გლეხები მოითხოვდნენ მიწის კერძო მფლობელობის გაუქმებას, მიწების კონფისკაციას, მიწის ყველა სიმდიდრეს ხალხის საკუთრებად აცხადებდნენ, კრძალავდნენ მიწის ყიდვა-გაყიდვას და სხვ. მოსკოვის გუბერნიის გლეხთა დეპუტატების საბჭოს ყრილობაზე 1917 წლის 29 აპრილს მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიაც მიწის შესახებ ნათქვამია: რუსეთის რესპუბლიკის ფარგლებში მიწის კერძო საკუთრება სამუდამოდ უქმდება, მიწა თავისი წყლებით, მდელოებით და სიმდიდრით ცხადდება ხალხის საერთო კუთვნილებად [1].

სასურსათო პრობლემა იმპერიალისტურმა ომმა უაღრესად გაამწვავა, იგი გადაუჭრელ ამოცანად იქცა როგორც ცარიზმისათვის, აგრეთვე დროებითი მთავრობისათვის. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მართალია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასურსათო საქმის ორგანიზაციას, მაგ-

---

[1] „Советы крестьянских депутатов и другие крестянские организации", т. 1, ч. 1 (март—октябрь 1917 г.) стр. 54, Изд. Комакадемии, М. 1929 г.

რამ ამით საქმე მაინც წინ არ წასულა. 27 თებერვალს დაარსდა სასურსათო კომისიები მუშათა დეპუტატების საბჭოსთან და აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტთან. 9 მარტს დროებითი მთავრობის მიწათმოქმედების სამინისტროსთან შეიქმნა საერთო სახელმწიფო სასურსათო კომიტეტი. როდესაც მიწათმოქმედების მინისტრს მოახსენეს სასურსათო მდგომარეობის შესახებ, გამოირკვა, რომ დიდ ქალაქებში და აგრეთვე ფრონტზე სურსათის დიდი ნაკლებობა იყო. ფრონტის ზოგიერთ უბანს დღენახევრის მარაგი ჰქონდა, ხოლო ზოგიერთ ქალაქში მარაგი სრულიად არ იყო.

ომის დროს ხორბლეულის აღება 40 პროცენტამდე შემცირდა, ეს იმ დროს, როდესაც პურის დანახარჯები კიდევ უფრო გაიზარდა. მარტო 12 მილიონიან არმიას, რომელიც ბრძოლის ველზე იყო, ყოველწლიურად დიდძალი სურსათ-სანოვაგე უნდოდა, ამავე დროს მოკავშირეები ასეულ მილიონობით ფუთ პურს მოითხოვდნენ. სასურსათო საკითხში განსაკუთრებულმა თათბირმა, რომელიც მეფის მთავრობამ ჩაატარა 1915 წლის აგვისტოში 1916—1917 წლებისათვის ქვეყნის მოთხოვნილება პურზე განსაზღვრა 1,1 მილიარდი ფუთით. 1916 წლის დეკემბერში რუსეთის 21 გუბერნიაში შემოღებულ იქნა გლეხობის მიერ პურის სავალდებულო ჩაბარება, მათ გაჭირვებას არავინ უყურებდა. ერთი სეზონის განმავლობაში მოხერხდა 540 მილიონი ფუთი პურის შეგროვება, რაც მარტო ჯარსაც ვერ შეინახავდა, არამც თუ ქალაქის და სოფლის დამშეულ მოსახლეობას. ამიტომ იყო, რომ 1916—1917 წლის ზამთარში სურსათის უდიდესი ნაკლებობა იგრძნობოდა, როგორც ჯარის ნაწილებში ასევე ქალაქებსა და სოფლებშიც. დროებითი მთავრობის მინისტრი შინგარიოვი ამბობდა: მარტის დასაწყისში იყო დღეები, როდესაც პეტროგრადსა და მოსკოვში დარჩა მხოლოდ რამდენიმე დღის საკმაო პური

და იყო ფრონტის ისეთი უბნები, სადაც არმიას მხოლოდ ნახევარი დღის სურსათი გააჩნდა[1].

ასეთ პირობებსა და ვითარებაში დროებითმა მთავრობამ მემამულე-ბურჟუების ორგანიზაციებიდან შექმნა საერთო სახელმწიფოებრივი სასურსათო კომიტეტი მიწათმოქმედების მინისტრის თავმჯდომარეობით და გუბერნიებში თავისი რწმუნებულებით. ქვეყნის მოთხოვნილება პურზე კომიტეტმა განსაზღვრა 1917—1918 წლებისათვის 1,2 მილიარდი ფუთით.

სასურსათო კომიტეტის უპირველესი ამოცანა იყო გამოემუშავებინა კანონ-პროექტი პურის სახელმწიფო მონოპოლიის შესახებ. 1917 წლის 25 მარტს დროებითმა მთავრობამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვით პურის მთელ მარაგზე (რომელიც სახელმწიფოს მიერ აღრიცხული იქნებოდა) დაწესდებოდა სახელმწიფო მონოპოლია. აღრიცხვა მიმდინარეობდა იმ მონაცემების მიხედვით, რომ პურის ზედმეტი მარაგი, აგრეთვე სხვა საქონელი უნდა ჩაბარებოდა სასურსათო ორგანოებს გარკვეულ დროში და ამავე დროს დადგენილ მტკიცე ფასებში.

პურის მონოპოლიის შემოღებამ გამოიწვია მრავალრიცხოვანი ადგილობრივი აპარატის შექმნა: ინსპექტორები, ინსტრუქტორები, აგიტატორები და სხვ., რომელთაც გლეხებში ახსნა-განმარტება უნდა გაეწიათ პურზე სახელმწიფო მონოპოლიის აუცილებლობის შესახებ. მაგრამ ამ ღონისძიების გატარება დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. მოშლილი იყო ტრანსპორტი, დანგრეული იყო გზები. გარდა ამისა მპურის სახელმწიფო მონოპოლიამ გამოიწვია კულაკ პურის-ფლობელთა გამძვინვარებული წინააღმდეგობა. პურზე დადგენილი ფასები მნიშვნელოვნად დაბალი იყო ბაზრის ფასებთან შედარებით. ამავე დროს სრულიად არ იყო გათვალისწინებული ზოგიერთი გუბერნიების თავისებურებანი. ამ გარემოებას ემატებოდა ის, რომ დროებითი მთავრობა გადამჭრელ ზომებს არ ღებულობდა პურის მფლობელთა მიმართ.

---

[1] Всероссийский с'езд уполномоченных председателя общегосударственного Продовольственного Комитета в г. Петрограде 5—9 мая 1917 г. Пет. 1917 г. стр. 35

მართალია, რუსეთში შნიშვნელოვანად შემცირდა ნათესი ფართობები, მაგრამ ეს მაინც არ ყოფილა სასურსათო გაჭირვების მთავარი მიზეზი. მარცვლეულის ნაკლებობა ისე არ ამწვავებდა საქმეს, როგორც მარცვლეულის მფლობელთა წინააღმდეგობა. მეშამულეები, კულაკები არავის არ აძლევდნენ მარცვლეულს.

იმპერიალისტური ომის დროს გერმანიის ბიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოდიოდა ნათეს ფართობთა 8,7 პროცენტი. 1917 წლისათვის ნათესი ფართობები შემცირდა თითქმის 5,5 მილიონი დესეტინით ანუ 6,7 პროცენტით. 1916—1917 წლებში პურის მოსავალი ომამდელი პერიოდის მხოლოდ 71—72 პროცენტს აღწევდა. პურის მარაგის დიდი ნაწილი კულაკების, სპეკულანტების ხელთ იყო და უცდიდნენ ფასების კიდევ გადიდებას, არ სურდათ მისი მტკიცე ფასებში გაყიდვა.

სასურსათო კრიზისის თავიდან აცილების მიზნით დროებითმა მთავრობამ შექმნა სურსათის სამინისტრო, მაგრამ ამ სამინისტრომ ვერაფერი გააწყო. სურსათის სამინისტროს ევალებოდა ხალხის მომარაგება ფართო მოხმარების საგნებით, მაგრამ, რასაც სოფლად კულაკები და პურის ბელღლების ნეპატრონეები აკეთებდნენ, ასეთსავე საქმეს ეწეოდნენ კაპიტალისტები და ვაჭრები, რომელთაც ქსოვილები და სხვა პირველ მოთხოვნილების საქონელი საწყობებში გამოკეტეს. სურსათით მომარაგების ჩაშლას კიდევ უფრო აძლიერებდა რკინიგზის ტრანსპორტის მოშლა.

დროებით მთავრობას არ შეეძლო გამოესწორებინა ტრანსპორტის მოშლილობა. პეტერბურგში, თუ 1914 წელს 65 მილიონი ფუთი პური შეჰქონდათ, 1917 წელს შემცირდა 28,6 მილიონ ფუთამდე; მოსკოვის გუბერნიაში ამავე პერიოდში პურის შეზიდვა შემცირდა 64 მილიონი ფუთიდან 40 მილიონ ფუთამდე. სურსათის საქმე კატასტროფულ მდგომარეობაში იყო. თანდათან კლებულობდა პურის დამზადება. 1917 წლის გაზაფხულზე პურის დამზადების თვიური გეგმა 16,9 პროცენტით შესრულდა. დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 2 აგვისტოს გაზარდა შესასყიდი პურის ღირებულება. მაგრამ

1917 წლის სექტემბერში პურის შესყიდვის გეგმა მხოლოდ 31,8 პროცენტით შესრულდა. მთავრობის მიერ პურზე ფასების აწევა დროებითი ღონისძიება იყო. კულაკებმა და სხვა პურისმფლობელებმა კვლავ მოუჭირეს ხელი პურის გაყიდვას, მოელოდნენ, რომ პურის ფასი კიდევ აიწევდა. ფასების აწევამ სურსათზე, პურზე კიდევ უფრო გააუარესა მუშათა კლასისა და გლეხობის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა.

რევოლუციური მუშებისა და ჯარისკაცების ზეგავლენით დროებითი მთავრობა იძულებული გახდა 1917 წლის 30 მარტს მიეღო კანონი „პურის გაყიდვის უფლების სახელმწიფო განკარგულებაში გადაცემის შესახებ“, მაგრამ პურით ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება სასარგებლო როდი იყო მემამულეებისა, ბირჟაზე მოვაჭრეებისა და მრეწველებისათვის. ისინი ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ პურის სახელმწიფო ვაჭრობისა და პურზე მტკიცე ფასების შემოღების წინააღმდეგ.

დროებითი მთავრობა მეფის ხელშეკრულებათა მიხედვით, რუსეთისა და უცხოეთის იმპერიალისტების ინტერესების გათვალისწინებით განაგრძობდა მტაცებლურ ომს. რომელიც უმძიმეს ტვირთად აწვებოდა მშრომელ ძასებს. როგორც ცარიზმის ასევე დროებითი მთავრობის დროს ომის ხარჯები მთლიანად მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას აწვებოდა. გაადიდეს მატარებლით მგზავრობის ფასი 50 პროცენტით, ტრამვაით მგზავრობისა — 80 პროცენტით, გადიდდა კომუნალური გადასახადი, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები ფართო მოთხოვნილების საგხებზე. საკვებ პროდუქტებზე ფასები 8-ჯერ გაიზარდა. ხელფასი, მართალია 51 პროცენტამდე გაადიდეს, მაგრამ ფართო მოხმარების საგნების ფასები 11,7-ჯერ გაიზარდა. ცხადია ხელფასის მომატება სრულიადაც არ შეიმჩნევა იმ დროს როდესაც ფართო მოხმარების საგნებზე ფასები იზრდება თითქმის თორმეტჯერ.

მუშათა კლასი და გლეხობა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ისინი სულ უფრო და უფრო ღატაკდებოდნენ. სამაგიეროდ ყოველმხრივ ნდიდრდებოდნენ მრეწველები, ბანკირები და მათი აგენტები. გაზეთ პრავდაში 1917 წლის 30 აპრილს გამოქვეყნდა სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მეტუ-

ველებენ, რომ ომის ორნახევარი წლის განმავლობაში პირველი და მესამე ჯგუფის ქარხნებში კაპიტალისტთა მოგება გაიზარდა 200-დან 500 პროცენტამდე, ხოლო მეორე და მეოთხე ჯგუფის ქარხნებში—130—180 პროცენტით[1].

მეფაბრიკე-მექარხნეებს მოგებაში არც ბანკირები ჩამორჩებოდნენ. მაგალითად, 1917 წლის 24 ივნისს გაზეთ „სოციალ-დემოკრატში" გამოქვეყნდა სპეციალური ცხრილი მოსკოვის ბანკის მონაცემებით. ამ მონაცემების ანალიზი ააშკარავებს, რომ ბანკების „სუფთა" მოგება გაიზარდა ორჯერ, ზოგიერთისა — 3,5-ჯერ. პეტროგრადის საერთაშორისო კომერციული ბანკის ძირითად კაპიტალზე 60 მილიონ მანეთზე 1914—1916 წწ. სუფთა მოგება გაიზარდა 3,5-ჯერ[2].

ღებულობდნენ რა უდიდეს მოგებას 300 — 400 პროცენტობით, კაპიტალისტები და მათი მთავრობა ომის ხარჯებს მაინც მუშათა კლასსა და გლეხობას აწერდნენ.

ბოლშევიკები მუშებსა, ჯარისკაცებსა და გლეხებს უხსნიდნენ ცხოვრების თითოეულ მოვლენას, აცნობდნენ ფაქტიურ მონაცემებს, პრესაში აქვეყნებდნენ მასალებს იმის შესახებ, თუ როგორ მდიდრდებოდნენ ერთი მუჭა კაპიტალისტები და შემამულეები, თუ როგორ ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ქვეყანას ყაჩაღური, მტაცებლური სისხლისმღვრელი ომის განგრძობით. ამით პარტია ეხმარებოდა მუშათა და გლეხთა კლასებს, სწორად გაეგოთ, ვინ იყო მათი ინტერესების გამომხატველი, მათი მოსარჩლე და იდეური ბელადი, ამით დაეხმარნენ ბოლშევიკები ფართო მასებს გაეგოთ თუ რომელი კლასების ინტერესებისათვის წარმოებდა იმპერიალისტური ომი.

საომარი ხარჯების დასაფარავად დროებითი მთავრობა მიმართავდა შინაგან და საგარეო სესხებს; 1917 წ. აპრილში გამოუშვა დემაგოგიური, მყვირალა სახელწოდების „თ ა ვ ი-ს უ ფ ლ ე ბ ი ს ს ე ს ხ ი". ბურჟუაზიული გაზეთები „რუსსკაია ვოლია", „დენ", „რეჩ" და პლეხანოვის „ედინსტვო" მოუწოდებდნენ მშრომელებს, დამდგარიყვნენ არა სასურსათო რი-

[1] გახ. „პრავდა", 1917 წლის 30 აპრილი.
[2] გახ. „პრავდა". 1917 წლის 4 ივლისი.

გებში, არამედ შემნახველ სალაროებთან სესხის შესაძენად. მუშებს ცინიკურად ურჩევდნენ რომ მათ მეტი ეშიმშილათ და პურის მაგიერ სესხის ობლიგაციები შეეძინათ. მენშევიკები და ესერები განსაკუთრებულ პროპაგანდას ეწეოდნენ „თავისუფლების სესხის“ სასარგებლოდ.

ხმას აძლევდნენ რა თავისუფლების სესხს, მენშევიკები და ესერები მხარს უჭერდნენ სანხედრო კრედიტებს იმპერიალისტური ომის განგრძობისათვის. ამით, როგორც ლენინი აღნიშნავდა, მათ მჭიდროდ მიაბეს თავიანთი თავი მემამულეებისა და კაპიტალისტების საერთო ბორბალს.

ბოლშევიკური პარტია გამოვიდა დროებითი მთავრობის მიერ გამოშვებული ახალი სესხის წინააღმდეგ, რომელიც გაღატაკების გარდა ხალხს კარგს არაფერს მოუტანდა. პარტიის ცკ-ის ბიურომ პეტროგრადის საბჭოს ბოლშევიკურ ფრაქციას დაავალა შეეტანა საბჭოს სხდომაზე შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: ვიდრე პროლეტარიატისა და უღარიბეს გლეხობის ხელში არ გადასულა პოლიტიკური და ეკონომიური ძალაუფლება, ვიდრე ომის მიზანს განსაზღვრავს კაპიტალის ინტერესები, მანამდე მუშათა კლასი უარს იტყვის ახალი სესხის მიცემაზე, სესხისა, რომელიც მიმართულია რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ[1]. ბოლშევიკები წინადადებას იძლეოდნენ ვალები, რომლებიც საბჭედრო საქმეზე ბიდიოდა, დაკისრებოდა კაპიტალისტებსა და მემამულეებს. საბჭოებში ბოლშევიკური ფრაქცია საქვეყნოდ ხმას აძლევდა „თავისუფლების სესხის“ საწინააღმდეგოდ და აგიტაციას ეწეოდა, რათა მხარი არ დაეჭირათ დროებითი მთავრობის ღონისძიებებისათვის, რომლებიც თვით მშრომელი ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული. დროებითი მთავრობის ფინანსთა მინისტრმა აღიარა, რომ „თავისუფლების სესხს“ მხარს არ უჭერენ, სესხი არ ვრცელდებაო. აშკარა იყო, რომ დროებითი მთავრობის ღონისძიებანი ხალხის აქტიურ მხარდაჭერას ვერ პოულობდა.

---

[1] „იზვესტია“, 1917 წლის 26 მაისი

ესერებისა და მენშევიკების დაბმარებით დროებითი მთავრობა კვლავ განაგრძობდა თავის „იმპერიალისტურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ყოველი ღონისძიებით ცდილობდა აეცდინა ხალხი რევოლუციური გზიდან, შეენარჩუნებინა კაპიტალისტებისა და ბემამულეების ბატონობა.

1917 წლის 14 მარტს წვრილბურჟუაზიული პარტიების ლიდერებმა რუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სახელით ბოწოდებით ბიმართეს ბთელი მსოფლიოს ხალხებს: მიეღწიათ იმპერიალისტური ომის შეწყვეტისათვის, გამოსულიყვნენ ზავისათვის საბრძოლველად. საბჭოების ამ მოწოდებას კამენევი ქება-დიდებით იხსენიებდა გაზეთ „პრავდაში“ (№ 18 — 1917 წ.). მაგრამ ამგვარი განცხადების ფარისევლობა მალე გამომჟღავნდა.

როგორც კი გაიგეს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებმა პეტროგრადის საბჭოს მოწოდების შესახებ, მათ თავიანთი ელჩების მეშვეობით დროებით მთავრობას მოსთხოვეს ახსნა-განმარტება, თუ რას ნიშნავდა ასეთი ხასიათის მოწოდება. ისინი კითხულობდნენ: დროებითი მთავრობა კისრულობდა თუ არა მეფისდროინდელ საიდუმლო ხელშეკრულებათა შესრულებას და ომის გაგრძელებას?

16 მარტს მილიუკოვმა დროებითი მთავრობის სახელით საზღვარგარეთ თავიანთ წარმომადგენლებს აცნობა, რომ ომის მიზნები უცვლელი რჩებოდა და რუსეთი მოკავშირეებთან ერთად ომს გააგრძელებდა „საბოლოო გამარჯვებამდე“. ასე განმარტა დროებითმა მთავრობამ ესერულ-მენშევიკური მოწოდება „ომის შეწყვეტის“ შესახებ, რომელიც მასების მოტყუების მიზნით იყო გამოცემული. ესერები და მენშევიკები საქმით მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიის პოლიტიკას და სალდათებს მოუწოდებდნენ განეგრძოთ ომი საბოლოო გამარჯვებამდე. ესერებისა და მენშევიკების ასეთი პოლიტიკა აბნელებდა მშრომელთა ფართო მასების გონებას.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ მენშევიკური საბჭოს მიერ გამოშვებული ამის მსგავსი მოწოდება და მანიფესტები ომის შესახებ წარმოადგენენ ცარიელ ლაყბობას, რომელიც მოწოდებულია იმისათვის, რომ მიაძინონ მშრომელი მასები.

მენშევიკებისა და ესერების თვალთმაქცობა და ანტიხალხური ნოქმედება შემთხვევითი როდი იყო. ამ პარტიების ლიდერები ყველა შესაძლებელ მომენტს იყენებდნენ თავიანთი შემთანხმებლური პოლიტიკის დასაცავად. 1917 წლის მარტის თათბირზე (29 მარტი—3 აპრილი), დროებითი მთავრობისა და ომისადმი დამოკიდებულების საკითხზე მენშევიკები დემაგოგიურად აცხადებდნენ, რომ მასებს სურთ ზავი, აქეთ მიისწრაფიან რუსეთის ხალხებიო. წერეთელი (რომელიც მომხსენებელი იყო) აცხადებდა, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა მარტო რუსეთის ხალხს საკუთარი ძალით არ შეუძლია, თუ მას მხარს არ დაუჭერენ სხვა ქვეყნები...[1] არ სურდა რა პირდაპირი პასუხი გაეცა ხალხისათვის ყველაზე საჭირბოროტო საკითხებისათვის, მენშევიკების ლიდერი ფრაზების კორიანტელში ხვევდა ზავის მიღწევის საკითხს, არაფერს ამბობდა ომის იმპერიალისტურ, მტაცებლურ ხასიათზე.

თათბირზე პრაქტიკულად არ დაუყენებიათ საკითხი იმპერიალისტური ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. პირიქით, მენშევიკები ომის შესახებ წარმოდგენილ რეზოლუციაში მოუწოდებდნენ ქვეყანას მთელი ძალების მობილიზაციისაკენ, რათა გაემაგრებინათ ფრონტი და ზურგი[2].

ბოლშევიკებმა გაილაშქრეს ომის შესახებ მენშევიკურ-ესერული რეზოლუციის წინააღმდეგ, ამხილეს ომის იმპერიალისტური ხასიათი, მაგრამ თათბირმა ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო წერეთლის მიერ შეტანილი რეზოლუცია.

აშკარად იცავდნენ რა ბურჟუაზიის ინტერესებს, წვრილი ბურჟუაზიის ბელადები მუშათა საკითხის შესახებ წარმოდგენილ რეზოლუციაში მოუწოდებდნენ პროლეტარიატს არ მოეწყოთ გაფიცვები, არ მოეთხოვათ 8 საათიანი სამუშაო დღე, თუ ამაზე კაპიტალისტების ნებაყოფლობითი თანხმობა არ იქნებოდა.

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 17, აღწ. 1. საც. ერთ. 97, ფურც. 23—24.

[2] იქვე, 98. ფურც. 175--178.

აგრარული საკითხის შესახებ წარმოდგენილ რეზოლუციაში მენშევიკები და ესერები, იცავდნენ რა მემამულურ მიწათმფლობელობას, გამოვიდნენ მემამულეთა მიწების გლეხების მიერ თვითნებურად დატაცების წინააღმდეგ, მოუწოდებდნენ გლეხებს მოეცადათ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, აგრარული საკითხის საბოლოო გადაჭრამდე.[1]

ამრიგად, საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირზე მენშევიკები და ესერები რევოლუციის ყველა ძირითად საკითხზე აყენებდნენ ისეთ რეზოლუციებს, რომლებიც ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი იყო ბურჟუაზიისა და მემამულეებისათვის და ხალხის ინტერესებს უმორჩილებდა იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესებს. ეს რეზოლუციები მიმართული იყო საბჭოების დასუსტებისაკენ, რევოლუციის დაცემისა და ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცებისაკენ.

დროებითი მთავრობის გვერდით არსებული მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც მეორე სახელმწიფო ხელისუფლებას წარმოადგენდა, ესერებისა და მენშევიკების გამცემლური მოქმედებით პრაქტიკულად არ ახორციელებდა რევოლუციური მუშების, ჯარისკაცების და გლეხების ძირითად მოთხოვნებს, რევოლუციის ძირითად საკითხებში ატარებდა შემთანხმებლურ პოლიტიკას.

რუსეთში ორხელისუფლებიანობის წარმოშობა იყო თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ყველაზე მთავარი თავისებურება. რევოლუციების ისტორიას არ ჰქონია მსგავსი შემთხვევა, რომ რევოლუციის გამარჯვების შედეგად მომხდარიყო ორი დიქტატურის ასეთი ორიგინალური გადახლართვა. ქვეყნის შიგნით ორხელისუფლებიანობის არსებობა განსაზღვრავდა შინაპოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებას.

რუსეთის პროლეტარიატმა და გლეხობამ ფრონტზე და რევოლუციურ ბრძოლებში ცარიზმის წინააღმდეგ სისხლი დაღვარა, მეფის თვითმპყრობელობა დაამხო, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა ეს გამარჯვება. ამ მოვლენას ვ. ი. ლენინი ხსნიდა ორი გარეგნობით: პირველი, რევოლუციური მოძ-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი. ფ. 17, აღწ 1 საც. ერთ. 98. ფურ. 173—174

რაობის ზეგავლენით გამოიღვიძეს და პოლიტიკას დაეწაფ ნენ პოლიტიკაში გამოუცდელ «დამიანთა მილიონები. ისინი მეტწილად იყვნენ წვრილი ბურჟუაზიის წრიდან. წვრილბურ-ჟუაზიულმა ტალღამ წალეკა ყველაფერი. მუშათა ფართო წრეებს გადასდო თავისებური შეხედულებანი პოლიტიკაზე, იდეურად დათრგუნა შეგნებული პროლეტარიატი. რუსეთში რევოლუციის სწრაფი განვითარებით ამ ყველაზე უფრო წვრილბურჟუაზიული ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენდა მიმნდობი, შეუგნებელი დამოკიდებულება კაპი-ტალისტებისა, მშვიდობისა და სოციალიზმის ამ ყველაზე უარესი მტრებისადმი. სწორედ აქაა კლასობრივი ხაფუძველი „დროებით მთავრობასა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუ ტატების საბჭოს შორის. – შეთანხმებისა, რამაც გუჩკოვებს არგუნა მსუქანი ლუკმა, ნამდვილი ძალაუფლება, საბჭოს კი—დაპირებები, პატივი (დროებით), პირმოთნეობა. ფრა-ზები, დარწმუნებანი, კერენსკების მილაქუცება"[1].

წვრილბურჟუაზიული სტიქიის გაძლიერებამ ცხოვრების ზედაპირზე წამოატივტივა მენშევიკებისა და ესერების წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც რევოლუციონერთა სახელით, ნილაბამოფარებულნი, თავგამოდებით იცავდნენ ბურ-ჟუაზიის ინტერესებს, მუშათა კლასის საუკეთესო ძალები არ-მიაში იყო მობილიზებული, ხოლო ფაბრიკა-ქარხნებში მოხვდა ბევრი წვრილი მესაკუთრე, შინამრეწველი, მედუქნე და სხვ., რომლებიც მობილიზაციას თავს არიდებდნენ; მათთვის უცხო იყო პროლეტარული ფსიქოლოგია. ეს კი საუკეთესო ნიადაგს უქმნიდა წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს—მენშევიკებს და ესერებს.

მუშები, ჯარისკაცები და გლეხები საბჭოებს უყურებდ-ნენ, როგორც რევოლუციის ხელისუფლების ორგანოებს, რომელთაც ცხოვრებაში უნდა გაეტარებინათ მათი კლასობ-რივი ინტერესები. ამიტომ ისინი საბჭოებში ირჩევდნენ თა-ვიანთ დეპუტატებს. რამდენადაც მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხთა უპრიველესობას სჯეროდათ ესერებისა და მენშევი-კების, ამდენად ისინი ამ უკანასკნელთ ნდობას უცხადებდნენ

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 24, გვ. 53

და საბჭოებში ირჩევდნენ. სარგებლობდნენ რა მშრომელი ხალხის მხარდაჭერით, ესერები და მენშევიკები ბოროტად იყენებდნენ ასეთ ნდობას, უარყოფდნენ ხალხის მოთხოვნებს, უარს ამბობდნენ საბჭოების მხრივ მათი ინტერესების დაცვაზე. ისინი მხარს უჭერდნენ დროებითი მთავრობის პოლიტიკას და მის მიმართ კმაყოფილდებოდნენ კონტროლის უფლებით.

ასეთ ვითარებაში ორხელისუფლებიანობას დიდხანს არსებობა არ შეეძლო. ლენინი მიუთითებდა, რომ ერთ სახელმწიფოში ორი ხელისუფლება ხანგრძლივად შეუძლებელია, რომ ერთი მათგანი ადრე თუ გვიან უნდა მოისპოს. ცხადია, ბურჟუაზია ძალღონეს არ ზოგავდა, რათა არარაობად ექცია საბჭოების მოღვაწეობა და მოეპოვებინა ერთხელისუფლებიანობა. ორხელისუფლებიანობა,—აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი,— გამოხატავს მხოლოდ გარდამავალ მომენტს რევოლუციის განვითარებაში, როდესაც ეს რევოლუცია გასცილდა ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას, მაგრამ ჯერ კიდევ არ მისულა პროლეტარიატისა და გლეხობის „წმინდა“ დიქტატურამდე“[1].

თებერვლის რევოლუციის გამარჯვების დღეებიდანვე მოწინავე მუშები, ჯარისკაცები და გლეხები იბრძოდნენ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საბჭოების ერთხელისუფლებიანობისათვის. სწორედ ეს პროცესი ტრიალებდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში, იგი შეადგენდა რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებას. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის სწორედ ამ თავისებურებაზე და აღნიშნავდა, რომ, ვინც ვერ გაიგო რუსეთის რევოლუციის ეს თავისებურება, მას არ შეუძლია იდგეს რევოლუციისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში და იბრძოდეს მისი განვითარებისათვის.

საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლის გზაზე სერიოზული წინააღმდეგობანი იდგა: ჯერ ერთი, პროლეტარიატისა და მშრომელი მასების არასაკმარისი შეგნებულობა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 24, გვ. 52.

და ორგანიზებულობა: მეორე, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენა, რომლითაც სწამლავდნენ მშრომელი მასების გონებას წვრილბურჟუაზიული პარტიები. საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლისათვის საჭირო და გადაუდებელი ამოცანა იყო ის, რომ კომუნისტურ პარტიას ფართო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებით აემაღლებია პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის შეგნებულობა და ორგანიზებულობა. კომუნისტურ პარტიას ამავე დროს შეუპოვარი პოლიტიკური ბრძოლა უნდა ეწარმოებინა ესერებისა და მენშევიკების წინააღმდეგ, ეხსნა მშრომელი მასები მათი გავლენისაგან, წინ წაეყვანა რევოლუციის საქმე და მიეღწია ჩაგრული კლასების სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებისათვის. ამ ამოცანების განხორციელება ბოლშევიკების პარტიისაგან მოითხოვდა მთელი ძალებისა და ენერგიის მაქსიმალურად დაძაბვას და გამოყენებას. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა სოციალისტ-რევოლუციონერებისა და სოციალ-დემოკრატების წვრილბურჟუაზიული პარტიების შეცდომათა ფართო ა ხ ს ნ ა-გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ს, კომუნისტური პარტიის ელემენტების მომზადებას და შეკავშირებას, პროლეტარიატის გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს წვრილბურჟუაზიული თავბრუდახვევისაგან. ეს შეიძლება ზოგიერთს მიაჩნია „მხოლოდ“ პროპაგანდისტულ მუშაობად. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი წერდა, რომ ეს ნამდვილად „უაღრესად პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ი მ უ შ ა ო ბ ა ა, რადგან წინ ვერ წასწევთ რევოლუციას, რომელიც შეჩერდა, გაიგუდა ფრაზით, „ერთ ადგილს“ ტკეპნის ა რ ა გარეშე დაბრკოლებათა გ ა მ ო, ა რ ა ბურჟუაზიის მხრივ ძ ა ლ ა დ ო ბ ი ს გ ა მ ო, არამედ მასების მიმნდობი შეუგნებლობის გამო“[1].

რუსეთის განაპირა მხარეებში მცხოვრებ ხალხთა უღარიბესმა ფენებმა გვიან გაიგეს თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შესახებ. ძველი ბიუროკრატიული აპარატის მოხელეები, რომლებიც დროებითმა მთავრობამ უცვლელად შეინარჩუნა, ყოველნაირად აჭიანურებდნენ ცნობების გავრ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 54—55.

ცელებას რევოლუციის გამარჯვების შესახებ. მაგალითად, ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში დაგვიანებით გავრცელდა არაზუსტი ცნობები რუსეთში რევოლუციის გამარჯვების შესახებ. ბაქოში 1917 წლის 2 მარტს გაიგეს ცარიზმის დამხობის ამბავი. ადგილობრივი ხელისუფლება ღრმა საიდუმლოებით ინახავდა პეტროგრადში მომხდარი რევოლუციის ამბავს, მაგრამ დიდხანს ვერ შეინახეს „საიდუმლო“. ბაქოს პროლეტარიატი და მთელი ამიერკავკასიის მშრომელი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა თვითმპყრობელობის დამხობის ამბავს. მუშები ერთიმეორეს ულოცავდნენ გამარჯვებას. ბოლშევიკები მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხებს მოუწოდებდნენ შეექმნათ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები. რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ბოლშევიკების ინიციატივით მოეწყო საბჭოების არჩევნები ბაქოში, განჯაში, ნუხაში და სხვ.

1917 წლის 6 მარტს შედგა ბაქოს საბჭოს პირველი სხდომა. მიუხედავად მენშევიკების და ესერების ყოველგვარი ცდისა, საბჭოს თავმჯდომარედ დაუსწრებლად იქნა არჩეული ვ. ი. ლენინის მოწაფე და თანამებრძოლი სტ. შაუმიანი.

როგორც პეტროგრადსა და მოსკოვში, ასევე ბაქოსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში საბჭოებში უმრავლესობა მენშევიკებმა და ესერებმა იკავეს ხელთ. საუკეთესო რევოლუციონერების დაპატიმრებამ, გადასახლებამ და ფრონტზე გაგზავნამ შესცვალა ამიერკავკასიის პროლეტარიატის შემადგენლობა, პლიუს ამას ის, რომ ერთიმეორეს გადაეჭდო სოციალური და ეროვნებათაშორისო ურთიერთობის საკითხები, რაც შესაძლებლობას აძლევდა შემთანხმებლურ პარტიებს საბჭოებში თავისი წარმომადგენლები გაეყვანათ.

მოიპოვეს რა საბჭოებში დეპუტატების ადგილები, მენშევიკები და ესერები ცდილობდნენ თავიანთი პროპაგანდით მოედუნებინათ და გაექარწყლებინათ მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის უნარი, ისინი მუდამ ქადაგებდნენ, რომ გაიმარჯვა დიდმა საალბო რევოლუციამ, რომელიც გადასჭრის ხალხისათვის საჭირბოროტო საკითხებს, ოღონდ საჭიროა დამფუძნებელი კრების მოწვევა, რომელიც ყველაფერს

გააკეთებსო. მანამდის კი ხელუხლებლად უნდა ყოფილიყო შენარჩუნებული ძველი წესები როგორც სოფლად, ასევე ქალაქად.

თებერვლის რევოლუციის გამარჯვების ამბავი საქართველოში მოგვიანებით გაიგეს. მენშევიკები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ რევოლუცია ვერ გაიმარჯვებდა რუსეთში. როდესაც მენშევიკების საოლქო კომიტეტში პეტროგრადიდან მიიღეს ნ. ჩხეიძის შენიშვნული დეპეშა: „მთავრობაძე გარდაიცვალა, აცნობეთ ნათესავებსა და ნაცნობებს" — მათ გადასწყვიტეს, სრულიად საიდუმლოდ შეენახათ მიღებული ცნობა პეტროგრადში მომხდარი რევოლუციური ამბების შესახებ. მენშევიკების ლიდერებმა ნ. ჟორდანიამ და ნ. რამიშვილმა 1917 წლის 4 მარტს მეფის სატრაპს ნ. ნ. რომანოვს მიმართეს თავიანთი უქვეშევრდომილესი გრძნობებით, რათა შეეთანხმებინა „მისი უდიდესებულებისათვის" მენშევიკური პარტიის შემდგომი მოქმედების პროგრამა.

მენშევიკების ლიდერებისა და კავკასიის მეფისნაცვალ ნ. რომანოვის შეხვედრის, მათ შორის გამართული თათბირის შესახებ მენშევიკურმა გაზეთმა „თანამედროვე აზრმა" მეორე დღესვე (1917 წლის 5 მარტს) გამოაქვეყნა მასალა, რომლიდანაც ჩანს, რომ მეფის ბიუროკრატიული აპარატი საქართველოში თავს არხეინად გრძნობდა მენშევიკების, რეაქციონერი ქართველი თავადაზნაურებისა და სომეხი ბურჟუაზიის დახმარებითა და მხარდაჭერით. რომანოვი იმედით სავსე ტონით აცხადებდა, რომ მას დროებითი მთავრობა შესაფერის ადგილს მისცემდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, ხოლო რაც შეეხება კავკასიის მდგომარეობას, ამის შესახებ მეფის სატრაპი მენშევიკებს ქება-დიდებას და ხოტბას ასხამდა; ცხადია, მენშევიკებს ეკუთვნოდა ეს ქება, რომელნიც მუშათა კლასსა და გლეხობას მოუწოდებდნენ „წესიერებისაკენ", ძველი აპარატის დამორჩილებისაკენ, არ ღებულობდნენ ზომებს მისი მოსპობისათვის. „ქართველმა მენშევიკებმა საქვეყნოდ ცაადყვეს თავისი ერთიანობა მეფის ხელი-

სუფლების წარმომადგენლებთან და მათგან კეთილსაიმედობის ატესტაცია მიიღეს"[1].

მეფის ბიუროკრატიულმა აპარატმა და ამიერკავკასიის წვრილ-ბურჟუაზიულმა პარტიებმა, განსაკუთრებით მათმა ლიდერებმა სცადეს ხელი შეეშალათ კავკასიის მშრომელი ხალხის რევოლუციური ბრძოლისათვის.

კონტრრევოლუციურმა ძალებმა, მიუხედავათ მათი თავგამოდებული ცდებისა, ვერ შეძლეს ამიერკავკასიის ხალხისათვის საბოლოოდ დაეშალათ რუსეთის პროლეტარიატის მიერ დანთებული რევოლუციური ცეცხლი, რომელმაც უკვე გადაბუგა ცარიზმის დრომოჭარული კერა. ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანის ჩაგრული მშრომელი ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობითა და რუსი ხალხის დახმარებით თავისი განთავისუფლებისა და ახალი ცხოვრების გზას იკაფავდა. მთელს ამიერკავკასიაში რევოლუციური გამოსვლების და მანიფესტაციების ქარიშხალი აბობოქრდა. რევოლუციური ხალხი ყველგან აუქმებდა ძველ ადმინისტრაციას, ქმნიდა რევოლუციური ხელისუფლების ახალ ორგანოებს საბჭოების სახით. პეტროგრადის და მოსკოვის პროლეტარიატის მაგალითის მიხედვით 4 მარტს თბილისში შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭო, ხოლო 6 მარტს ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. შემდგომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ჩამოყალიბდა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, გორში და სხვ.

ამიერკავკასიის რევოლუციის აღმავლობის პირობებში ხელისუფლების ყველა ახლად შექმნილ ორგანოებში მენშევიკებმა და ესერებმა მოიკალათეს; ისარგებლეს რა ბოლშევიკური ორგანიზაციების სისუსტით, მუშათა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრში, კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტში ხელმძღვანელობა მენშევიკებმა და ესერებმა იგდეს ხელთ.

დროებითმა მთავრობამ თავიდანვე მიაქცია ყურადღება ამიერკავკასიაში თავისი გავლენის განმტკიცებას და გაძლიე-

---

[1] გ. ვ. ხაჭაპურიძე, „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში", 1954, გვ. 92—93.

რებას. 1917 წლის 6 მარტს დროებითმა მთავრობამ დადგენილება მიიღო „წესრიგის სასწრაფოდ დასამყარებლად და ამიერკავკასიის მხარის მოსაწყობად". 9 მარტს შეიქმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი. ამ კომიტეტს ამიერკავკასიაში უნდა გაეტარებინა დროებითი მთავრობის პოლიტიკა. 18 მარტს ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა კავკასიის მოსახლეობას ნიმართა, რომლითაც პირობას იძლეოდნენ, რომ ახალი წესრიგი და ახალი მმართველობა ისე მოეწყობოდა, როგორც ეს შეეფერებოდა ადგილობრივ პირობებსა და საჭიროებას. მოწოდებაში აღნიშნავდნენ, რომ ისეთი საკითხები, როგორიცაა ნაციონალური, აგრარული და მუშათა საკითხები დამფუძნებელ კრებამდე უნდა გადაიდოსო, ხოლო რაც შეეხება გადასახადებს და სხვა ვალდებულებებს ძველებურად ძალაში რჩებოდა, შემდეგ მკაცრად დაისჯება ყველა ის პირი რომელიც შეეცდება მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებას, არმიაში პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნას, ომის საწინააღმდეგო პროპაგანდას და სხვ. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი მორიგ ამოცანად აყენებდა მოსახლეობისათვის შეეგნებინა, რომ „ჩვენი თავისუფლების ბედი პირდაპირ დამოკიდებულია ფრონტზე ჩვენი არმიის წარმატებაზე"[1].

ამ დოკუმენტიდან ნათლად ჩანს დროებითი მთავრობისა და მის მიერ ამიერკავკასიაში დანიშნული „ოზაკომის" პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანები. ომითა და უტიფარი ექსპლოატაციით განაწამებ ხალხებს სწყუროდათ ზავი, პური და თავისუფლება, ახალი ბატონები კი კვლავ ომის განგრძობისაკენ, მოთმინებისა და „ახალი წესრიგის" დამყარებისაკენ მოუწოდებდნენ მოსახლეობას. ხელუხლებლად რჩებოდა ძველი აპარატი, რომლის მუშაკებმა დროებითი მთავრობის ფორმა ჩაიცვეს და განაგრძეს ცარიზმის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ორგანოს — „ოზაკომის" გვერდით შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ამიერკავკასიაში, სადაც მენშევიკები და ესერები გაბატონდნენ.

---

[1] ორესა, ფ. 398, აღწ. 1, ფურც. 4.

აზერბაიჯანის ძველმა ხელისუფლებამ განაცხადა რა თავისი მხარდაჭერა დროებითი მთავრობისადმი, არხეინად განაგრძო ძველებურად ბატონობა და პარპაში.

ბაქოს ნავთის მრეწველებმა მემამულეებთან ერთად ქალაქის სამმართველოს წევრებისაგან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შეაკოწიწეს ე. წ. „საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტი“, რომელიც გამიზნული იყო იმისათვის, რომ გადაექციათ იგი ხელისუფლების სრულ ძალაუფლებიან ორგანოდ.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ აზერბაიჯანის ნაციონალურმა ბურჟუაზიამ ხანებთან და ბეგებთან მჭიდრო კავშირში გააძლიერა თავისი მოქმედება და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა სათავეში ჩასდგომოდა მზარდ სახალხო მოძრაობას. სიტყვიერად იცავდა რა ბურჟუაზიული დემოკრატიის ზოგიერთ თავისუფლებას, ამით სურდა პოპულარობა მოეპოვებინა მთელ ხალხში, რათა თავის მხარეზე დაერაზმა მშრომელთა ფართო მასები, ჩამოეცილებინა ისინი რევოლუციური მოძრაობისათვის და შეესუსტებინა კლასობრივი ბრძოლა, ხალხის ყურადღება მიექცია ბურჟუაზიულ-ნაციონალურ ბრძოლისაკენ, რომელსაც თვითონ აღვივებდა ამიერკავკასიის ხალხთა შორის. ამ მიზნით მუსავატელებმა შექმნეს ნაციონალური საბჭოები, რომლის გარშემო გააჩაღეს მთელი თავიანთი მუშაობა. განსაკუთრებით ენერგიულად მოქმედებდნენ ნავთის მრეწველები. მათ გადაახალისეს ბაქოს მუსულმანური ორგანიზაციების კომიტეტი. აზერბაიჯანის მსხვილმა ბურჟუაზიამ სასულიერო კავშირის სახით შექმნა პარტია ე. წ. „მუსულმანობა რუსეთში“.

ყველა რეაქციულმა, ნაციონალურმა ელემენტებმა თავი მოიყარეს პარტია „მუსავატის“ გარშემო და ჩამოაყალიბეს ერთიანი კონტრრევოლუციური ძალა. ინიღბებოდნენ რა დემოკრატიული ლოზუნგებით აზერბაიჯანის ეს უბოროტესი მტრები, უცხოელი იმპერიალიზმის აგენტები თავიანთ თავს აცხადებდნენ „მუსულმანთა ხელმძღვანელ ძალად“, არა მარტო აზერბაიჯანსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელს რუ-

სეთში, რათა საერთო რევოლუციური ბრძოლისათვის ჩა-
მოეცილებინათ მუსლიმანი ხალხი.

ბაქოში სომეხმა ბურჟუებმა თავიანთი პარტიის „დაშნაკ-
ცუტიუნის“ გარშემო შემოიკრიბეს ძალები, შექმნეს სომხური
ნაციონალური საბჭოები, აწყობდნენ მიტინგებს, კრებებს,
სომეხთა შორის მშვიდობიანობის პროპაგანდას ეწეოდნენ და
ამავე დროს სხვა ეროვნებათა შორის უნდობლობას აღვივებდ-
ნენ. ისინი მუშებს აშინებდნენ „მუსულიმანური საფრთხით“.

სომეხ ბურჟუებს სურდათ ხელში ჩაეგდოთ ბაქოს ნავთის
საბადოები და ყველა ის შემოსავალი, რაც ამ ძვირფასი სა-
ბადოს გარშემო ტრიალებდა. ისინი წააწყდნენ ბაქოს ბურ-
ჟუაზიის მძლავრ წინააღმდეგობას, მათ თავის მხრივ გადა-
წყვიტეს ბაქოდან განედევნათ სომეხი ბურჟუები და ხელში
ჩაეგდოთ მათი კაპიტალი. ამ ბრძოლას მუსავატელები და დაშ-
ნაკები ნაციონალისტური ფრაზებით ნიღბავდნენ.

მუსავატელები და დაშნაკები უცხოეთის იმპერიალიზმის აგენ-
ტები იყვნენ. გერმანიის და ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპე-
რიალისტები სამშობლოს ამ გამყიდველებს პირდებოდნენ სრულ
ბატონობას სომხეთსა და აზერბაიჯანში, აღუთქვამდნენ და-
მოუკიდებლობას, „განთავისუფლებას“ რუსეთის ბატონობი-
საგან. ამით მათ სურდათ ხელში ჩაეგდოთ ამიერკავკასია
მისი მდიდარი საბადოებით.

რუსეთის მსგავსად ამიერკავკასიაშიც შეიქმნა ორხე-
ლისუფლებიანობა, მაგრამ ფაქტიურად ძალაუფლება დარჩა
ძველებურად მქონებელი კლასების ხელში; ეს უკანასკნელნი
დიდი ხალისით ქება-დიდებას ასხამდნენ თავიანთ მეგობარ
ესერებსა და მენშევიკებს, რომლებიც ძალღონეს არ იშუ-
რებდნენ ხოტბა შეესხათ რუსეთის რევოლუციის მონაპოვ-
რისათვის, ექადაგნათ ამ რევოლუციის სიდიადის შესახებ,
მიეძღვნებინათ მუშებისა და გლეხების რევოლუციური მისწ-
რაფებანი, გაექარწყლებინათ ჩვენს ქვეყანაში სოციალის-
ტური რევოლუციის გამარჯვების რწმენა.

თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შედეგად ბოლშევი-
კურმა პარტიამ მოიპოვა ლეგალურად გამოსვლის და მოქმედე-
ბის უფლება. იატაკქვეშეთიდან გამოსვლის დროს პარტიის რი-

გებში ირიცხებოდა 45 ათასამდე წევრი, ისინი იყვნენ ბრძოლებში გამოწრთობილი, გაკაჟებული კადრები. ასალ ისტორიულ პირობებში პარტიის წინაშე გადაიშალა ფართო შესაძლებლობა მოქმედებისათვის. ამავე დროს ახალმა ვითარებამ ახალი ამოცანები დასახა პარტიის წინაშე, რომელსაც ჰქონდა უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში მშვიდობიანი გზით გადაზრდის პერიოდში. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვა პარტიული მუშაობის გარდაქმნას, ახალი ფორმებისა და მეთოდების შემუშავებას. უახლოესი და უპირველესი რიგის ამოცანათა შორის აუცილებელი იყო პარტიის განმტკიცება, მისი რიგების გაფართოება მოწინავე მუშების მიღებით, საჭირო იყო პროლეტარიატის უმრავლესობის დარაზმვა პარტიის გარშემო, ფართო მასების განთავისუფლება წვრილბურჟუაზიული პარტიების გავლენისაგან.

ბოლშევიკები დიდი ხალისითა და ენერგიით შეუდგნენ პარტიული ორგანიზაციების, პარტიული ბეჭდვითი ორგანოების შექმნას, პროფორგანიზაციებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ჩამოყალიბებას. პარტიის ცკ-ის ბიურო ლეგალურ მდგომარეობაზე გადასვლისთანავე იწყებს ძველი ორგანიზაციების აღდგენას და ახლების შექმნას. ცკ-ის ბიურომ წინადადება მისცა პარტიის ყველა ორგანიზაციას შეექმნათ საქალაქო, სარაიონო, საფაბრიკო და საქარხნო ორგანიზაციები და მიეღოთ პარტიის რიგებში მოწინავე მუშები.

პეტროგრადის კომიტეტმა თავის სხდომაზე 1917 წლის 2 მარტს დაადასტურა ძველი კომიტეტის უფლებამოსილება და მასვე დაავალა შესდგომოდა კომიტეტის ახალი შემადგენლობის არჩევნებს. 4 მარტს პეტროგრადის კომიტეტმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა რაიონული პარტიული კრება. მარტის პირველ ნახევარში ასეთი კრებები ჩატარდა მრავალ ადგილას, სადაც არჩეულ იქნენ რაიონული პარტიული კომიტეტები.

მოსკოვის კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციებს მოუწოდა გააერთიანებინა რაიონულ კომიტეტებში და საფაბრიკო-საქარხნო ორგანიზაციებში მოწინავე მუშები. გაზეთი „სო-

ციალ-დემოკრატი“ 1917 წლის 7 მარტს თავის ერთ-ერთ წერილში წერდა: დაუყოვნებლივ უნდა მოვაწყოთ რაიონული ორგანიზაციები და კომიტეტები, მივიღოთ ახალი წევრები და გავაძლიეროთ პარტიული პროპაგანდა. მოსკოვის საოლქო, საოკრუგო და საქალაქო ორგანიზაციებში მარტში უკვე ჩატარდა კრებები და არჩეულ იქნა პარტიული კომიტეტები. ბოლშევიკური ორგანიზაციების კრებები ჩატარდა აგრეთვე ხარკოვში, კიევში, სამარაში, სარატოვში, ლუგანსკში, თბილისში, ბაქოში და სხვ.

პარტიის ცკ-ის ბიურომ პეტროგრადისა და მოსკოვის ორგანიზაციებთან ერთად მოაწყო პარტიის პროგრამისა და წესდების გამოცემა 100.000 ეგზემპლარის რაოდენობით, რომელიც სწრაფად გავრცელდა ორგანიზაციებში მარტსა და აპრილში. მოწინავე რევოლუციონერი მუშები დაეწაფნენ პარტიულ ლიტერატურას, ბოლშევიკურ გაზეთებში მოთავსებულ სტატიებს, რომლებიც სახელმძღვანელო იყო ყოველდღიურ პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში.

გაზ. „სოციალ-დემოკრატი“ 1917 წლის 24 მარტს იტყობინებოდა, რომ ენერგიულად ტარდება ბოლშევიკების ორგანიზაციული მუშაობა რკინიგზის რაიონში. მუმათა მიტინგების შემდეგ ყველგან წარმოიშვნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები და უჯრედები. ასე წარმოიშვა პარტიული უჯრედები მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის კვანძზე: საორთქლმავლო სახელოსნოებში, რკინიგზის სადგურებზე და სხვ.

განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა ბოლშევიკური ორგანიზაციები პროლეტარულ ცენტრებში. 1917 წლის მარტ-აპრილში პეტროგრადის ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა გაიზარდა 20.000-დან 160.000-მდე, მოსკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაცია თითქმის 3-ჯერ, ურალის საოლქო ორგანიზაციები გაიზარდა 9-დან 43 კომიტეტამდე, რომლებიც აერთიანებდა პარტიის 16.000 წევრს. ლუგანსკის პარტიული ორგანიზაცია 15-ჯერ გაიზარდა, ხარკოვის, მაკაევკის, ეკატერინოსლავის და გროზნის ორგანიზაციები 10 ჯერ გაიზარდნენ; პარტიის წევრთა რაოდენობამ აპრი-

ლის ბოლოსათვის ივანოვო-ვოზნესენსკში მიაღწია 3.500 კაცს[1].

სამრეწველო ცენტრებში ბოლშევიკური ორგანიზაციების ზრდა მოწმობდა იმას, რომ ბოლშევიკების ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა, სამრეწველო პროლეტარიატის თვალში. მაგრამ ამით არ შეიძლებოდა დამშვიდებულიყვნენ ბოლშევიკები, ვინაიდან მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ესერებსა და მენშევიკებს მიჰყვებოდა, სჯეროდა დროებითი მთავრობის დაპირებისა და მის პოლიტიკას მხარს უჭერდა. ამიტომ ვ. ი. ლენინი პარტიის წინაშე აყენებდა მორიგ ამოცანას: ემხილებინა, გამოეაშკარავებინა მენშევიკები და ესერები, ჩამოეშორებინა მასები მათი გავლენისაგან. ამის შესასრულებლად საჭირო იყო ჯერ გაგვედიდებინა აგიტატორებისა და პროპაგანდისტების რიცხვი, შეგვექმნა საიმედოდ გამობრძმედილი კადრები, ამ მიზნით საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მოაწყვეს აგიტატორებისა და პროპაგანდისტების ჯგუფები, ლიტერატურული კომისიები და სხვ., რომლებიც ორგანიზაციულად განამტკიცეს განყოფილებების სახით პარტიულ კომიტეტებში. აგიტატორთა და პროპაგანდისტთა კოლეგიები რეგულარულად იკრიბებოდნენ სემინარულ მეცადინეობაზე, სადაც კითხულობდნენ მოხსენებებს, ტარდებოდა ინსტრუქტაჟი, ერთიმეორეს უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას. პროპაგანდისტების მოსამზადებლად შეიქმნა სპეციალური სკოლები. 15 მარტს ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტმა განიხილა საკითხი „პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენების შესახებ". რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცა, რომ აგიტატორებისა და პროპაგანდისტების კოლეგიებში ჩაებათ პარტიული ინტელიგენცია, მოეწყოთ სკოლები აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის. ასეთივე სკოლების შესაქმნელად 3 მაისს ბოლშევიკების მოსკოვის კომიტეტმაც მიიღო სათანადო ლონისძიება. სკოლაში 40 მუშა მეცადინეობდა. ასეთივე

[1] რსდმპ (ბ) მეშვიდე კონფერენციის (აპრილის) ოქმები, 1934 წ. გვ. 108—113, 134—147.

სკოლები მოეწყო ბაქოში, ლუგანსკში, ხარკოვში, კრასნოიარსკში და სხვ.

ჩვენი პარტიის ათასობით აგიტატორები და პროპაგანდისტები მუშებსა და ჯარისკაცებს შორის ავრცელებდნენ ბოლშევიკურ იდეებს. მაგალითად, ვიბორგის რაიონის აგიტატორთა კოლეგიამ მარტის თვის პირველ ნახევარში დაბეჭდა და გაავრცელა სამი პროკლამაცია, წაიკითხეს ასი მოხსენება. ვიბორგის კომიტეტმა გამოუშვა პლაკატი და გაავრცელა ფაბრიკა-ქარხნებსა და ყაზარმებში. პლაკატზე გამოხატული იყო მუშათა და ჯარისკაცთა რიგები და მათი ერთობლივი მოთხოვნები: 1. 8 საათიანი სამუშაო დღე; 2. მემამულეთა მიწების კონფისკაცია; 3. დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. მოსკოვის საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ გადაბეჭდა ნახევარ მილიონამდე პროკლამაციის ფურცლები და გაავრცელა ისინი მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს შორის. მოსკოვის ლეფორტოვსკის რაიონის აგიტატორებისა და პროპაგანდისტების კოლეგიამ ჩაატარა 120-ზე მეტი მიტინგი და კრება. ყველა ეს ღონისძიება დადებით შედეგებს იძლეოდა. ბოლშევიკების მართალი სიტყვა თანდათანობით სულ უფრო ღრმად იჭრებოდა მშრომელთა შეგნებაში.

ფართო და ყოველდღიური აგიტაცია-პროპაგანდისათვის, კარგი ორგანიზატორული მუშაობისათვის, მასებთან პარტიის მჭიდროდ დაკავშირებისათვის საჭირო იყო რევოლუციური პრესა. ჩვენი პარტია მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდა გაზეთს როგორც კოლექტიურ აგიტატორს, პროპაგანდისტს და ორგანიზატორს. პრესა იყო და არის ყველაზე ბასრი იარაღი მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბოლშევიკურმა პარტიამ დასძლია გაუგონარი სიძნელეები (ფულის, ქაღალდის, სტამბის უქონლობა) და შეუდგა მასობრივი ბოლშევიკური პრესის ორგანიზების საქმეს. პირველ რიგში საზრუნავი იყო გაზეთ „პრავდის" განახლება; 2 მარტს რსდმპ (ბ) ცკ-ის რუსეთის ბიურომ განიხილა ეს საკითხი.

3 მარტს იგივე საკითხი იხილებოდა ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტის სხდომაზე, სადაც გადაწყდა, რომ „პრავდა“ იქნებოდა რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის ორგანო. რსდმპ (ბ) ცკ-ის ბიურომ დაამტკიცა „პრავდის“ რედაქციის დროებითი შემადგენლობა[1]. 1917 წლის 5 მარტს გამოვიდა გაზეთის პირველი ნომერი.

გაზეთმა „პრავდამ“ დიდი გავლენა მოიპოვა ხალხთა ფართო მასებში, იგი ხელიდან ხელში გადადიოდა, მისმა ტირაჟმა მალე ასი ათას ცალს მიაღწია.

1917 წლის 7 მარტს გამოსვლა დაიწყო რსდმპ (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტის ორგანომ „სოციალ-დემოკრატმა“. 8 მარტს გამოვიდა „კრასნოიარსკის მუშა“—კრასნოიარსკის ბოლშევიკების ორგანო, 10 მარტიდან „პროლეტარი“,—ხარკოვის კომიტეტის ორგანო, 15 მარტიდან კრონშტადტის კომიტეტმა გამოსცა „გოლოს პრავდი“, 18 მარტს კიევის კომიტეტმა გამოუშვა „გოლოს სოციალ-დემოკრატა“, 23 მარტს სამარის კომიტეტმა გამოუშვა „პრივოლოჟსკაია პრავდა“. ამავე დღეს გამოვიდა სარატოვის კომიტეტის ორგანო „სოციალ-დემოკრატი“.

1917 წლის 11 მარტს განახლებულ იქნა გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ გამოცემა, რომლის ინიციატორები იყვნენ ქავთარაძე, მახარაძე, მრავიანი და ნაზარეტიანი. ფ. მახარაძე იგონებს, რომ გაზეთის გამოცემა მეტად რთულ პირობებში უხდებოდათ,“ არ იყო არც სახსარი, არც რედაქციისათვის თავშესაფარი. მთელი სარედაქციო მუშაობა სრულდებოდა თვით სტამბაში ან ბინებზე“[2].

„კავკაზსკი რაბოჩის“ რედაქცია სახელმძღვანელო წერილებში სწორად განმარტავდა, რომ რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალებია პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა და ამ ორი კლასის საარსებო ინტერესები მოითხოვს რათა რევოლუცია მიყვანილ იქნეს ბოლომდე. ამისათვის გაზეთს საჭიროდ მიაჩნდა არა შეთანხმება და ზავი

---

[1] გახ. „პრავდა“, 1917 წლის 9 მარტი.

[2] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, „საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში“, გვ. 81.

კაპიტალისტებთან, მემამულეებთან, არამედ შეუპოვარი ბრძოლა მათ წინააღმდეგ. რაც შეეხება ინპერიალისტურ ომს, გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“ მოითხოვდა ჯარისკაცთა დაძმობილებას, სისხლის ღვრის შეწყვეტას, მკაცრად გმობდა მენშევიკებისა და ესერების ლოზუნგს „რევოლუციური თავდაცვის“ შესახებ. გაზეთმა მიიზიდა მკითხველთა დიდი რაოდენობა და მშრომელი ხალხის ნდობა მოიპოვა. არა მარტო თბილისის, არამედ ამიერკავკასიის სხვა რაიონების რევოლუციური ძალები თავს იყრიდნენ „კავკაზსკი რაბოჩის“ ირგვლივ. ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს გამოეცათ გაზეთი, რომელიც ამიერკავკასიის პროლეტარიატის გარშემო დარაზმავდა ქართველ გლეხობას, მშრომელებს; გაზეთი გააცნობდა მათ რევოლუციის ძირითად ამოცანებს და ამ ამოცანების განხორციელების გზებს. ასეთი გაზეთი იქნებოდა „ბრძოლა“, რომელმაც გამოსვლა იწყო თბილისში 1917 წლის 10 ივნისიდან. ცოტა ხნის შემდეგ თბილისელმა ბოლშევიკებმა შესძლეს სომხურ ენაზე გამოეცათ გაზეთი „ბანვორი კრივ“.

1917 წ. 22 აპრილს ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღეს ქ. ბაქოში გამოვიდა „ბაკინსკი რაბოჩი“. 1917 წლის ზაფხულში ქ. ალექსანდროპოლში სომხურ ენაზე იწყო გამოსვლა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ნორ კიანკ“ (ახალი ცხოვრება), რუსულ ენაზე გამოვიდა გაზეთი „პრავდა ჟიზნ“.

ბოლშევიკური პრესა ის მძლავრი იარაღი იყო, რომელიც დაუნდობლად მუსრავდა კონტრრევოლუციური ძალების უნარს, ამხელდა მათს ნამდვილ ზრახვებს და რაზმავდა მუშათა კლასს, ჯარისკაცებს და მშრომელ გლეხთა მრავალმილიონიან მასებს, რომლებიც განიცდიდნენ ყველაზე უტიფარ ექსპლოატაციას და რომლებიც გმინავდნენ თავადების, მემამულეების და ხანების უღელქვეშ.

ბურჟუაზიული გაზეთები და მათი ხელშემწყობი წვრილბურჟუაზიული პარტიები გააფთრებით იბრძოდნენ ბოლშევიკებისა და მათი ბეჭდვითი ორგანოების წინააღმდეგ. მსხვილი და წვრილი ბურჟუაზია ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავადაზნაურობასთან ერთად ერთიანი ფრონ-

ტით უტევდა, იგი თანხებს არ ზოგავდა თავის ბეჭდვითი ორგანოებისათვის იმ დროს, როდესაც ბოლშევიკური გაზეთები არსებობდნენ მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასისა და მშრომელი მოსახლეობის დანაზოგისა და შეწირულებათა ხარჯზე.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური გაზეთები გაზეთ „პრავდის“ მსგავსად აქტიურ რევოლუციურ ბრძოლას ეწეოდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში მშვიდობიანი გადაზრდისათვის, ლენინური ხაზის გატარებისათვის. ამ მიზნით რაზმავდნენ და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ზრდიდნენ ამიერკავკასიის მრავალეროვან პროლეტარიატსა და მშრომელ გლეხობას.

ბოლშევიკური გაზეთები: „ბაკინსკი რაბოჩი“, „კავკაზსკი რაბოჩი“, სოციალ-დემოკრატი“, „ბრძოლა“ და სხვ. ხელს უწყობდნენ პროლეტარიატის გამოსვლებს, მათს რევოლუციურ ბრძოლას, მიუთითებდნენ პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, ანზოგადებდნენ სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის გმირულ გამოცდილებას. ეს გაზეთები ბეჭდავდნენ წერილებს არა მარტო მუშათა ცხოვრების, მუშათა გაფიცვებისა და დემონსტრაციების შესახებ, არამედ სისტემატურად აშუქებდნენ გლეხთა ცხოვრებას, გლეხობის სიღატაკის მიზეზებს, წერდნენ ფრონტზე არსებული ვითარებისა და ჯარისკაცთა მძიმე მდგომარეობის შესახებ.

ამრიგად, ბოლშევიკური პრესა ჩამოყალიბდა, გაიზარდა და განმტკიცდა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში. ეყრდნობოდა რა მუშებისა და ჯარისკაცების მატერიალურ და მორალურ-პოლიტიკურ მხარდაჭერას, ბოლშევიკური პრესა უფრო და უფრო ღრმად შეიჭრა მშრომელთა ფართო მასებში. იგი დაეხმარა პარტიას თავის მხარეზე მიემხრო და გადაეყვანა მუშათა ორგანიზაციები, პროფკავშირები, საფაბრიკო საქარხნო კომიტეტები და სხვ.

მშრომელ მასებთან კავშირის განმტკიცებისა და მუშათა კლასის პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკური პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა

პროფესიული კავშირების შექმნის საკითხს. მარტის დამდეგს ბოლშევიკების პარტიის ცკ-ის ბიურომ მითითება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს მოწოდებით მიემართათ მუშებისათვის, რომ გაერთიანებულიყვნენ პროფკავშირებში. პეტროგრადის კომიტეტმა, განიხილა რა ცკ-ის მითითება, 1917 წლის 6 მარტს მიიღო დადგენილება პროფკავშირების დაუყოვნებლივი ორგანიზების შესახებ. მოსკოვის კომიტეტი თავის მოწოდებაში წერდა: ამხანაგო მუშებო! კავშირები აუცილებელია ყველა პროფესიისათვის. არავითარ დადგენილებას არ უნდა მოუცადოთ. დაუყოვნებლივ შექმენით კავშირები[1].

მოსკოვის ბოლშევიკური კომიტეტი მოუწოდებდა მუშებს: „დადგა დრო გაერთიანებისათვის!". ნევიანსკის ქარხნის ბოლშევიკებმა თავიანთ კრებაზე 1917 წლის 21 აპრილს დაადგინეს: „შეიქმნას მეტალურგების კავშირი ქარხანაში"; კრასნოიარსკის ბოლშევიკების კომიტეტმაც მიმართა რკინიგზელებს და შეტყევე მუშებს შეექმნათ თავიანთი კავშირები. პარტიის ცკ-ის მითითებით 1917 წლის 8 მარტს გაზეთი „პრავდა" ბეჭდავს სტატიას „პროფკავშირებში", რომელშიც ნუშებს მოუწოდებდა დაუყოვნებლივ გაერთიანებულიყვნენ პროფკავშირებში, რომლებიც მოწოდებული იყვნენ დაეცვათ პროლეტარიატის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები. გაზეთი „პრავდა" მუშებს განუმარტავდა, რომ პროფკავშირები არიან მასობრივი ორგანიზაციები, რომლებიც აერთიანებენ ყველა მუშას განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა. პეტროგრადისა და მოსკოვის კომიტეტებმა შექმნეს ბიურო პროფკავშირის ორგანიზაციებისათვის. ამ საქმემ დიდი მხარდაჭერა ჰპოვა მუშებში. 50-ზე მეტ ქალაქსა და სამრეწველო რაიონებში შეიქმნა კომისიები, რომლებიც აღადგენდნენ პროფკავშირების ძველ ორგანიზაციებს და ჰქმნიდნენ ახალ კავშირებს. პროფესიული მოძრაობა სწრაფად განვითარდა. პეტერბურგსა აღდგენილ იქნა მეტალურგების პროფკავშირები, რომლებიც 500 ათასამდე მუშას აერ-

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი", 1917 წლის 1 მარტი.

თიანებდა (მეტალურგთა პროფესიული კავშირი პირველად 1909 წელს ჩამოყალიბდა). 1917 წლის 12 მარტს თეატრ „პალასში“ მოწვეულ იქნა მეტალურგების დამფუძნებელი კრება, • რომელსაც ესწრებოდა 2000 წარმომადგენელი. სამი დღის შემდეგ შრომის ბირჟის შენობაში მოეწყო შეკრება, სადაც 15 პროფკავშირის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ამ კრებებზე წყდებოდა პროფესიული კავშირების მორიგი საკითხები.

1917 წლის 1 მარტიდან 1 მაისამდე პეტროგრადში ორგანიზებულ იქნა 110 პროფესიული კავშირი, მოსკოვში — 120, ხარკოვში — 33, ჩრდილოეთ ბალტიის ოლქში — 24, ურალში—50-ზე მეტი; მთელ რუსეთში 2000-ზე მეტი პროფესიული კავშირი იყო, რომლებიც აერთიანებდნენ 1,5 მილიონ მუშას. მათ შორის მეტალურგების კავშირი აერთიანებდა 425.000 მუშას, ფეიქრების კავშირი 240.000 ფეიქარს.

ბოლშევიკების გავლენას განიცდიდა ფეიქართა და სხვა პროფკავშირების დიდი ნაწილი. უნდა აღინიშნოს, რომ რკინიგზელთა პროფკავშირები და სხვა უფრო წვრილი კავშირები მენშევიკებს და ესერებს მიჰყვებოდნენ, მათი გავლენის ქვეშ იყვნენ.

ცარიზმის დამხობის შემდეგ სამრეწველო საწარმოებში ბოლშევიკური პარტიის მოწოდებით სწრაფად შეიქმნა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები; მაგალითად: პეტროგრადში, მოსკოვში; ხარკოვში, ყაზანში, ურალში, ოდესაში, დონბასში და სხვ. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, რომლებიც მშრომელი მასების რევოლუციური ინიციატივით იყო შექმნილი, ფართო მუშაობას აწარმოებდნენ მუშებში. ისინი იცავდნენ მუშების ეკონომიურ ინტერესებს, ერეოდნენ მუშების ცხოვრების სხვადასხვა საკითხებში, მონაწილეობდნენ საბჭოების არჩევნებში, ახორციელებდნენ კონტროლს წარმოებაზე და პროდუქტების განაწილებაზე, თავისთაზე იღებდნენ წარმოების დაცვას რაიმე შემთხვევითობისაგან. 1917 წ. 3 მარტს სამხედრო ქარხნების მუშებმა (12 ქარხნიდან) აირჩიეს წარმომადგენლები და ამ წარმომადგენელთა მიერ მი-

ღებულ იქნა გადაწყვეტილება კონტროლი დაეწესებინათ წარმოებაზე, დაეცვათ იგი. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ავტორიტეტი თანდათანობით იზრდებოდა. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ბოლშევიკებისათვის წარმოადგენდა ციხე სიმაგრეს. საიდანაც ისინი ხელმძღვანელობდნენ მუშათა კლასის ბრძოლას 8-საათიანი სამუშაო დღისათვის და მუშათა კონტროლის განხორციელებისათვის.

როდესაც პეტროგრადის ბოლშევიკების კომიტეტმა მოუწოდა მუშებს თვითნებურად შემოეღოთ 8 საათიანი სამუშაო დღე, მაშინ პეტროგრადის ფაბრიკანტებისა და მექარხნეების საზოგადოება იძულებული იყო ეცნო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები. პეტროგრადის კომიტეტის პროლეტარიატის მაგალითს მიბაძეს მოსკოვის, ურალის, დონბასის და ქვეყნის სხვა სამრეწველო რაიონების მუშებმა. ამის შემდეგ დროებითი მთავრობა იძულებული გახდა 1917 წლის 23 აპრილს დაეკანონებინა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არსებობა, ხოლო ამასთან ერთად შეეცადნენ, ოღონ ისინი დაემორჩილებინათ ქარხნის სანმართველოებისათვის და საწარმოთა პატრონებისათვის.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები აქტიურად იბრძოდნენ კაპიტალისტების მიერ მოწყობილი ეკონომიური საბოტაჟების წინააღმდეგ. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ორგანიზაციული ხელმძღვანელობის განმტკიცების მიზნით, (რომ უფრო ქმედითი ყოფილიყო მათი მუშაობა) ბოლშევიკებს სურდათ შეექმნათ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისათვის საქალაქო და საოლქო ცენტრები. ეს, რა თქმა უნდა, გააადვილებდა კომიტეტების მუშაობის კოორდინირებას და სწორ მიმართულებას მისცემდა. მათს რევოლუციურ ბრძოლას.

რევოლუციის საქმისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვა პროლეტარიატის წინაშე აყენებდა ამოცანას, შეექმნა თავისი სამხედრო ორგანიზაციები. ეგრეთწოდებული მუშათა პროლეტარული მილიცია, რომელიც აღმოცენდა თებერვლის რევოლუციის მსვლელობაში. მუშათა შეიარაღებული რაზმები თვითონ იღებდნენ თავისთავზე პასუხისმგებლობას

დაეცვათ რევოლუციის მონაპოვარი, დაეცვათ ფაბრიკები და ქარხნები, არჩევითი ორგანოები, დაეცვათ წესრიგი სამრეწველო ქალაქებსა და სოფლებში. ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის დროს ლენინი წერდა, რომ საბჭოების გვერდით საჭიროა სამხედრო ორგანიზაცია, რომ ჩატარდეს აჯანყება ისე, როგორც ამას მომენტი მოითხოვს, რომლის გარეშე უძლური იქნებოდა მასების ყოველგვარი არჩევითი ორგანოები და საბჭოები.

რევოლუციური ზემოქმედებით პეტროგრადის მენშევიკურ-ესერული საბჭოს აღმასკომი იძულებული გახდა 28 თებერვალს გამოეტანა დადგენილება: ფაბრიკებსა და ქარხნებში შექმნილიყო მუშათა მილიცია 100-დან 1000 კაცამდე[1].

პეტროგრადისა და მოსკოვის ბოლშევიკურმა კომიტეტებმა შექმნეს სამხედრო კომისიები, რომლებიც მუშაობას აწარმოებდნენ ჯარისკაცებსა და მუშათა შეიარაღებულ რაზმებში. 14 აპრილს პეტროგრადში მოსკოვის რაიონის ბოლშევიკების კონფერენციაზე დაადგინეს შექმნილიყო წითელი გვარდია ყველა ფაბრიკა-ქარხანაში და ყველა რაიონში. დედაქალაქის ყველა რაიკომს გამოჰქონდა ასეთი გადაწყვეტილება და იბრძოდა მისი ცხოვრებაში გატარებისათვის. 1917 წ. 17 აპრილს შედგა პეტროგრადის მუშათა ამხანაგობის წარმომადგენელთა საერთო საქალაქო კრება; ამ კრებაზე არჩეულ იქნა დროებითი კომისია, რომელსაც დაევალა შეედგინა წითელი გვარდიის წესდების პროექტი.

მოსკოვის ბოლშევიკთა პირველმა საქალაქო კონფერენციამ 1917 წლის 3—4 აპრილს მიიღო დადგენილება ჩამოეყალიბებინა სახალხო მილიცია, რომელიც პროლეტარიატისა და გლეხობის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ყოფილიყო. მოსკოვის ქარხნებში (მიხელსონის, გუჟონის და სხვ.) შეიქმნა წითელი გვარდიის რაზმები. მოსკოვის და პეტროგრადის მაგალითის მიხედვით წითელი გვარდიის რაზმები შეიქმნა ივანოვო-ვოზნესენსკში, კრასნოიარსკში, დონბასში და სხვაგან. სორმოვოს მუშების პროლეტარული მილიციის

[1] გაზ. „იზვესტია“, 1917 წლის 28 თებერვალი.

რევოლუციურ შემოქმედებას ვ. ი. ლენინი თვლიდა მუშაობის საუკეთესო ნიმუშად. იგი არა მარტო იცავდა წესრიგს, ქარხნებში, ამავე დროს ცხოვრებაში ახორციელებდა რევოლუციურ გადაწყვეტილებებს, მუშათა კონტროლს და ასწავლიდა მუშებს სამხედრო ხელოვნებას.

პროლეტარული მილიციისა და მუშათა ამხანაგობის რევოლუციური მოქმედების წინააღმდეგ ბურჟუაზიამ დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა. დროებითმა მთავრობამ აუკრძალა სამაზრო და საქალაქო ხელისუფალთ, მეფაბრიკეებსა და მექარხნეებს, რომ მათ ხელფასი მიეცათ იმ მუშებისათვის, რომლებიც პროლეტარულ მილიციაში მუშაობდნენ, და ბოლოს მოსთხოვა გენერალ კორნილოვს მუშების განიარაღება. პეტროგრადის საბჭოს მენშევიკურმა ფრაქციამ დაადგინა: „არსებული მუშათა გვარდია ჩაითვალოს როგორც ზედმეტი“[1].

მენშევიკებისა და ესერების პარტიის ლიდერებმა თავიანთ პარტიის წევრებს აუკრძალეს წითელ გვარდიაში შესვლა და მონაწილეობის მიღება მათ ორგანიზაციებში. ესერები და მენშევიკები ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ წითელ გვარდიასა და პროლეტარულ მილიციაზე.

წითელი გვარდია და პროლეტარული მილიცია იყო რევოლუციური ორგანიზაციები, რომელთა არსებობას და განმტკიცებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბოლშევიკური პარტია და პირადად ვ. ი. ლენინი. საბჭოებთან ერთად პროლეტარული მილიცია და რევოლუციური ორგანიზაციები ახალი ხელისუფლების არა მარტო შემადგენელ ნაწილს, არამედ ერთ-ერთ მთავარ ძალასა და დასაყრდენს წარმოადგენდნენ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების პერიოდში.

რევოლუციურ-პოლიტიკური კავშირი მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს შორის ცარიზმის დამხობის შემდეგ თანდათანობით გაძლიერდა, და განმტკიცდა. ეს კავშირი იყო მთავარი დასაყრდენი რევოლუციის შემდგომი განვითა-

---

[1] „რაბოჩაია გაზეტა“, 1917 წლის 5 მაისი.

რებისათვის, მისი საერთო საზოგადოებრივი ძალა, რომელიც რევოლუციას წინ სწევდა.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების კავშირის სახით კაპიტალისტებმა და მემამულეებმა დაინახეს თავიანთთვის მომაკვდინებელი საფრთხე. ამიტომ რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ისინი ცდილობდნენ გაეწყვიტათ არმიასა და ხალხს შორის კავშირი. 1917 წლის მარტის დამდეგს დროებითმა მთავრობამ შეიმუშავა ჯარისკაცის ფიცის ტექსტი. ამ ფიცის მიღებით დროებითი მთავრობა ცდილობ და გამოეყვანა ჯარისკაცები პროლეტარიატის იდეური გავლენიდან. ბოლშევიკებმა მოუწოდეს ჯარისკაცებს არ მიეღოთ ფიცი.

ბურჟუაზიული პრესა აპრილის თვეში განსაკუთრებით შეეცადა განეთქილება შეეტანა მუშებსა და ჯარისკაცებს შორის.

კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა მუშებსა და ჯარისკაცებს ურთიერთშორის პოლიტიკური კავშირის შენარჩუნებისა და მისი შემდგომი განმტკიცებისაკენ. ბოლშევიკების ინიციატივით მუშები თავიანთ დელეგატებს აგზავნიდნენ კაზარმებსა და ფრონტზე, სადაც ისინი მოუთმენლად ფაბრიკა-ქარხნებში არსებულ სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობებზე. ჯარისკაცებიც აგზავნიდნენ თავიანთ დელეგატებს მუშებთან, იცნობდნენ მათ ცხოვრებას და მუშაობის პირობებს. ბოლშევიკების პარტია მუშებისა და ჯარისკაცების ერთობლივ მიტინგებს მართავდნენ, ლებულობდნენ რეზოლუციებს, რომლებშიც დაგმობილი და ნახლებული იყო კაპიტალისტთა ცილისწამება მუშებზე. ერთ-ერთ ლეგიონის სარეზერვო ბატალიონის ჯარისკაცები წერდნენ: „მუშა ძმებო, ათეული წლების მანძილზე თავისუფლებას სწყდავდით, რისთვისაც სახელოვან მებრძოლთა ასეულებმა შესწირეს თავიანთი სიცოცხლე. მუშებო, არ გამოხვიდეთ ქარხნებიდან, როგორც ამას ბურჟუაზიული გაზეთები მოგიწოდებენ— ეს არის სიცრუე, აშკარა პროვოკაცია“[1].

---

[1] გახ. „პრავდა“, 1917 წლის 18 აპრილი.

1917 წლის 4 აპრილს ჩატარდა საპროტესტო მიტინგები პუტილოვის ქარხანაში, სესტრორეცკში, რენოში, ლებედევის საავიაციო ქარხანაში და სხვ.

ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობამ არმიაში, (ფრონტზე და ზურგში) კარგი ნაყოფი გამოიღო მუშათა კლასსა და ჯარისკაცთა შორის კავშირის განმტკიცების თვალსაზრისით. ბოლშევიკების ცკ-ის ბიურომ პარტიულ კომიტეტებს წინადადება მისცა აღედგინათ ძველი და შეექმნათ ახალი ორგანიზაციები არმიაში. იმისათვის, რომ ცკ-ის ხელმძღვანელობა, რევოლუციურ არმიაში შექმნილ იქნა სპეციალური კომისია, რომელიც სამხედრო ბიუროდ გადაკეთდა. შემუშავებულ იქნა ჯარისკაცებს შორის მუშაობის გეგმა, დაარსდა მათთვის კლუბი „პრავდა“, სადაც ჯარისკაცების წინაშე ხშირად გამოდიოდნენ ცენტრალური კომიტეტისა და პეტროგრადის კომიტეტის წევრები მოხსენებებით მიმდინარე მომენტისა, ბოლშევიკური პროგრამისა და სხვა საკითხების შესახებ. კლუბი მუდამ სავსე იყო როგორც ადგილობრივი, ისე ფრონტიდან ჩამოსული ჯარისკაცებით. იგი წარმოადგენდა არმიაში ბოლშევიკური იდეების გავრცელების ერთ-ერთ ცენტრს. მარტის ბოლო რიცხვებში პეტროგრადის კომიტეტმა მოიწვია ჯარისკაცებისა და ოფიცრების დამფუძნებელი კრება, აქ ჩამოყალიბდა სამხედრო ორგანიზაცია პეტროგრადის რსდმპ (ბ) კომიტეტთან. ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციამ 1917 წლის 15 აპრილს დაიწყო გაზეთ „სოლდატსკაია პრავდას“-ს გამოშვება, რომელიც ათასობით ვრცელდებოდა გარნიზონებსა და ფრონტებზე. ჯარისკაცების მეშვეობით „სოლდატსკაია პრავდამ“ რუსეთის სოფლებშიაც მიაღწია.

ქვეყნის თითქმის ყველა რაიონში, სადაც კი სამხედრო გარნიზონები იყო, ფრონტის ყველა უბანზე ბოლშევიკები ქმნიდნენ სამხედრო ორგანიზაციებს, ჯარისკაცებს შორის ეწეოდნენ აგიტაციას, უხსნიდნენ და განუმარტავდნენ მათ ომის ნამდვილ მიზეზებსა და რევოლუციის ძირითად საკითხებს. ბოლშევიკების ბრძოლა არმიისათვის ამავე დროს იყო

ბრძოლა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის. მით უმეტეს, რომ რუსეთის არმიის $^3/_4$ გლეხებისაგან შედგებოდა.

მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი რომ უფრო განმტკიცებულიყო, ბოლშევიკების პარტიამ თებერვლის რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერა პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა გლეხობაში, რაზმავდა მას პროლეტარიატის ირგვლივ, გლეხებს განუმარტავდა რომ მიწას, ზავსა და თავისუფლებას ისინი მოიპოვებენ მხოლოდ პროლეტარიატთან კავშირში და მისი ხელმძღვანელობით.

ბოლშევიკები განუმარტავდნენ გლეხობას, რომ მიწის მიღება მემამულეების თანხმობით არასოდეს არ მოხდება, რომ მათ დამფუძნებელ კრებას კი არ უნდა დაუცადონ, არამედ თავიანთ ხელში უნდა აიღონ მიწები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და თვითონ მუშათა კლასთან ერთად იბრძოლონ თავიანთი მომავლისათვის. ბოლშევიკური გაზეთები „პრავდა“, „სოციალდემოკრატი“ და სხვ., თავიანთ ფურცლებზე მუდამ ათავსებდნენ გლეხთა საკითხის შესახებ წერილებს და კორესპონდენციებს. ბოლშევიკები მუშებს აგზავნიდნენ სოფლებში ლიტერატურით, სააგიტაციო მასალებით, სადაც ისინი რაზმავდნენ გლეხობას მუშათა კლასის მხარეზე.

მემამულური მიწათმფლობელობის გაუქმების, მიწების კონფისკაციისა და მიწის ნაციონალიზაციის ბოლშევიკური პროგრამა გამოხატავდა გლეხთა სასიცოცხლო ინტერესებს, ამაღლებდა ბოლშევიკური პარტიის ავტორიტეტს და ემსახურებოდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცების საქმეს.

ჩვენი პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა უუფლებო მდგომარეობიდან ქალთა განთავისუფლებას და მათ ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „თუ ქალები არ ჩავაბით საზოგადოებრივ მუშაობაში,—აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — მილიციაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუ ქალები არ გამოვგლიჯეთ ოჯახისა და სამზარეულოს გარემოს, რომელიც მათ გონებას უხშობს, ისე შეუძლებელია ნამდვილი

თავისუფლების უზრუნველყოფა, შეუძლებელია თვით დემოკრატიის შენება, სოციალიზმზე რომ აღარაფერი ვთქვათ"[1].

ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მითითებით, 1917 წ. 15 მარტს პეტროგრადის კომიტეტმა განიხილა საკითხი ქალთა მოძრაობის შესახებ და მიიღო დადგენილება ბიუროს შექმნის შესახებ, ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მოაწყო ჟურნალ „რაბოტნიცას" გამოცემა, რომელიც დღესაც საყვარელ ჟურნალს წარმოადგენს ჩვენი მუშა ქალებისათვის.

1917 წლის 17 მარტს „პრავდაში" გამოქვეყნდა მიმართვა „ყველა მუშა ქალებისადმი", რომელშიც ნათქვამია, რომ რსდმპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილია პროლეტარ ქალთა ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ქალთა რევოლუციურ მოძრაობას. ამავე დროს პეტროგრადის კომიტეტი ქალებს მოუწოდებდა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმულიყვნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მისაღწევად. ქალთა პროლეტარული მოძრაობის ორგანიზებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს ისეთმა გამოჩენილმა ბოლშევიკებმა, როგორიც იყვნენ ნ. კ. კრუპსკაია, ა. კოლონტაი, მ. ულიანოვა, გ. ზემლიაჩკა, კ. ნიკოლაევა, კ. სამოილოვა, ი. არმანდი, ე. სტასოვა და სხვ.

ამრიგად, ბოლშევიკების პარტიამ როგორც კი მიიღო ლეგალურად მოღვაწეობის შესაძლებლობა, მარტ-აპრილში უდიდესი მუშაობა ჩაატარა ძველი ორგანიზაციების აღდგენა-გადახალისების, ახალი ორგანიზაციების შექმნისა და მუშათა მასობრივი რევოლუციური ბექდვითი ორგანოების გამოცემის ხაზით. ბოლშევიკური პარტიის ენერგიული მუშაობით ორგანიზებულ იქნა პროფკავშირები და საფაბოიკო-საქარხნო კომიტეტები. ბოლშევიკური პარტიის ინიციატივით და ხელმძღვანელობით მუშათა კლასმა შექმნა წითელი გვარდიის რაზმები და პროლეტარული მილიცია რევოლუციის მონაპოვარის დაცვისა და განმტკიცებისათვის. პარტია შეუნელებელ ბრძოლას ეწეოდა ესერებისა და მენშევიკების

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხს., ტ. 23, გვ. 435.

შემთანხმებლური პოლიტიკის წინააღმდეგ მუშათა და ჯარის-კაცთა კავშირის შენარჩუნებისა და გაფართოების, არმიის მუშათა კლასის მხარეზე გადმოყვანისა და მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განძტკიცების მიზნით. პარტია შეუდგა ქალთა პროლეტარული მოძრაობის ორგანიზებას. პარტიის ეს შემოქმედებითი მუშაობა მიმართული იყო მასების მიმხრობისა და შემთანხმებლური პარტიების იზოლაციისაკენ. პარტია ამ ბრძოლას ეწეოდა ახალ ისტორიულ, რევოლუციის ძირითადი საკითხების ახალი ორიენტირების პირობებში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო 1917 წ. მარტის დამდეგს მოუწოდებდა მეომარი ქვეყნების მუშათა კლასს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისაკენ, ფრონტებზე სალდათების დაძმობილების უფრო ფართოდ გამოყენებისაკენ და არმიის დემოკრატიზაციისაკენ[1].

ბოლშევიკური პარტიის პეტროგრადის კომიტეტმა განიხილა ომისადმი დამოკიდებულების საკითხი და წინადადება მისცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს მიეღო დადგენილება, რათა გაეგზავნათ ფრონტზე საუკეთესო აგიტატორები და პროპაგანდისტები ბოლშევიკების რიგებიდან, რომ აეხსნათ და განემარტათ ჯარისკაცებისათვის ომის ნამდვილი არსი, ეთქვათ მართალი სიტყვა დამპყრობლური, იმპერიალისტური ომის შესახებ. ბოლშევიკური პრესა ყოველი ღონისძიებით ცდილობდა მშრომელი ხალხისათვის გასაგები გაეხადა ომის იმპერიალისტური ხასიათი, რომ ომი წარმოებს არა ქვეყნის თავდაცვისათვის, არამედ კაპიტალისტებისა და ბანკირების მოგებისათვის.

ბოლშევიკების პარტია ამხელდა რა დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ და იმპერიალისტურ ხასიათს, ბრძოლას ეწეოდა საბჭოების სრულუფლებიანობისათვის და მათი ბოლშევიზაციისათვის. ამ მიზნით პარტიის ცკ-ის ბიუროს მითითებით პეტროგრადის საბჭოში 1917 წ. 10 მარტს შეიქმნა ბოლშევიკების ფრაქცია. პეტროგრადის ორ-

[1] გაზ. „პრავდა“, 1917 წლის 10 მარტი.

განიზაციის მაგალითის მიხედვით საბჭოებში სხვაგანაც შეიქმნა ბოლშევიკური ფრაქციები.

ბოლშევიკების პარტია თავის ფრაქციებს ქმნიდა გლეხთა საგუბერნიო საბჭოების ყრილობებზე (რომლებიც 1917 წლის აპრილში ჩატარდა), სადაც პარტია განუმარტავდა მასებს აგრარული პოლიტიკის არსს, ამხელდა ესერების გამცემლურ პოლიტიკას და მოუწოდებდა გლეხობას შემჭიდროებულიყვნენ პროლეტარიატის გარშემო. მთელი ძალები მოეხმარათ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში მმვიდობიანი გადაზრდისათვის.

რევოლუციური მოღვაწეობის პროცესში ბოლშევიკური პარტია მეჩიდროდ რაზმავდა თავის რიგებს, საბჭოებში ამაგრებდა თავის პოზიციებს, კიდევ უფრო განამტკიცებდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირს. მაგრამ მიუხედავად საერთოდ დიდი მუშაობისა, ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციებს სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნდა. მართალია, ბოლშევიკების პარტია დიდ ყურადღებას უთმობდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების საქმეს და საერთოდ გლეხობის საკითხს, მაგრამ ბოლშევიკური პარტიის მუშაობა სოფლად ჯერ კიდევ სუსტი იყო, ცალკეული ორგანიზაციები ვერ იყენებდნენ მთლიანად იმ ლეგალურ შესაძლებლობებს, რაც არსებობდა.

ბოლშევიკური პარტიის წინაშე იდგა გადაუდებელი ამოცანა: მოეპოვებინა მილიონიანი მშრომელი გლეხების უმრავლესობის ნდობა, გაეთავისუფლებინა ესერებისა და მენშევიკების გავლენისაგან და პროლეტარიატის მხარეზე დაერაზმა ისინი, შეექმნა რევოლუციური არმია, რომელიც უზრუნველყოფდა ხალხის მონაპოვრის დაცვას ბურჟუაზიის ხელყოფისაგან და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას.

ბოლშევიკურ პარტიას რომ თავიდანვე ჰქონოდა შესაძლებლობა შეექმნა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მტკიცე კავშირი (რისთვისაც იგი შეუპოვრად იბრძოდა), შეექმნა ერთიანი მძლავრი რევოლუციური ბანაკი, მაშინ დროებითი მთავრობა და მისი ხელშემწყობი წვრილბურჟუაზიული პარტიები იძულებული იქნებოდნენ ქედი მოეხარათ

ხალხის უმრავლესობის რკინისებური ნებისყოფის წინაშე, უაზროდ ჩაეთვალათ წინააღმდეგობის გაწევა და მაშინ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება შედარებით მშვიდობიანად, თითქმის უსისხლოდ უზრუნველყოფილი იქნებოდა, ცხადია, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ინტერესების შესაბამისად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთში რევოლუციის განვითარების გზებისა და პერსპექტივების შესახებ ბოლშევიკურ პარტიას ჯერ კიდევ არ გააჩნდა ერთიანი გენერალური ხაზი, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული რუსეთის რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ლენინური გეგმა. ამასთანავე ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია საბჭოებში მუშაობას სათანადოდ ვერ აფასებდა. მათ დაგვიანებით შექმნეს ბოლშევიკური ფრაქციები საბჭოებში და სუსტად ხელმძღვანელობდნენ მათ. აპრილის შუა რიცხვებში მოსკოვის ბოლშევიკების საქალაქო კონფერენციამ საბჭოებში მუშაობა სუსტად შეაფასა. VII (აპრილის) კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საბჭოებში ბოლშევიკური ფრაქციები ცუდად არიან ორგანიზებულნი, სრულიად არადამაკმაყოფილებელია მათი კავშირი და გავლენა მუშათა სექციებზე.

ზოგიერთმა ორგანიზაციებმა (ეკატერინოგრადის, მინსკისა და თბილისის) მხოლოდ აპრილის კონფერენციის შემდეგ დაიწყეს ბოლშევიკური ფრაქციების შექმნა საბჭოებში. ბოლშევიკური ფრაქციების დაგვიანებით შექმნა იმითაც აიხსნება, რომ ესერები და მენშევიკები მუდამ არ განიცდიდნენ ბოლშევიკური პარტიის მხრივ შეუპოვარ წინააღმდეგობას, ამიტომ ისინი თავისუფლად პარპაშობდნენ და შემთანხმებლურ პოლიტიკას ატარებდენ.

ესერები და მენშევიკები მხრებგაშლილი დაპარპაშობდნენ საბჭოებში, ხშირი სტუმრები იყვნენ დროებითი მთავრობისა და თავიანთი მოქმედებით მუშათა კლასის კლასობრივი ინტერესების მიმართ გამცემლურ როლს ასრულებდნენ. საბჭოებში ესერებისა და მენშევიკების უმრავლესობის გაბატონების მიზეზები შემდეგი გარემოებით აიხსნება:

პირველი, რუსეთი ყველაზე უფრო წვრილბურჟუაზიული ქვეყანა იყო, ვიდრე ევროპის რომელიმე ქვეყანა. ამაკე

დროს როგორც ქალაქის, ისე სოფლის წვრილბურჟუაზიული ფენები თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე თითქმის სრულიად არ მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ომისაგან გამოწვეულმა სამეურნეო ნგრევამ, ფრონტებზე სამხედრო დამარცხებებმა წვრილბურჟუაზიაში უკმაყოფილება გამოიწვია, რევოლუციამ კი საბოლოოდ გამოაღვიძა ისინი ხანგრძლივი ძილისაგან და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაითრია. ჩაებნენ რა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში, წვრილბურჟუაზიულ ობივატელებს არ გააჩნდათ პრინციპული პოლიტიკა, ერთიანი მსოფლმხედველობა, თავისი სოციალ-ეკონომიური ბუნებით ისინი კმაყოფილებას გრძნობდნენ წვრილბურჟუაზიული პროგრამით. ამიტომ წვრილი ბურჟუა ხმას აძლევდა მენშევიკებსა და ესერებს საბჭოებში გასაგზავნად.

მ ე ო რ ე, პროლეტარიატი არასაკმარისად იყო ორგანიზებული, ნაკლებად ერკვეოდა რთულ პოლიტიკურ ვითარებაში; მუშათა კლასის მნიშვნელოვან ნაწილს სჯეროდა მენშევიკებისა და ესერების ყალბი პოლიტიკისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ომის დროს მნიშვნელოვნად შეიცვალა პროლეტარიატის შემადგენლობა. მუშები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურ მოძრაობაში, მეფის მთავრობამ არმიაში გაიწვია. საუკეთესო მუშების 40 პროცენტზე მეტი ფრონტის მოწინავე ხაზებზე გაგზავნეს, ხოლო ფაბრიკა-ქარხნებში „სამუშაოდ" წავიდნენ წვრილბურჟუაზიის ფენებიდან, რომლებიც უმთავრესად თავს არიდებდნენ სამხედრო სამსახურს, მყუდრო ადგილს ეძებდნენ და შოულობდნენ კიდეც ათასგვარი ხრიკებითა და გაიძვერობით.

წვრილბურჟუაზიული ფენიდან ფაბრიკა-ქარხნებში ახლად მოსული მუშათა ნაკადი მენშევიკებისა და ესერების პოლიტიკის საუკეთესო დასაყრდენი აღმოჩნდა, რამაც კიდევ უფრო გაანაყოფიერა შემთანხმებლური პარტიების ნიადაგი.

მ ე ს ა მ ე. მენშევიკებმა და ესერებმა შემოიღეს საბჭოების არჩევნების ისეთი წესი, როდესაც მუშებიდან დეპუტატებს მცირე რაოდენობით ირჩევდნენ, ვიდრე არმიიდან. პეტროგრადის და სხვა სამრეწველო ცენტრების მუშები

1.000 კაცზე 1 დეპუტატს ირჩევდნენ, ხოლო მუშათა უფრო მცირერიცხოვანი კოლექტივები 600—700 მუშაზე, ჯარისკაცები კი 500 კაცზე. პეტროგრადის საბჭოში 400 ათასი მუშა 800 მუშა-დეპუტატით იყო წარმოდგენილი, ხოლო 150 ათასი ჯარისკაცი წაომოდგენილი იყო 2.000 დეპუტატით. ამიტომ იყო, რომ ზოგიერთ საბჭოში ორჯერ მეტი იყო ჯარისკაცთა დეპუტატები, ვიდრე ჰუშებისა (არმაკირის, ირკუტსკის, კრასნოიარსკის და სხვ. საბჭოებში). ცნობილია, რომ რუსეთის არმიის შემადგენლობაში ჯარისკაცების 75—80 პროცენტი გლეხები იყვნენ, რომლებიც გამოხატავდნენ წვრილბურჟუაზიის ინტერესებს. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ პეტროგრადსა და მოსკოვის საბჭოების ჯარისკაცთა სექციებში უმრავლესობას ესერები და მენშევიკები შეადგენდნენ.

ვ. ი. ლენინმა საბჭოებში არჩევის ასეთი წესი დაგმო როგორც მენშევიკებისა და ესერების მიერ ჩადენილი პოლიტიკური სიყალბე და პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მოითხოვა თანაბარი საარჩევნო კანონის შემოღება.

მეოთხე, ომის დროს მენშევიკები და ესერები, როგორც სოციალ-შოვინისტები, მეფის მთავრობის მხრივ დევნას არ განიცდიდნენ, იმ დროს როდესაც ბოლშევიკებს სასტიკად სდევნიდნენ. როდესაც მუშებმა და ჯარისკაცებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თებერვლის რევოლუცია განახორციელეს, მენშევიკების და ესერების ლიდერები რევოლუციას მიეტმასნენ, საბჭოების ხელმძღვანელობაში გაძვრნენ და ხელში ჩაიგდეს მშრომელთა სხვა ორკანიზაციები.

მენშევიკებმა და ესერებმა ისარგებლეს აგრეთვე იმით, რომ მეფის მთავრობამ IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქცია დააპატიმრა და ციმბირში გადაასახლა. ბოლშევიკური პარტიის ბელადი ვ. ი. ლენინი კი საზღვარგარეთ, ემიგრაციაში იმყოფებოდა.

ყველა ეს მიზეზი ნათელს ხდის იმას, რომ საბჭოებში უმრავლესობა ესერებისა და მენშევიკების ხელში იყო, ხოლო ბოლშევიკები უმცირესობას შეადგენდნენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების ოპორტუნისტული ბლოკის წინააღმდეგ.

მიუხედავად ყოველივე ამისა საბჭოებში მუშებისა და გლეხების ორგანიზების საქმე განუხრელად წინ მიდიოდა. ჩაგრული კლასების საუკეთესო ადამიანები გრძნობდნენ, რომ დროებითი მთავრობა, მიუხედავად მისი დროებითი შეთანხმებისა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან რჩება ხალხისა და რევოლუციის მტრად.

თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბოლშევიკების პარტია თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გამოვიდა ა შ კ ა რ ა დ იატაკქვეშეთიდან და მშრომელთა ფართო მასებში გააჩაღა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობა, უდიდესი ყურადღება დაუთმო მასების შემოქმედებითი ინიციატივით შექმნილ რევოლუციურ ორგანიზაციებს: მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, პროფკავშირებს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს, გლეხთა კომიტეტებს, რომლებიც აერთიანებდნენ მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს, და მოხერხებულად აბამდა მათ რევოლუციურ ბრძოლებში ზავისათვის, ჰურისათვის, 8-საათიანი სამუშაო დღის და დემოკრატიულ უფლებათა მოპოვებისათვის.

ბოლშევიკურმა პარტიამ განაახლა და გააფართოვა თავისი ბეჭდვითი ორგანოების გამოცემა, რამაც უდიდესი როლი შეასრულა კომუნისტური პარტიის ძველი ორგანიზაციების აღდგენისა და მათი გაფაართოება-განმტკიცების საქმეში, ნუნაია კლასისა და მშრომელი გლეხობის მრავალმილიონიანი მასების დარაზმვისა და რევოლუციის მშვიდობიანი გზით განვითარების საქმეში.

მიუხედავად დიდნაბიჯნელოვანი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობისა ბოლშევიკების პარტიას თავის მუშაობაში ჰქონდა სერიოზული ნაკლოვანებანი რევოლუციის ზოგიერთი ძირითადი საკითხების გადაჭრის საქმეში. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ პარტიას ჯერ გარკვეული არ ჰქონდა რუსეთის რევოლუციის განვითარების ტაქტიკური ხაზი, მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის უმრავლესობა ესერებისა და მენშევიკების მყვირალა ფრაზებით გაბრუებულნი ნდობას უცხადებდა დროებით მთავრობას, სუ-

როდა მათი დაპირებებისა, მაგრამ მოვლენები სულ უფრო და უფრო სწრაფად ვითარდებოდა.

მთავრობის იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკა, სახალხო მეურნეობის კატასტროფული მდგომარეობა და შიმშილი პროლეტარიატსა და გლეხობას თანდათან უნერგავდა დროებითი მთავრობისა და ამ უკანასკნელის ხელშემწყობი წვრილბურჟუაზიული პარტიებისადმი უნდობლობას, აძლიერებდა რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებას.

მოვლენათა განვითარებამ ობიექტური პირობები მოამზადა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის. ახლა უკვე ყველაზე მეტად იყო საჭირო ახალი ვითარების შესაბამისი ტაქტიკური ხაზი.

თავი II

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში მზვიდობიანი ზადაზრდისათვის ბრძოლის ლენინური გეგმა

1. ვ. ი. ლენინი რუსეთის პროლეტარიატის ამოცანების შესახებ რევოლუციის გარდამავალ ეტაპზე

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების დღეებში ვ. ი. ლენინი საზღვარგარეთ იმყოფებოდა, საიდანაც თვალყურს ადევნებდა რუსეთის რევოლუციის მოვლენების განვითარებას, სწავლობდა თითოეულ ფაქტს, ახდენდა მათ ანალიზს და თავის წერილებში სახელმძღვანელო მითითებებს აძლევდა რუსეთის გმირ პროლეტარიატსა და ბოლშევიკურ პარტიას, უჩვენებდა იმპერიალისტური ომიდან გამოსავალს და მიუთითებდა სოციალისტური რევოლუციის განხორციელების გზებზე.

ვ. ი. ლენინი ყველაზე უკეთესად ითვალისწინებდა, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარებულიყო რევოლუცია და რა სიძნელეების დაძლევა მოუხდებოდა რუსეთის მუშათა კლასსა და მშრომელ მოსახლეობას, რა შეუპოვარი რევოლუციურ-ორგანიზაციული ბრძოლა დასჭირდებოდა კომუნისტურ პარტიას, რომ მიეღწია სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია პროლეტარიატმა მოახდინა,—მიუთითებდა ვ. ი. ლენინი,—მან გამოიჩინა გმირობა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, გაიყოლია მშრომელი მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენები, რომ იგი მოითხოვდა პურს, ზავსა და თავისუფლებას, მოითხოვდა დემოკრატიულ რესპუბლიკას, თანაუგრძნობდა

სოციალიზმს; ხოლო კაპიტალისტებს და ერთ მუჭა მემამულეებს, რომელთა წარმომადგენლებისაგან შეიქმნა დროებითი მთავრობა, სურდათ გაეყალბებინათ მშრომელი ხალხის უდიდესი უმრავლესობის ნებისყოფა და მისწრაფება, უნდოდათ შელამაზებული ფორმით შეენარჩუნებინათ დაცემის გზაზე მდგარი საძულველი მონარქია. რუსეთის მებრძოლი პროლეტარიატის შესახებ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „მუშებო, თქვენ გამოიჩინეთ პროლეტარული, სალხური გმირობის სასწაულები სამოქალაქო ომში ცარიზმის წინააღმდეგ. თქვენ უნდა გამოიჩინოთ პროლეტარული და საყოველთაოსახალხო ორგანიზაციის სასწაულები, რათა მოამზადოთ თქვენი გამარჯვება რევოლუციის მეორე ეტაპზე"[1].

ბოლშევიკებმა მორიგ ამოცანად უნდა დაისახონ,—წერდა ლენინი.— განუმარტონ ხალხს, დაანახვონ მას ბურჟუაზიული პოლიტიკანების მატყუარობა, ასწავლონ ხალხს, დაენდოს ხოლოდ თავის საკუთარ ძალებს, თავის ორგანიზაციას, თავის წეიარაღებას, დროებით მთავრობას იქტიაბრისტებისა და კადეტების, გუჩკოვებისა და ბილიუკოვების მთავრობას არ ძალუძს მისცეს ხალხს არც ზავი, არც პური, არც თავისუფლება. ლენინი აღნიშნავდა, რომ დროებითი მთავრობა ქვეყანას ზავს ვერ მისცემს, იმიტომ, რომ იგი ომის მთავრობაა, იმპერიალისტური სოცვა-ჟლეტის განგრძობის, ძარცვა-გლეჯის მთავრობაა, რომელსაც ხელფეხი აქვს შეკრული ინგლის-საფრანგეთის და ამერიკის კაპიტალით; რუსეთის კაპიტალი უცხოელი იმპერიალისტების კაპიტალის გაბუყოფილებაა, რომელიც ასობით მილიარდ მანეთს ატრიალებს; პურს ვერ მისცემს, იმიტომ რომ იგი ბურჟუა-მემამულეების მთავრობაა; თავისუფლებას ვერ მისცემს მშრომელ ხალხს, იმიტომ რომ იგი მემამულურ-კაპიტალისტური მთავრობაა, რომელსაც ყველაზე მეტად ხალხისა ეშინია.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 406—407.

აქედან გამომდინარეობდა იმ შეუპოვარი ბრძოლის აუ-
ცილებლობა, რომელიც ბოლშევიკურ პარტიას და საერთოდ
რუსეთის ექსპლოატირებულ კლასებს მოელოდათ რევოლუ-
ციის დაბალი საფეხურიდან მის უმაღლეს საფეხურზე, ანუ
მეორე ეტაპზე გადასვლისათვის.

ვ. ი. ლენინის მითითებანი საფუძვლად დაედო რუსეთის
ბოლშევიკების შემოქმედებით მუშაობას. მაგრამ „წერილები
შორიდან" როდი აკმაყოფილებდა ლენინის რევოლუციურ
მემოქმედებას. ლენინი რუსეთში დაბრუნებაზე ფიქრობდა.

მსოფლიოს იმპერიალისტებმა იცოდნენ ლენინის დამო-
კიდებულება იმპერიალისტური ომისადმი, ამიტომ ისინი ში-
შობდნენ ლენინის რუსეთში დაბრუნებაზე, და ყოველ-
მხრივ უშლიდნენ ხელს ბოლშევიკი ემიგრანტების ჩასვლას
რუსეთში, რადგან ბოლშევიკები უთუოდ ამხელდნენ იმპე-
რიალისტური ომის ყაჩაღურ მიზნებს, ხალხს განუმარტავდ-
ნენ დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ საგარეო პოლი-
ტიკის არსს, წამოაყენებდნენ ომის საწინააღმდეგო ლოზუნ-
გებს და ყოველივე ეს საფუძვლიანად შეარყევდა მათ საერთო
პოზიციებს და ჩაეშლებოდათ რუსეთის დამონების ყაჩაღური
გეგმები.

ვ. ი. ლენინი ახერხებს რუსეთში ჩამოსვლას. 1917 წლის
3 აპრილს საღამოს ფინეთის სადგურზე შეიკრიბნენ მუშები,
ჯარისკაცები, მატროსები და სხვ. სადგურის მოედანზე
დროშებითა და პლაკატებით მოვიდნენ პიტერის რაიონის
მუშები. პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცებმა და წი-
თელგვარდიელებმა საპატიო ყარაული ჩაამწკრივეს. საღამოს
11 საათსა და 10 წუთზე მატარებელი სადგურში ჩამოდგა.

ვ. ი ლენინის გამოჩენას აღფრთოვანებული ოვაციით
შეეგებნენ პეტროგრადის მუშები, ჯარისკაცები და მატრო-
სები. ლენინი ხელში აიყვანეს და ისე მიაცილებდნენ სადგუ-
რის დიდ დარბაზში. მენშევიკებმა პეტროგრადის საბჭოს
სახელით დაიწყეს „მისასალმებელი" სიტყვების წარმოთქმა.
ჩხეიძე „იმედს გამოთქვამდა", რომ ლენინი მათთან „საერთო
ენას" გამონახავდა, მაგრამ ლენინმა მენშევიკებს არ მოუს-
მინა, იგი მუშებისა და ჯარისკაცებისაკენ გაემართა და

მხურვალედ მიესალმა მათ. ხანგრძლივი „ვაშას“ ძახილით მიესალმა პროლეტარიატი. თავის ბელადს. ვ. ი. ლენინი ჯავშნიან მანქანაზე ავიდა, საიდანაც წარმოთქვა სიტყვა, რომელიც დაამთავრა ლოზუნგით „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“.

ვ. ი. ლენინის რუსეთში ჩამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციის საქმისათვის, ბოლშევიკური პარტიისათვის.

რუსეთში დაბრუნებისთანავე ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად კლასობრივ ძალთა განლაგების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა რუსეთის რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გეგმა, განსაზღვრა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის გზები, დასახა პროლეტარიატის ამოცანები ამ რევოლუციაში.

1917 წლის 4 აპრილს პიტერში ვ. ი. ლენინი ბოლშევიკების კრებაზე გამოვიდა მოხსენებით ომისა და რევოლუციის შესახებ, რომელშიც ჩამოაყალიბა პროლეტარიატის ამოცანები მიმდინარე რევოლუციაში. ლენინის გამოსვლა ყველასათვის მეტად საინტერესო იყო.

ვ. ი. ლენინის თეზისებმა და მოხსენებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ბოლშევიკებს შორის და თვით „პრავდის“ რედაქციაში. ვ. ი. ლენინმა თავის თანამოაზრეებთან მთელი რიგი თათბირების შემდეგ მიზანშეწონილად სცნო თეზისების გარშემო აზრთა სხვადასხვაობა ა შ კ ა რ ა დისკუსიის საგნად გაეხადა, რომელიც მდიდარ მასალას დააგროვებდა ბოლშევიკური პარტიის სრულიად რუსეთის მორიგი კონფერენციისათვის. ლენინმა ამ დისკუსიას მიუძღვნა ცნობილი „წერილები ტაქტიკაზე“, რომელშიც მოგვცა უმთავრესი მოსაზრებანი მუშათა კლასის მოძრაობის პრაქტიკული ამოცანების შესახებ.

ბურჟუაზიულმა პრესამ, მენშევიკებმა და ესერებმა გააფთრებული ბრძოლა დაიწყეს ლენინის აპრილის თეზისებში წამოყენებული დებულებების წინააღმდეგ. ისინი ყოველგვარი ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი ტონით იხსენიებდ-

ნენ ლენინის გამოსვლას. ბურჟუაზიის წრიდან გამოსული ოპონენტები ლენინის შეხედულებებს აშკარად ამახინჯებდნენ, რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ლენინურ გეზს გადმოსცემდნენ, როგორც „რევოლუციური დემოკრატიის წრეში სამოქალაქო ომისაკენ“ მოწოდებას.

ლენინი პირველ ორ დღეს მცირე მომხრეებით თითქმის მარტოდმარტო აღმოჩნდა თავისი გენიალური თეზისებით. „მაგრამ ლენინს არ შეეშინდა წასულიყო მდინარების წინააღმდეგ, უძრაობის წინააღმდეგ და ლენინმა გაიმარჯვა“[1].

ლენინის აპრილის თეზისები წარმოადგენენ შემოქმედებითი მარქსიზმის უბადლო ნიმუშს და როგორც ყოველ სიახლეს, მასაც არ შეეძლო დამკვიდრება და განვითარება სიძნელეებისა და წინააღმდეგობათა გადალახვის გარეშე. პარტიული კადრები უცბად ვერ შეეგუვნენ ქვეყნის ცხოვრებაში მკვეთრ შემობრუნებას, ჩვეულებრივი ტაქტიკისა და პრაქტიკული მოღვაწეობის გადამჭრელ შეცვლას, ლენინურ ახალ გეზს.

1917 წლის 6 აპრილს რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ლენინის აპრილის თეზისები და გამოიტანა გადაწყვეტილება გაზ. „პრავდაში“ გამოქვეყნებულიყო ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისები[2].

რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მითითება მისცა ყველა პარტიულ ორგანიზაციას მოეწყოთ ლენინის აპრილის თეზისების განხილვა, რომელიც 7 აპრილს გამოქვეყნდა ბოლშევიკების ცენტრალურ ორგანოებში („პრავდა“, „სოციალ-დემოკრატი“.). აპრილის თეზისები დაიბეჭდა აგრეთვე უკრაინისა და ამიერკავკასიის ბოლშევიკურ გაზეთებში (ხარკოვის „პროლეტარი“, „ბაკინსკი რაბოჩი“, „კავკაზსკი რაბოჩი“, „ბრძოლა“ და სხვ.).

ბოლშევიკური პრესის დახმარებით აპრილის თეზისები სწრაფად გავრცელდა მთელს ჩვენს ქვეყანაში და ხელმისაწვ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინის შესახებ, 1951, გვ. 89.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 17, საც. ერთ. 6. აღწ. 1, ფურც. 1.

დომი გახდა ხალხთა ფართო მასებისათვის. თეზისებს ეცნობოდნენ მუშები, ჯარისკაცები, გლეხები და სხვა მშრომელი ადამიანები, ყველა ის, ვინც დაინტერესებული იყო რუსეთის ხალხის ცხოვრებით, მათი აწმყოთი და მომავლით.

ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტმა 1917 წლის 8 აპრილს დაადგინა, რომ ჩატარდეს ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისების განხილვა რაიონულ პარტიულ კრებებზე და საერთო საქალაქო კონფერენციაზე. ანალოგიური გადაწყვეტილებანი იქნა მიღებული მოსკოვის, ხარკოვის, სამარის, სარატოვის, ეკატერინობურგის, ივანოვო-ვოზნესენსკის და სხვა პარტიული კომიტეტების მიერ.

1917 წლის აპრილის პირველ ნახევარში ჩატარდა პეტროგრადის რაიონული პარტიული კრებები და ბოლშევიკების საქალაქო კონფერენცია, სადაც იხილავდნენ ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებს. მაგალითად. პორხოვსკის რაიონის ბოლშევიკების კრებამ განიხილა და მოიწონა ლენინის თეზისები. აირჩია თავისი დელეგატები და მისცა მათ დავალება საერთო საქალაქო კონფერენციაზე დაეცვათ ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისები[1]. ქალაქის მეორე რაიონის ბოლშევიკებმა თავიანთ კრებაზე (1917 წლის 10 აპრილს) განიხილეს ლენინის აპრილის თეზისები და მოიწონეს მთლიანად. შემდეგ აირჩიეს ორი დელეგატი, რომელთაც დაავალეს საქალაქო კონფერენციაზე დაეცვათ ლენინის აპრილის თეზისები. ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღეს სხვა რაიონულმა პარტიულმა კრებებმა.

პეტროგრადის პარტიული ორგანიზაციები იწონებდნენ და საფუძვლად უდებდნენ თავიანთ მუშაობას ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებს, ავალებდნენ დელეგატებს დაეცვათ პარტიულ კონფერენციაზე თეზისებში წამოყენებული დებულებები.

რა ამოცანები დააყენა ვ. ი. ლენინმა რევოლუციური პროლეტარიატისა და ბოლშევიკური პარტიის წინაშე თავის განთქმულ აპრილის თეზისებში?

---

[1] გახ. „პრავდა", 1917 წლის 16 აპრილი.

ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში ზუსტად განსაზღვრა პარტიის ძირითადი ამოცანები პოლიტიკურ, ეკონომიურ და შინაპარტიული მუშაობის ყველა დარგში, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები დაახასიათა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმა და წამოაყენა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბ-ჭოებს!“, ჩამოაყალიბა რუსეთის რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გზით საბჭოების ხელში სახელმწიფო ძალა-უფლების გადასვლის გენიალური გეგმა.

ლენინს ყველაზე ღრმად ესმოდა მშრომელი მასების გუ-ლისტკივილი, რომელიც გაღრმავდა იმპერიალისტური ომის შედეგად, ამიტომ თეზისებში პოლიტიკური ამოცანების გან-ხილვა სწორედ ომისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულების ანალიზით იწყება: „1. ჩვენს დამოკიდებულებაში ომისადმი, რომელიც რუსეთის მხრივ ლვოვისა და კომპ. ახალი მთავ-რობის დროსაც უეჭველად მძარცველურ იმპერიალისტურ ომად რჩება ამ მთავრობის კაპიტალისტური ხასიათის გამო, შეუწყნარებელია რაიმე მცირეოდენი დათმობაც კი „რევო-ლუციური ობორონცობისათვის“.

რევოლუციურ ომს, რომელიც ნამდვილად გაამართლებდა რევოლუციურ ობორონცობას, შეგნებული პროლეტარიატი შეიძლება დაეთანხმოს მხოლოდ შემდეგ პირობებში: ა) თუ ძალაუფლება გადავა პროლეტარიატისა და მისი მომხრე გლეხობის უღარიბესი ნაწილის ხელში; ბ) თუ უარყოფილი იქნება ყოველგვარი ანექსია საქმით და არა სიტყვით; გ) თუ სავსებით საქმით გაწყვეტილი იქნება კავშირი კაპიტალის ყოველგვარ ინტერესებთან“[1].

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ ბოლშევიკებს საფუძვ-ლიანად, დაჟინებით და მოთმინებით განემარტათ ობორონ-ცობაში კეთილსინდისიერად ჩავარდნილი ფართო მასები-სათვის ომის იმპერიალისტური არსი, განემარტათ თუ რა განუყრელი კავშირი არსებობს კაპიტალსა და იმპერიალის-ტურ ომს შორის, რომ კაპიტალის დაუმხობლად შეუძ-

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 24, გვ. 3—4

ლ ე ბ ე ლ ი ა ომი დამთავრდეს დემოკრატიული ზავით. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამ შეხედულების ფართო პროპაგანდას მოქმედ არმიაში.

ბურჟუაზიამ მარჯვედ გამოიყენა რევოლუციის შედეგად მასებში გამოწვეული კეთილშობილური სიამაყის გრძნობა და შეეცადა საქმე ისე დაეხატა თითქოს რევოლუციის ამ ეტაპზე რუსეთის მხრივ შეიცვალა ომის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი, ვინაიდან მეფის მონარქია შეცვლილია გუჩკოვ-მილიუკოვის ვითომდა რესპუბლიკით. ხალხმაც დაიჯერა ბურჟუაზიის სიცრუვე. რევოლუციური ობორონცობა, რომელმაც „თითქმის ყველაფერი" წალეკა, უბოროტესი მტერი იყო რუსეთის რევოლუციის შემდგომი წინსვლისა და წარმატებისა. „რევოლუციური ობორონცობა, — წერდა ლენინი, — არის, ერთი მხრივ, ბურჟუაზიის მიერ მასების მოტყუების ნაყოფი, გლეხებისა და მუშების ერთი ნაწილის მიმნდობი შეუგნებლობის ნაყოფი; მეორე მხრივ — იმ წვრილი მეპატრონის ინტერესებისა და თვალსაზრისის გამოხატულება, რომელიც რამდენადმე დაინტერესებულია ანექსიებით და საბანკო მოგებით და რომელიც „წმინდად" იცავს ცარიზმის ტრადიციებს" [1], ამიტომ ოდნავი დათმობაც კი რევოლუციური ობორონცობისათვის ბოლშევიკებს მიაჩნდათ როგორც ღალატი სოციალიზმისა, სრული უარყოფა ინტერნაციონალიზმისა. აქედან გადაუდებელ ამოცანად იდგა განემარტათ მასებისათვის, რომ ომის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი განისაზღვრება იმ კლასის მდგომარეობით, რომელიც ომს აწარმოებს, კლასის ი მ პ ო ლ ი ტ ი კ ი თ, რომლის განგრძობასაც ომი წარმოადგენს, საერთაშორისო კაპიტალის იმპერიალისტური ხასიათით, რუსეთის კაპიტალისტების ფინანსური და დიპლომატური დამოკიდებულებით ინგლისსა და საფრანგეთზე.

ვ. ი. ლენინი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ ბოლშევიკურ პროპაგანდას ღრმად უნდა აეხსნა ომის იმპერიალისტური ხასიათი, რომელიც არ შეიძლებოდა განსაზღვრული ყოფილიყო

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 56 — 57.

პიროვნებათა და ჯგუფთა, თუნდაც ხალხთა „კეთილი ნებასურვილით“. საჭირო იყო დამაჯერებლად განმარტება იმისა, რომ საქმე ცალკეულ ადამიანთა პირად სურვილებში კი არა, „არამედ მასობრივ, კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ, პოლიტიკურ ურთიერთობასა და პირობებშია, იმაში, რომ ომი დაკავშირებულია კაპიტალის ინტერესებთან და ბანკების საერთაშორისო ქსელთან“...[1], რომ იგი წარმოშობილია მსოფლიო კაპიტალის ნახევარსაუკუნოვანი განვითარებით. ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე თავის გენიალურ შრომებში ამომწურავად დაახასიათა იმპერიალისტური ომის წარმოშობის მიზეზები, შექმნა ბოლშევიკური პარტიის მწყობრი თეორია და ტაქტიკა ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებში. მარქსისტთაგან ვ. ი. ლენინი პირველი იყო, რომელმაც მეცნიერულად გამოიკვლია იმპერიალიზმი. კ. მარქსის „კაპიტალის“ ძირითად დებულებებზე დაყრდნობით ლენინმა მოგვცა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი ფაზის, როგორც სოციალისტური რევოლუციის წინდღის ღრმა მარქსისტული ანალიზი, გვიჩვენა იმპერიალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური არსი, გააშიშვლა მისი უკურნებელი წყლულები, ცხადჰყო მისი გარდუვალი დაღუპვის პირობები. ეს ანალიზი მოცემულია მის კლასიკურ შრომებში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, „სოციალიზმი და ომი“, „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“. „იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა“, „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“ და სხვ.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად განაზოგადა კ. მარქსის „კაპიტალის“ გამოქვეყნებიდან გასული ნახევარი საუკუნის მანძილზე დაგროვილი დიდძალი მასალა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების შესახებ და გვიჩვენა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და ამასთანავე უკანასკნელი ფაზის ისტორიული ადგილი. მან ცხადყო იმპერიალიზმის წინააღმდეგობანი, ნათლად დაგვიხასიათა მისი ძი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 58.

რითადი ეკონომიური ნიშნები: 1. წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია, რამაც განვითარების ისეთ მაღალ საფეხურს მიაღწია, რომ შეიქმნა მონოპოლიები. რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ კაპიტალისტური ქვეყნების სამეურნეო ცხოვრებაში; 2. საბანკო კაპიტალის შეერთება სამრეწველო კაპიტალთან და ფინანსური კაპიტალისა და საფინანსო ოლიგარქიის შექმნა; 3. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალის ექსპორტს (საქონლის ექსპორტისაგან განსხვავებით); 4. იქმნება კაპიტალისტთა საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირები, რომლებიც სამყაროს ინაწილებენ, და 5. დამთავრებულია დედამიწის ტერიტორიული დაყოფა უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ.

თავის გენიალურ შრომებში ვ. ი. ლენინმა გამოარკვია, რომ იმპერიალიზმის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია მონოპოლიების ბატონობა, დაწვრილებით გვიჩვენა, რომ მონოპოლია გამოდის სხვადასხვა ფორმებით, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავენ. მონოპოლიების ძალაუფლება თავს იჩენს წარმოების, ვაჭრობის, კრედიტის დარგში, მონოპოლიები ხელთ იგდებენ ნედლეულის წყაროებს, გასაღების ბაზრებს, კაპიტალის გამოყენების სფეროებს, ცდილობენ ხელში ჩაიგდონ მეცნიერული კადრები, კვალიფიციური მუშახელი, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი. არ არის სამეურნეო ცხოვრების არც ერთი დარგი, სადაც მონოპოლიებს ხელი არ ერიოს, სადაც ისინი თავიანთ გავლენას არ ავრცელებდნენ.

ლენინი გვასწავლის, რომ იმპერიალიზმი გაიზარდა, როგორც საერთოდ კაპიტალიზმის განვითარება და პირდაპირი განგრძობა. მაგრამ იმპერიალიზმზე გადასვლა მოასწავებდა ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა წინააღმდეგობის უკიდურესად გაღრმავებასა და გამწვავებას და ახალი ძლიერი ანტაგონიზმის წარმოშობას. მონოპოლიები, რომლებიც თავისუფალი კონკურენციიდან წარმოიშობიან, კი არ სპობენ მას, არამედ არსებობენ მის ზემოთ და მის გვერდით, რითაც წარმოშობენ მთელ რიგ განსაკუთრებით ბწვავე და მკვეთრ წინააღმდეგობებს, უთანხმოებებსა და კონფლიქტებს.

იმპერიალიზმი როგორც მონოპოლისტური კაპიტალიზმი განირჩევა იმით, რომ უმაგალითოდ მწვავდება ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი წინააღმდეგობა — **წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ხ ა ს ი ა თ ს ა** და **მ ი თ ვ ი ს ე ბ ი ს კ ე რ ძ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ურ ფ ო რ მ ას შ ო რ ი ს.** უკიდურესად რთულდება წინააღმდეგობები შრომასა და კაპიტალს შორის, მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის, იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის — გასაღების ბაზრებისათვის, ნედლეულის წყაროებისათვის, კაპიტალის გამოყენების სფეროებისათვის. ხალხის მასები არათუ რაიმე სარგებლობას ვერ პოულობენ საწარმოო ძალების უდიდესი განვითარებით, არამედ მათი სიღატაკე და ექსპლოატაცია უაღრესად იზრდება, ხოლო ერთი მუჭა მონოპოლისტების მიერ დანარჩენი მოსახლეობის ჩაგვრა ასწილად უფრო მძიმე, უფრო საგრძნობი, უფრო აუტანელი ხდება.

წარმოების კაპიტალისტური განსაზოგადოების უმაღლესი საფეხური და ამასთანავე მონოპოლიების მიერ მშრომელთა ექსპლოატირებული მასების ჩაგვრის უკიდურესი გაძლიერების უმაღლესი საფეხურია სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი. ვ. ი. ლენინმა ცხადჰყო, რომ სახელმწიფოებრივ მონოპოლისტური კაპიტალიზმი ნიშნავს, ერთი მხრივ, **წ ა რ მ ო ე ბ ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ურ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს უ მ ა ღ ლ ეს ფ ო რ მ ას** და **ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს მ ა ტ ე რ ი ა ლ ურ მ ო მ ზ ა დ ე ბ ას,** ძეორე მხრივ, **მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს** და **მ თ ე ლ ი მ შ რ ო მ ე ლ ი მ ა ს ე ბ ი ს ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ც ი ი ს ყ ო ვ ე ლ ნ ა ი რ ად გ ა ძ ლ ი ე რ ებ ას.**

კაპიტალიზმის მონოპოლისტურ სტადიაში მისი ეკონომიური და პოლიტიკური პროცესების ღრმა და ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა ნათლად გვიჩვენა, რომ კაპიტალიზმი უკვე მომწიფდა იმისათვის, რომ იგი რევოლუციური გზით სოციალიზმმა შეცვალოს; მეცნიერულად დაასაბუთა, რომ იმპერიალიზმი წარმოადგენს ლპობად, პარაზიტულ, მომაკვდავ კაპიტალიზმს. იმპერიალიზმი სოციალისტური რევოლუციის წინადღეა, იმპერიალიზმის ეპოქა კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციის გზით სოციალისტურ სა-

ზოგადოებად გარდაქმნის ეპოქაა, რომელსაც თან ახლავს კრიზისები ეკონომიკაში, ომები პოლიტიკაში.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში არ არსებობდა ისეთი საზოგადოებრივი ძალა, რომელიც სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევდა იმპერიალისტურ წრეებს და უარს ათქმევინებდა სხვა სახელმწიფოების ძარცვა-გლეჯაზე, ამიტომაც იმ პერიოდში ომის ფატალური გარდაუვალობა არსებობდა. იმპერიალისტური ომიდან თავის დაღწევა შეიძლებოდა რამდენიმე მეომარ ქვეყანაში ერთდროულად პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის რევოლუციამ 1917 წლის თებერვალ-მარტში სერიოზული რღვევა შეიტანა იმპერიალიზმის ერთიან სისტემაში, რუსეთის საერთო-სახალხო რევოლუციურმა მოძრაობამ ზავისათვის, პურისათვის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის კატასტროფის წინაშე დააყენა ინგლის-ამერიკის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების იმპერიალისტთა ყაჩაღური გეგმები.

დროებითმა მთავრობამ სცადა თავისებურად შენიღბული ფორმით გაეგრძელებინა „მოკავშირეთა“ წინაშე მეფის მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი და შეესრულებინა უცხოელი ბატონების ნება-სურვილი. დროებითი მთავრობის მინისტრები და წვრილბურჟუაზიული პარტიების ლიდერები წელზე ფეხს იდგამდნენ, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ ყველა გზაჯვარედინზე გაჰკიოდნენ თითქოს რუსეთის რევოლუციამ ძირფესვიანად შესცვალა ომის ხასიათი და ამიტომ ახლა რუსეთის ხალხისათვის ომის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანა ყველაზე დიდი კეთილშობილური მისია იქნებოდა.

ვ. ი. ლენინი ბოლშევიკური პარტიის წინაშე ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად აყენებდა: განემარტა მშრომელი მასებისათვის დამაჯერებლად, რომ ისინი იმპერიალისტურ ომს თავს ვერ დააღწევენ ისე, თუ მთელი ძალაუფლება არ გადავა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში. „შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა თავი დააღწიო იმპერიალისტურ ომს, შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა დემოკრატიული, არა მოძალადური ზავის მიღწევა კაპიტალის ბატონობის დაუმხობლად, სახელ-

მწიფო ძალაუფლების მ ე ო რ ე კლასის, პროლეტარიატის ხელში გადაუსვლელად"[1]. პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლა იქნებოდა დასაწყისი კაპიტალის ინტერესების ფრონტის გარღვევისა, რაც შესაძლებლობას მისცემდა პროლეტარიატს გადაერჩინა კაცობრიობა ომის საშინელებისაგან და მიენიშებინა მისთვის მტკიცე მშვიდობის ყოველი სიკეთე.

აპრილის თეზისებში ლენინი ეხება დაძმობილებას, რომელმაც დიდი გავრცელება ჰპოვა დასავლეთის ფრონტზე. მეომარ მხარეთა ჯარისკაცების დაძმობილება მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერნაციონალიზმის გამოვლინების საუკეთესო ფორმად უნდა ჩაითვალოს. შეგნებული მუშები და უღარიბესი გლეხობა დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ დაძმობილებას, რომელიც ავითარებდა და განამტკიცებდა ძმურ ნდობას სხვადასხვა ქვეყნის მუშებს შორის. ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1915 წლის თებერვალში მხარი დაუჭირა მეომარი ქვეყნების სოციალისტებს შორის ჯარში და სანგრებში დაახლოებისა და დაძმობილების ყოველ ცდას, ვინაიდან დაძმობილება ომის ასპარეზზე იყო წინ გადადგმული ნაბიჯი იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის გზაზე.

ჯარისკაცთა დაძმობილებას ადგილი ჰქონდა როგორც რუსეთ-გერმანიის ფრონტზე ასევე სხვა ფრონტებზეც. დასავლეთ ევროპის გაზეთებს 1915 წელს არა ერთი ცნობა მოუთავსებია გერმანელთა და ფრანგთა სანგრებს შორის დაახლოების მშვიდობიანი ცდების შესახებ. ინგლისური გაზეთი „მუშათა ბელადი" აქვეყნებდა მასალებს, სადაც აღწერილი იყო ინგლისელ და გერმანელ ჯარისკაცთა დაძმობილების შემთხვევები; ჯარისკაცები აწყობდნენ „დაზავებას 48 საათით", მეგობრულად ხვდებოდნენ ერთიმეორეს სანგრებს შუა[2].

მეომარი ქვეყნების იმპერიალისტური წრეები სერიოზულ შიშს განიცდიდნენ ჯარისკაცთა ასეთი თვითნებური მოქმედების გამო, რის საწინააღმდეგოდაც გამოსცეს ბრძანება,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 59.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 207.

რომლის მიხედვით ,,დაძმობილება'' ისჯებოდა ისევე როგორც სახელმწიფო ღალატი. ჯარისკაცთა დაძმობილების წინააღმდეგ სამხედრო ხელისუფალთა მიერ (გერმანიის, ინგლისის) დრაკონულ ბრძანებათა გამოცემამ დაამტკიცა, რომ ბურჟუაზია ამ მოვლენის გამო შიშს განიცდიდა.

დაიწყეს რა დაძმობილება რუსეთისა და გერმანიის ჯარისკაცებმა, ამით ორივე ქვეყნის პროლეტარებმა და გლეხებმა მთელ ქვეყანას დაანახვეს, რომ კაპიტალისტების მიერ დაჩაგრული კლასების უტყუარმა ალღომ უკარნახა მათ ამ გზით შეეწყვიტათ ხალხთა ხოცვა-ჟლეტა. ბოლშევიკები ამ საქმეში ჯარისკაცებს მხარს უჭერდნენ და ყოველნაირად ახალისებდნენ მათს რევოლუციურ ინიციატივას. მათ კარგად იცოდნენ, რომ დაძმობილება ,,დაჩაგრული კლასების სინიდისის, გონების, გამბედაობის გამოღვიძებაა... ეს არის ერთ-ერთი რგოლი სოციალისტური, პროლეტარული რევოლუციისაკენ გადადგმული ნაბიჯების ჯაჭვში''[1]. ამიტომ ბოლშევიკები თავს მოვალედ სცნობდნენ ეზრუნათ დაძმობილების რაც შეიძლება მეტ ორგანიზებულობასა და გარკვეულ პოლიტიკურ პროგრამაზე, რომელიც საშუალებას მისცემდა რევოლუციურ ჯარისკაცებს ემსჯელათ თუ როგორ დაემთავრებინათ ომი. ამ მიზნით ბოლშევიკების პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება ყველა მეომარი ქვეყნის ჯარისკაცისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: ,,ძმებო ჯარისკაცებო! ჩვენ ყველანი გაწამებული ვართ საშინელი ომით, რომელმაც შეიწირა მილიონობით სიცოცხლე, მილიონობით ადამიანი ხეიბარი გახდა, თავს დაგვატეხა გაუგონარი უბედურება, გაჩანაგება და შიმშილი''[2].

ფრონტზე ჯარისკაცთა დაძმობილების რევოლუციური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი აღვივებდა და განამტკიცებდა მშრომელთა ინტერნაციონალური ერთობის შეგნებას სანგრების ორივე მხარეზე, იწვევდა უძლიერეს კლასობრივ დაყოფას არმიაში ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის, ავითარებდა ხალხის მისწრაფებას ზავისაკენ, დემოკრატიული თავისუფლებისაკენ.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 377.

[2] გაზ. „პრავდა", 1917 წლის 4 მაისი.

რუსეთის რევოლუციის შემდგომი განვითარების ზუსტად განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა აპრილის თეზისებში მიმდინარე მომენტის დახასიათებას.

ვ. ი ლენინი რუსეთის მიმდინარე მომენტს აპრილის თეზისებში ახასიათებდა როგორც გარდამავალ ეტაპს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტური რევოლუციისაკენ. რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა ბურჟუაზიის ხელიდან პროლეტარიატისა და გლეხობის უღარიბეს ფენების ხელში. რევოლუციის მომენტის ასეთი თავისებურება შეპირობებული იყო იმით, რომ რუსეთი მეობარ ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო თავისუფალი გახდა თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. „რუსეთი ამჟამად, — აღნიშნავდა ლენინი, — მეობარ ქვეყანათაგან ყველაზე უფრო თავისუფალი ქვეყანაა მსოფლიოში"[1].

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ფართო გასაქანი მისცა ხალხთა მასების რევოლუციურ შემოქმედებას. რუსეთის ბურჟუა-მეპამულეები იძულებული იყვნენ იმპერიალისტური ომის დაწყებისა და მიმდინარეობის პერიოდში შეეიარაღებინათ მუშათა კლასი და გლეხობა დამპყრობლურ ომში აქტიურად ჩაბმის მიზნით.

თებერვლის შემდეგ ხალხის ხელში არსებული იარაღი „დამამშვიდებელ" გავლენას ახდენდა რეაქციის იმ ძალებზე, — რომლებიც ოცნებობდნენ რევოლუციური მოძრაობის განადგურებაზე. ამიტომ იყო, რომ მასებზე ძალადობას არავინ არ მიმართავდა, ხალხს შესაძლებლობა ჰქონდა თავისუფლად გამოეთქვა თავიანთი მოთხოვნები, აქტიური მონაწილეობა ეიღოთ რევოლუციის ძირითადი საკითხების განხილვაში, ეკითხა და პასუხი მიეღო მათთვის ყველაზე უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ასეთი ვითარება ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებისათვის.

რევოლუციის უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლის მომენტში აშკარა ძალით ვლინდებოდა მასების შეუგნებელი, მიმნდობი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 4.

დამოკიდებულება კაპიტალისტებსა და მემამულეებზე, მშვიდობისა და სოციალიზმის ყველაზე უბოროტესი მტრების მთავრობისადმი. ასეთი ვითარება მოითხოვდა ბოლშევიკების პარტიის განსაკუთრებულ მუშაობას მშრომელთა ფართო მასებში.

ლენინი მოითხოვდა ფართო მასებისათვის ნათლად განემარტათ, რომ სრული სიცრუე იყო დროებითი მთავრობის ყველა დაპირებანი როგორც ზავის შესახებ, აგრეთვე ანექსიებზე ხელის აღების შესახებ; უაზრობაა ისეთი ილუზიების გავრცელება თითქოს კაპიტალისტების მთავრობა აღარაა იმპერიალისტური და სხვ... ასეთ პირობებში ბოლშევიკების პარტიას, ვიდრე იგი უმცირესობაში იმყოფებოდა სხვა პარტიებთან შედარებით, არაჩვეულებრივად ძლიერი პროპაგანდისტული მუშაობა უნდა ეწარმოებია მშრომელთა შორის, გულმოდგინედ განემარტა მათთვის, რომ სახელმწიფო ძალაუფლება უნდა გადავიდეს რევოლუციური მთავრობის, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გზით, ვინაიდან ასეთი გზა ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა ბოლშევიკური პარტიისა და თვით ჩაგრული კლასებისათვის.

ცნობილია, რომ მარქსი და ენგელსი პროლეტარიატს თავის დროზე მუდამ ასწავლიდნენ, შეეგნოთ თავიანთი კლასობრივი ინტერესები, გაერთიანებულიყვნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, ვინაიდან სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატის მქონე ქვეყნებში მშვიდობიანი გზით შეუძლებელია კაპიტალის ძალაუფლებისაგან თავის დაღწევა და კაპიტალისტური საკუთრების გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად. პროლეტარიატის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრა მუშათა კლასს შეუძლია რევოლუციური გზით, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გზით, რომელიც დათრგუნავს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობას და შექმნის ახალ უკლასო კომუნისტურ საზოგადოებას.

ასეთი იყო საქმის ვითარება კაპიტალიზმის ერთიანი სისტემის პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მუშათა კლასს ნათელი წარმოდგენა თავიანთი კლასობრივი ბატო-

ნობის ფორმების შესახებ. მარქსისტულ-ლენინური დებულება პროლეტარიატის მიერ კაპიტალიზმის ძალდატანებით დამხობის შესახებ ისტორიული ფაქტებით შემოწმებული სისწორეა და დღესაც ინარჩუნებს თავის ძალას. კარგად ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინს, ბოლშევიკებს, პირველ მსოფლიო ომამდე რუსეთში რევოლუციის გამარჯვების გზად შეიარაღებული აჯანყება მიაჩნდათ. ეს მით უმეტეს მტკიცე და საიმედო გზა იყო იმპერიალიზმის ეპოქაში.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები არასოდეს არ ამტკიცებდნენ, რომ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად ერთნაირი საშუალებები არსებობს. გასული საუკუნის 70-იან წლებში კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ სოციალიზმში გადასვლის ფორმების განხილვის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ცალკეულ ქვეყნების დაწესებულებებს, ზნეჩვეულებებსა და ტრადიციებს.

1872 წელს, ჰაგის კონგრესის მუშაობის დამთავრების შემდეგ, 8 სექტემბერს ქ. ამსტერდამში შემდგარ მიტინგზე კ. მარქსმა სიტყვა წარმოსთქვა, სადაც აღნიშნა, რომ ისინი არ უარყოფდნენ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას, ისეთი ქვეყნებისათვის როგორც იმ დროს ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები იყო, „სადაც მუშებს შეუძლიათ თავიანთ მიზანს მიაღწიონ მშვიდობიანი საშუალებებით“[1]. ინგლისში მუშებს კაპიტალისტების დამორჩილება მაშინ შეეძლო, იმიტომ რომ მოსახლეობაში მუშები საკმაოდ ჭარბობდნენ, გლეხობა კი თითქმის არ იყო; მეორე, პროლეტარიატი ყველაზე მეტად იყო ორგანიზებული პროფესიულ კავშირებში; მესამე, პროლეტარიატი გაწაფული იყო პოლიტიკური თავისუფლებისათვის დიდი ხნის ბრძოლით; მეოთხე, ინგლისელი კაპიტალისტები მაშინ მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის ყველაზე უკეთ იყვნენ ორგანიზებული, ისინი კომპრომისით წყვეტდნენ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებს. ამ გარემოებათა გამო შეიძლებოდა მაშინ დაბა-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., ტ. XIII, ნაწ. II, 1940 წ. გვ. 669.

დებულიყო ის აზრი, რომ „შესაძლებელი იყო ინგლისის კაპიტალისტების მშვიდობიანად დამორჩილება ინგლისის მუშებისადმი"[1].

მიუთითებდა რა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში პროლეტარული რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობაზე, მარქსი ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ ორივე ამ ქვეყანაში ნაკლებად იყო განვითარებული სამხედრო ბიუროკრატიული აპარატი და სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტი გასაქანი ეძლეოდა დემოკრატიზმს. პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საკითხს მარქსი თვითეულ შემთხვევაში უდგებოდა კონკრეტულად და ანგარიშს უწევდა ქვეყნების დაწესებულებებს, ზნეჩვეულებებსა და ტრადიციებს. მაშინ როდესაც ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის შესაძლებლად მიაჩნდა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება, კონტინენტის ქვეყნებისათვის მარქსი აუცილებლად თვლიდა შეიარაღებული აჯანყების გზით პროლეტარიატის ძალაუფლების დამყარებას.

მეცხრამეტე საუკუნის დამლევსა და მეოცე საუკუნის დამდეგს, როდესაც კაპიტალიზმი შევიდა მის უმაღლეს და უკანასკნელ ფაზაში, იმპერიალიზმში, ბიუროკრატიულ სამხედრო სახელმწიფო მანქანის ზრდის გამო, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ შეზღუდვამ ძალა დაჰკარგა. ასეთი ვითარების გამო მარქსისტ-ლენინელების მიერ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებამდე პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის ერთადერთ გზად აღიარებული იყო ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყება.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთში შეიქმნა მეტად თავისებური მომენტი, მშრომელებმა მოიპოვეს ისეთი დემოკრატიული თავისუფლება, როგორიც იმ დროს ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაშიაც კი არა ყოფილა. რუსეთის რევოლუციურმა ძალებმა შექმნეს ისეთი დაწესებულებანი, რომლებიც გამოხა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 412.

ტოვდნენ მშრომელი მასების ინტერესებს; მათ საფარველში ედგა კომუნისტური პარტია, რომელიც ხალხთა მასებს მუდამ განუმარტავდა, თუ როგორ აღმოეფხვრათ დაშვებული შეცდომები. ჩიუთითებდა რთული საკითხების სწორად გადაჭრის გზებზე და რევოლუციური ენერგიის განვითარების უდიდეს შესაძლებლობაზე, თავის გარშემო რაზმავდა მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციამი ზმშვიდობიანად გადაზრდისათვის.

ვ. ი. ლენინმა ღიის წესრიგში დააყენა რუსეთის მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში აღებისა და სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიანი გზით განსორციელების ლოზუნგი. ლენინი გვასწავლის, რომ ყოველგვარი რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება მეტად იშვიათი და ძნელი რამაა, რადგან რევოლუცია არის კლასობრივ წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავება. მაგრამ გლეხურ ქვეყანაში როცა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირს შეუძლია ფრიად უსამართლო, დანაშაულებრივი ომით განაწამებ მასებს მოუტანოს მშვიდობა, ხოლო გლეხობას მთელი მიწა, ასეთ ქვეყანაში განსაკუთრებულ ისტორიულ მომენტში, როგორც რუსეთში შეიქმნა 1917 წელს, რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის დროს შესაძლებელიცაა და მოსალოდნელიც [1].

რუსეთში 1917 წლის თებერვლის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური ვითარების თავისებურების გამო, იმის გამო, რომ დროებითი მთავრობა სარგებლობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მხარდაჭერით და ნდობით, ბრძოლა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ნიშნავდა ბრძოლას ესერულ-მენშევიკური საბჭოების წინააღმდეგაც. ამიტომ ვ. ი. ლენინს ასეთ პირობებში შეიარაღებული აჯანყება მიზანშეუწონლად და შეცდომად მიაჩნდა. ლენინი მოითხოვდა მთელი ძალაუფლება გადასცემოდა საბჭოებს, რაც ნიშნავდა 1) საბჭოების დაპირისპირებას დროებითი მთავრო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თიხ., ტ. 26, გვ. 24.

ბისადმი, 2) მენშევიკებისა და ესერების ბლოკის გაწყვეტას კადეტებთან 3) საბჭოთა მთავრობის შედგენას მენშევიკებისა და ესერებისაგან. საბჭოებზე ძალაუფლების გადაცემა ნიშნავდა მასში გაბატონებული პარტიების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლას. მაგრამ ეს არ აშინებდა ლენინს. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში ბოლშევიკების პარტიას, როგორც ოპოზიციურ პარტიას, უფლება ექნებოდა თავისუფალი აგიტაციისა, რის შედეგადაც საბჭოების შიგნით პარტიების თავისუფალი ბრძოლის გზით მიღწეულ იქნებოდა ბოლშევიკების მიერ საბჭოების დაპყრობა და იქ საბჭოების შემადგენლობის შეცვლა.

საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადაცემის ლოზუნგი ჯერ კიდევ არ ნიშნავდა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის მოთხოვნას, ვინაიდან საბჭოებში ხელმძღვანელობა მენშევიკებსა და ესერებს ეკავა, ხოლო ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი პოლიტიკური არმია, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა სოციალისტური რევოლუციის განხორციელების საქმეში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების საკითხმა თანამედროვე პირობებში წინა პლანზე წამოიწია. მარქსისტულ-ლენინურმა დებულებამ, რომ სოციალისტური რევოლუცია ყველგან და ყოველთვის დაკავშირებული არ არის სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომთან, შემდგომი განვითარება ჰპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე. თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, პარტიის XX ყრილობაზე ღრმა დასაბუთება ჰპოვა აგრეთვე სოციალიზმში სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის ფორმების საკითხმა.

სკკპ პარტიის XX ყრილობამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ბურჟუაზიული წრეების მყვირალა პროპაგანდისტებსა და იდეოლოგებს, რომლებიც სოციალისტური რევოლუციის განხორციელებას სახავენ როგორც ძალადობას, კომუნისტების მიერ სამოქალაქო ომის გაჩაღებისაკენ მოწოდებას და სხვ. სკკპ XX ყრილობაზე აღინიშნა, რომ „ძალაუფლების მოპოვე-

ბის ხერხი არ შეიძლება ერთნაირი იყოს სხვადასხვა ქვეყნისათვის, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საერთაშორისო ვითარებაში. ყველაფერი დამოკიდებულია კლასობრივი ძალების კონკრეტულ თანაფარდობაზე, მუშათა კლასისა და მისი მოწინააღმდეგის ორგანიზებულობის დონეზე, მუშათა კლასის უნარზე მიიზიდოს მოკავშირენი, პირველ რიგში გლეხობა, თავის მხარეზე"[1]. ამასთან ერთად არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ცალკეული ქვეყნების დაწესებულებებს, ზნეჩვეულებებსა და ტრადიციებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს კარგად ესმოდათ თუ რა აუარებელი ახალი პრობლემა წამოიჭრება, თუ როგორ შეიცვლება მთელი ვითარება გადატრიალების მსვლელობაში. ამიტომ ისინი არც თვითონ იზღუდებოდნენ და არც სოციალისტური რევოლუციის მომავალ მოღვაწეებს არ უბორკავდენ ხელებს გადატრიალების ფორმების, საშუალებების გამოყენების საქმეში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მსოფლიოში მოხდა ძირეული ცვლილებები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ახლებურად მივუდგეთ ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს. საერთაშორისო ვითარების ძირეულ ცვლილებათა მთავარი ფაქტორია სოციალიზმის მძლავრი ბანაკის წარმოშობა, რომელიც ამჟამად 900 მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებს, დემოკრატიული ბანაკი დღითიდღე მტკიცდება და ვითარდება, სულ უფრო მეტად ავლენს თავის შინაგან გიგანტურ ძალებს, თავის გადამწყვეტ უპირატესობას კაპიტალიზმის წინაშე. სოციალიზმი გახდა დიადი მიმზიდველი ძალა ყველა ქვეყნის მუშების, გლეხების, ინტელიგენციისათვის. „სოციალიზმის იდეები ჭეშმარიტად თელი მშრომელი კაცობრიობის ფიქრთა მპყრობელი ხდებიან"[2].

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენება, სოციალიზმის გზით ევროპისა და აზიის რიგი ქვეყნების სწრაფი სვლა,

---

[1] ა. ი. მიკოიანი, სიტყვა სკკპ XX ყრილობაზე. 1956 წ., გვ. 26

[2] ნ. ს. ხრუშჩოვი, სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას, 1956, გვ. 52.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშკვიდრება. მისი შემდგომი განვითარება, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის კრიზისული მდგომარეობა, რომელიც ზედიზედ კარგავს თავის პოზიციებს, კოლონიური სისტემის რღვევა, წინათ კოლონიურ და დამოკიდებულ მდგომარეობაში მყოფი ზოგიერთი ქვეყნების თავისუფალი განვითარების გზაზე გამოსვლა, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ორგანიზებულობა და კლასობრივი შეგნება, კომუნისტური და მუშათა პარტიების ავტორიტეტის განუფრელი ზრდა -- ყოველივე ეს ავალდებულებს მარქსისტ-ლენინელებს ისელმძღვანელონ კლასობრივ ძალთა თანაფარდობის ზუსტი გათვალისწინებით ყოველ ცალკეულ ქვეყანაში და მსოფლიო მასშტაბით. ყოველივე ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე პირობებში ცალკეული ქვეყნებისათვის, სადაც არაა გაბატონებული ძლიერი ბიუროკრატიული სამხედრო სახელმწიფო მანქანა, ისახება რეალური შესაძლებლობა მშვიდობიანი გზით გადავიდნენ სოციალიზმზე.

ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინი ითვალისწინებდა, რომ პატარა ბურჟუაზიულ ქვეყანაში, რომლის გვერდით ვითარდებიან სოციალისტური ქვეყნები, სოციალიზმზე გადასვლა შეიძლება მოხდეს მშვიდობიანი გზით. აუცილებელი არ არის რომ სოციალიზმზე გადასვლის ფორმების განხორციელება ყველა პირობებში დაკავშირებული იქნეს სამოქალაქო ომთან. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სოციალიზმზე გადასვლისათვის კლასობრივი ბრძოლის მეტი თუ ნაკლები სიმწვავე დამოკიდებულია არა იმდენად პროლეტარიატზე, რამდენადაც მშრომელთა ნებისადმი ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის ოდენობაზე, ამ უკანასკნელთა მიერ ძალადობის გამოყენებაზე.

ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ იმ ქვეყანაში, სადაც სამხედრო-პოლიტიკური აპარატი კაპიტალისტების ხელშია და კაპიტალიზმი ძლიერია, იქ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება გარდუვალია.

სკკპ XX ყრილობამ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დასკვნებს შორის თავის რეზოლუციაში ჩასწერა, რომ „რიგ კაპი-

ტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასს, ოომელსაც მეთაურობს მისი მოწინავე ნაწილი, თანამედროვე პირობებში რეალური მესაძლებლობა აქვს გააერთიანოს თავის ხელმძღვანელობით ხალხის დიდი უმრავლესობა და უზრუნველყოს წარმოების ძირითად საშუალებათა გადასვლა ხალხის ხელში. მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიები და მათ მიერ შედგენილი მთავრობები სულ უფრო ხშირად კოტრდებიან. ამ პირობებში მუშათა კლასს, გააერთიანებს რა თავის გარშემო მშრომელ გლეხობას, ინტელიგენციის ფართო წრეებს, მთელ პატრიოტულ ძალებს და მტკიცე წინააღმდეგობას გაუწევს რა ოპორტუნისტულ ელემენტებს... შესაძლებლობა აქვს დაამარცხოს რეაქციული, ანტიხალხური ძალები, მოიპოვოს მტკიცე უმრავლესობა პარლამენტში და გადააქციოს იგი ბურჟუაზიული დემოკრატიის ორგანოდან ხალხის ნამდვილი ნების იარაღად" [1].

კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ გაკეთებულ დასკვნებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეში.

აპრილის თეზისებში — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის ძირითად გეზს, თეორიულ საფუძვლად ედო სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ. ჯერ კიდევ 1905 წელს ლენინი შრომაში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში" ამბობდა, რომ ცარიზმის დამხობის შემდეგ პროლეტარიატი გადავა სოციალისტურ რევოლუციის განხორციელებაზე. რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს, ლენინი ითვალისწინებდა რა რევოლუციის ერთი ეტაპიდან მის უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლას, ფიქრობდა, რომ რევოლუციის პირველ ეტაპზე შექმნილი პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის ამოცანა იქნებოდა ნიადაგის მომზადება პროლეტარიატის სოციალისტური დიქტატურისათვის

---

[1] სკკ პარტიის XX ყრილობის რეზოლუციები. 1956 წ. გვ. 13—14

ბუა გზაზე ჩვენ არ შევჩერდებით. წერდა ლენინი, დემოკრატიული რევოლუციიდან ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ სოციალისტური გადატრიალება უნდა მოახდინოს პროლეტარიატმა, შეიერთოს მოსახლეობის ნახევრად პროლეტარული ელემენტების მასა, რათა დასძლიოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და მიაღწიოს გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობის პარალიზებას.

ასაბუთებდა რა რევოლუციის ერთი ეტაპიდან მის მეორე ეტაპზე გადასვლის აუცილებლობას, ვ. ი. ლენინი გამოდიოდა მარქსის დებულებიდან განუწყვეტელი რევოლუციის შესახებ, და აგრეთვე მისი მითითებიდან გლეხური რევოლუციური მოძრაობის პროლეტარულ რევოლუციასთან დაკავშირების აუცილებლობის შესახებ.

მარქსი და ენგელსი მიუთითებდნენ იმის შესახებ, რომ პროლეტარიატი გლეხობას უნდა უყურებდეს, როგორც თავის რეზერვს და მოკავშირეს, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის აუცილებელია მუშათა კლასისადმი გლეხობის მხარდაჭერა. დასავლეთ ევროპაში მომხდარი რევოლუციების შემდეგ 1856 წელს კ. მარქსი ფ. ენგელსს სწერდა, რომ „მთელი საქმე გერმანიაში დამოკიდებული იქნება იმის შესაძლებლობაზე, რომ გლეხთა ომის რაიმე მეორე გამოცემით ზურგი გაემაგროს პროლეტარულ რევოლუციას. მაშინ ჩინებულად იქნება საქმე“ [1].

ბოლშევიკებს კარგად ესმოდათ, რომ გლეხთა ომი ზურგს გაუმაგრებდა პროლეტარიატს სოციალისტური რევოლუციის მზადების პერიოდში. 1917 წელს ბურჟუაზიული ხელისუფლების დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ოქტომბრის მომზადებას კომუნისტური პარტია აწარმოებდა პროლეტარიატისა და ულარიბეს გ ლ ე ხ ობ ის დიქტატურის ლოზუნგით. ემყარებოდა რა ამ ლოზუნგს, კომუნისტური პარტია სისტემატურად ებრძოდა წვრილბურჟუაზიული პარტიების შემთანხმებ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული წერილები, გვ. 87.

ლობას და საშუალო გლეხობის მერყეობას საბჭოებში. ამ წინასწარი პირობების გარეშე ბოლშევიკების პარტია ვერ მიაღწევდა სოციალისტური რევოლუციის ბოლომდე მიყვანას.

პოლიტიკურ დარგში ძირითად ამოცანად აპრილის თეზისებში დასახულია პარლამენტური რესპუბლიკიდან საბჭოების რესპუბლიკაზე გადასვლა, გადასვლა პროლეტარიატის დიქტატურაზე საბჭოთა ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ფორმით. ვ. ი. ლენინმა მოგვცა მარქსიზმის მთავარი საკითხის - პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის შეხედვომი განვითარება და ჩამოაყალიბა ახალი დებულება: „პარლამენტური რესპუბლიკა კი არა, მუშათა დეპუტატების საბჭოების შემდეგ ამ რესპუბლიკისაკენ დაბრუნება ნაბიჯის უკან გადადგმა იქნებოდა, არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელ ჩვენს ქვეყანაში, თავიდან ბოლომდე"[1].

ლენინი აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას უნდა წარმოადგენდეს არა პარლამენტური რესპუბლიკა, არამედ პარიზის კომუნის ტიპის სახელმწიფო - საბჭოების რესპუბლიკა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში.

ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისების გაცნობამდე ყველა მარქსისტისათვის სახელმძღვანელო დებულებად იყო მიჩნეული ენგელსის დებულება იმის შესახებ, რომ პარლამენტური დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის „სპეციფიკურ ფორმას". რუსეთის რევოლუციების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საბჭოები წარმოადგენენ, პროლეტარიატის ყველაზე უფრო ყოვლისმომცველ ნასობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც აერთიანებენ ყველა ჩაგრულსა და ექსპლოატირებულს, მუშებსა და გლეხებს, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს, სადაც მასების ბრძოლის პოლიტიკური ხელმძღვანელობა პროლეტარიატის მხრივ შეიძლება განხორციელდეს ყველაზე ადვილად და სრულად.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 24, გვ. 6.

რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების გამოცდილების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ლენინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ახალ ისტორიულ ვითარებაში ენგელსის დებულება პარლამენტური დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის შესაძლებელი ფორმა უკვე მოძველდა. ახალი პირობების შესაბამისად ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ახალი ფორმა არის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა რევოლუციური მთავრობისა და ამიტომ, ვიდრე ეს მთავრობა ბურჟუაზიის გავლენას განიცდის. ბოლშევიკური პარტიის ამოცანას უნდა შეადგენდეს მხოლოდ მოთმინებითი, სისტემატური საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა მასებში, მათი ტაქტიკური შეცდომების ზუსტად განმარტება.

ბოლშევიკებისათვის აშკარა იყო რომ შეიარაღებული აჯანყების გზით ხელისუფლების ხელში აღების ამოცანა უნიადაგო იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ბურჟუაზია მასების ბიმართ ძალადობას კი არ მიმართავდა, არამედ მოტყუების პირმოთნე პოლიტიკას. ამიტომ ლენინი რუსეთის პროლეტარიატს არ მოუწოდებდა აჯანყებისაკენ დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მოცემულ მომენტში საბჭოების ნდობით სარგებლობდა. ლენინი ცდილობდა, რომ ახსნაგანმარტებითი მუშაობის გზით მოპოვებული ყოფილიყო უმრავლესობა საბჭოებში, მომხდარიყო მომზადება და შეკავშირება კომუნისტური პარტიის შეგნებული პროლეტარული ელემენტებისა, თანდათანობით შეცვლილიყო საბჭოების პოლიტიკა. ხოლო საბჭოების საშუალებით შეცვლილიყო მთავრობის შემადგენლობა, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ითვალისწინებდა რა საბჭოებში პარტიულ ძალთა განლაგებას—ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა ბოლშევიკური პარტიის ხაზი საბჭოებთან დამოკიდებულების საკითხში და აღნიშნა: „ვიდრე უმცირესობას წარმოვადგენთ, ჩვენ ვაწარმოებთ კრიტიკას, ვარკვევთ შეცდომებს და იმავე დროს ვქადაგებთ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მუშათა დეპუტატების საბ-

ჭოებისათვის გადაცემის აუცილებლობას, რათა მასებმა გამოცდილებით დააღწიონ თავი შეცდომებს"[1].

ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა პარტიის წინაშე დასახა უდიდესი პოლიტიკური ამოცანა—განემარტათ მშრომელთა ფართო მასებისათვის რომ საბჭოები წარმოადგენენ რევოლუციურ მთავრობის ერთადერთ შესაძლებელ ფორმას, რომელსაც უნარი შესწევს მისცეს მუშებს 8 საათიანი სამუშაო დღე, მიწა გლეხებს, ხალხებს დემოკრატიული ხავი. მოთმინებით განუმარტოთ მუშებსა და ჯარისკაცებს, რომ მენშევიკები და ესერები არიან ბურჟუაზიული პოლიტიკის გამტარებლები და ამიტომ მათ არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ მუშათა და გლეხთა მოთხოვნილებანი. ასეთი ვითარება ბოლშევიკურ პარტიას ავალებდა ენერგიული მუშაობა გაეჩაღებინა საბჭოების ბოლშევიზაციისათვის.

ლენინის მითითებით საბჭოების ბოლშევიზაციისათვის ბრძოლა უნდა წარმართულიყო ორი ხაზით: საბჭოების შიგნით და მის გარეთ — ფართო მასებში. საბჭოების შიგნით ბოლშევიკებს ყოველ ნაბიჯზედ უნდა ებრძოლებინათ ესერებისა და მენშევიკების ოპორტუნიზმი, მათი ანტიხალხური ბურჟუაზიული პოლიტიკა. საბჭოების გარეთ პარტიას ფართო საგიტაციო პროპაგანდისტული მუშაობა უნდა გაეჩაღებინა მუშებში და ჯარისკაცებში; უნდა მიეღწიათ იმისათვის, რომ მშრომელთა ფართო მასებს საბჭოებიდან გამოეწვიათ მენშევიკები და ესერები, მათ ნაცვლად აერჩიათ ბოლშევიკი დეპუტატები, რომლებიც გაამართლებდნენ მშრომელი მასების ნდობას და განახორციელებდნენ მათს კლასობრივ ინტერესებს.

წვრილბურჟუაზიული პარტიების გამცემლური პოლიტიკის მოთმინებითი ახსნა-განმარტება, მათი ბოლომდე მხილება საბჭოების შიგნით და გარეთ—ერთადერთი სწორი ტაქტიკა იყო. იგი უზრუნველყოფდა მშრომელთა მასების თვალწინ მენშევიკ-ესერების კონტრრევოლუციური პოლიტიკის მხილებას, მათ გამოდევნას საბჭოებიდან და საბჭოების ბოლშევიზაციას და მთელი ძალა უფლების მათ ხელში გადასვლას.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. XXI. 24. 5—6

ახსნა განმარტებითი და მაილებითი მუშაობის გზით საბ-ჭოების ბოლშევიზაციის მიღწევა, ხოლო საბჭოების საშუა-ლებით მთავრობის შემადგენლობის და პოლიტიკის შეცვლა-ა, სწორედ ეს იყო გეზი რუსეთის რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებისაკენ. ასეთი გეზი გა-მომდინარეობდა იმ თავისებური პოლიტიკური ვითარებიდან, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ორხელისუფლებიანობის სახით და არსებობდა 1917 წლის 27 თებერვლიდან 4 5 ივლისამდე. ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფო ხელისუფლე-ბა მერყევ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას ნებაყოფლობით ინაწილებდნენ დროებითი მთავრობა და საბჭოები. მიუხე-დავად იმისა, რომ საბჭოებში, როგორც ხელისუფლების ორ-განოში, მეტად გაძლიერდნენ ობორონცული, შემთანხმებლუ-რი პარტიები, მუშებმა და რევოლუციურმა ჯარისკაცებმა არ დაუშვეს საბჭოების შერწყმა დროებით მთავრობასთან, და ამ გზით საბჭოების ლიკვიდაციას გარკვეულ დრომდე თავი დააღწიეს. ასე რომ თებერვლიდან ივლისამდე დროებითი მთავრობა არ იყო ქვეყნის ერთმმართველი ბატონ-პატრონი, (რომლისაკენაც ისინი მიისწრაფოდნენ) ვინაიდან მის გვერ-დით არსებობდა ფაქტიურად მეორე სახელმწიფო ხელისუფ-ლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სახით, რომლის პირველი ჩანასახი პარიზის კომუნამ შექმნა თავის დროზე.

პროვინციებში, განსაკუთრებით იქ, სადაც საბჭოების სა-თავეში ბოლშევიკები იდგნენ საბჭოები თავიანთ ხელში იღებ-ნენ მმართველობას, აუქმებდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ძველ ორგანოებს. დროებითი მთავრობა მოკლებული იყო სამხედრო შეიარაღებულ ძალებს და ამდენად შესაძლებლობა არ ჰქონდა მიემართა ძალდატანებისათვის საბჭოებისა და ხალხის მიმართ, რამდენადაც იარაღი ხალხის (მუშებისა და ჯარისკაცების) ხელში იყო. მუშათა მილიცია, სამხედრო გარნიზონის ჯარისკაცები საბჭოებს ეკითხებოდნენ შეესრუ-ლებინათ თუ არა თავიანთი სარდლობის და დროებითი მთავრობის ბრძანებები. ასეთ პირობებში არავის არ შე-ეძლო სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია, ან ხელი შე

ეობალა საბჭოების ხელში ძალაუფლების მშვიდობიანად გადასვლისათვის.

ერთხელისუფლებიანობისათვის ბრძოლა მშვიდობიანი გზით მიდიოდა. ამისათვის სათანადო პირობებიც არსებობდა. აშკარა პოლიტიკური მოღვაწეობის თავისუფლება პარტიას საშუალებას აძლევდა პროპაგანდისა და აგიტაციის საშუალებით მოეწოდებინა მუშების, ჯარისკაცებისა და მშრომელი გლეხობისათვის საბჭოების ხელში გადასულიყო მთელი ძალაუფლება. თავის დროზე საბჭოების ხელში ძალაუფლების მთლიანად გადასვლის შემთხვევაში კლასებისა და პარტიების ბრძოლა საბჭოების შიგნით უფრო მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ ჩაივლიდა. ვ. ი. ლენინი თავის სტატიაში „ლოზუნგებისათვის" აღნიშნავს, რომ საბჭოებზე ძალადობას არავინ არ მიმართავდა, ვინაიდან ისინი წარმოადგენდნენ შეიარაღებულ მუშათა და ჯარისკაცთა დელეგაციებს. იარაღი ხალხის ხელში იყო, ხალხი გარედან ძალადობას არ განიცდიდა. სწორედ ამაზე იყო საქმის არსი, რომელიც უზრუნველყოფდა რევოლუციის წინსვლითი განვითარების მშვიდობიან გზას. რევოლუციის განვითარების ამ მშვიდობიანი გზის უშუალო განხორციელების ლოზუნგი იყო: "მთელი ძალაუფლება საბჭოებს!" ეს იყო რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ლოზუნგი. „მშვიდობიანი განვითარებისა არა მარტო იმ აზრით, რომ არავის, არცერთ კლასს, არცერთ სერიოზულ ძალას არ შეეძლო მაშინ (21 თებერვლიდან 4 ივლისამდე) წინააღმდეგობა გაეწია და ხელი შეეშალა საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლისათვის... მშვიდობიანი განვითარება მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, აგრეთვე იმ მხრივაც კი, რომ კლასებისა და პარტიების ბრძოლა საბჭოებს შიგნით შეიძლებოდა მაშინ, თუ მათ ხელში მთელი სახელმწიფო ძალაუფლება თავის დროზე გადავიდოდა, ყველაზე უფრო მშვიდობიანად და ყველაზე უფრო უმტკივნეულოდ შეთავსებულიყო"[1].

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 25, გვ. 215.

ასეთი უდიდესი ღონისძიების განხორციელება დაიმარებას გაუწევდა მშრომელთა დიდ უმრავლესობას აღმოეფხვრათ წვრილბურჟუაზიული ილუზიები, კაპიტალისტებისადმი გულძინდობლობა, კეთილსინდისიერი ობორონცობა, შემთანხმებულობა. საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლა თავისთავად შეცვლიდა კლასების თანაფარდობას და გლეხობის წვრილბურჟუაზიულ ბუნებას, გლეხობას ჩამოაცილებდა ბურჟუაზიას, ხოლო ნემდეგ გლეხობა მუშათა კლასს შეუერთდებოდა. პროლეტარიატის გარშემო მშრომელი გლეხობის გაერთიანება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმოადგენდა მთავარ პირობას პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ეს იქნებოდა რევოლუციის განვითარების ყველაზე ადვილი, ყველაზე მშვიდობიანი და ხელსაყრელი გზა ხალხისათვის.

ამრიგად, ქვეყანაში პოლიტიკური თავისუფლება, ხალხის მიმართ ძალადობის გამოუყენებლობა, მუშათა კლასისა და ჯარისკაცთა მასების ხელში იარაღის ქონა, ხელისუფლების ორგანოების — საბჭოების მოპოვება, ყოველივე ეს ქმნიდა კეთილნაყოფიერ ნიადაგს სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიანი გზით განვითარებისათვის.

საბჭოების სახით პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის საკითხის დასაბუთება იყო გენიალური აღმოჩენა მარქსისტულ მეცნიერებაში, ეს იყო სერიოზული ნაბიჯი, წინ მარქსიზმის თეორიასა და რევოლუციის პრაქტიკის დარგში. ი. ბ. სტალინი წერდა, რომ „საბჭოების რესპუბლიკა არის ის ნაძებნი და, ბოლოს, ნაპოვნი პოლიტიკური ფორმა, რომლის ჩარჩოებში უნდა მოხდეს პროლეტარიატის ეკონომიური განთავისუფლება, სოციალიზმის სრული გამარჯვება"[1].

ვ. ი. ლენინმა თავის უკვდავ ნაშრომებში ყოველმხრივ დასაბუთა რა საბჭოების მნიშვნელობა, ამასთან ერთად გვიჩ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები. მეთერთმეტე გამოცემა. გვ. 42.

ვენა, რომ შესაძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის სხვა ფორმებიც. ვ. ი. ლენინი თავის კლასიკურ შრომაში „სახელმწიფო და რევოლუციაᲐ აღნიშნავდა, რომ „კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვალად ერთი იქნება: პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა“[1].

ისტორიულმა გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა ლენინის დებულება. ამჟამად სოციალისტური სახელმწიფოს საბჭოთა ფორმასთან ერთად გვაქვს სახალხო დემოკრატიის ფორმა, რომლის შინაარსი პრინციპულად იგივეა. რაც საბჭოთა სახელმწიფოსი.

რუსეთის ეკონომიური ბდგომარეობის ღრმა ანალიზის საფუძველზე ლენინმა აპრილის თეზისებში წამოაყენა და მეცნიერულად დაასაბუთა ეკონომიურ მოთხოვნილებათა შემდეგი პროგრამა: ბრძოლა მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და ქვეყნად ყველა მიწის ნაციონალიზაციისათვის, ყველა ბანკის გაერთიანება ერთ საერთო ნაციონალურ ბანკად და მასზე საბჭოების კონტროლის დაწესება; მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების კონტროლის შემოღება პროდუქტების საზოგადოებრივ წარმოებასა და განაწილებაზე. ანღონისძიებათა გატარება იქნებოდა სერიოზული ნაბიჯის გადადგმა სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე. აღნიშნული ეკონომიური მოთხოვნილებანი წარმოადგენდნენ იმ გეგმის შემადგენელ ნაწილს, რომელიც გულისხმობდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაში გადასვლას.

აპრილის თეზისებში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა გლეხობის საკითხს, ვინაიდან ეს იყო რევოლუციის რეზერვის და პროლეტარიატის მოკავშირის საკითხი სოციალისტურ რევოლუციაში. ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ უღარიბეს გლეხობასთან რევოლუციური კავშირის გარეშე პროლეტარიატს არ შეუძლია მოიპოვოს და მტკიცედ შეინარჩუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ 508.

ნოს სახელმწიფო ძალა-უფლება. ამიტომ პარტია, ამზადებდა რა მუშათა კლასს სოციალისტური რევოლუციისათვის, მან თავისი პოლიტიკით შეძლო უზრუნველეყო დაჩაგრული გლეხობის დარაზმვა პროლეტარიატის მხარეზე, ვინაიდან, როგორც პროლეტარიატი, ისე მშრომელი გლეხობა, განიცდიდნენ უტიფარ ექსპლოატაციას კაპიტალისტებისა და მემამულეების მხრივ.

აგრარული საკითხის ბოლშევიკური პროგრამა გადმოცემული და მეცნიერულად დასაბუთებული იყო ლენინის ნაწარმოებებში: „მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა", „სოციალ-დემოკრატიული პარტიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 – 1907 წლების პირველ რევოლუციაში" და სხვ. ლენინმა წამოაყენა რევოლუციური მოთხოვნა მემამულეთა და კერძო მესაკუთრეთა მიწების კონფისკაციის, ქვეყანაში მთელი მიწების ნაციონალიზაციისა და მისი უსასყიდლოდ გლეხებისათვის გადაცემის შესახებ. ასეთი აგრარული პროგრამა აკმაყოფილებდა გლეხობის ინტერესებს და უზრუნველყოფდა გლეხთა მობილიზაციას მემამულეთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ლენინური აგრარული პროგრამა აერთიანებდა გლეხობას პროლეტარიატის გარშემო; მეორე, განაჭტკიცებდა პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის კავშირს, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების მთავარ პირობას; მესამე, პარტიასა და მუშათა კლასს უადვილებდა ბრძოლას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის.

გამოდიოდა რა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ შექმნილ კონკრეტულ-ისტორიული მდგომარეობიდან ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში წამოაყენა პროგრამული მოთხოვნა აგრარულ საკითხში, სადაც ნათქვამია: „აგრარულ პროგრამაში სიმძიმის ცენტრის გადატანა მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოებზე. მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია. ჩვენი ქვეყნის მ თ ე ლ ი მიწის ნაციონალიზაცია..."[1]

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 6.

ეს იყო ჩვენი პარტიის მთავარი მოთხოვნა აგრარულ საკითხში, ვინაიდან მხოლოდ ყველა მიწის ნაციონალიზაციას შეეძლო აღმოეფხვრა ჩვენს ქვეყანაში მიწების ფეოდალურ-მემამულური დაყოფა, წაეშალა მიჯნები და გზა გაეხსნა სოფლად ახალი აგრარული ურთიერთობისათვის. მიწების ნაციონალიზაცია უზრუნველყოფდა სახალხო მეურნეობის სწრაფად აღდგენას, დააჩქარებდა რუსეთის ეკონომიურ განვითარებას. ასეთი ღონისძიებების განხორციელება ძირეულად გააუმჯობესებდა გლეხთა მატერიალურ მდგომარეობას. მემამულეთა მიწების კონფისკაცია და ყველა მიწების ნაციონალიზაცია, უზრუნველყოფდა მემამულეთა ეკონომიური სიძლიერის და მათი წოდებრივი პრივილეგიების ლიკვიდაციას, გააფართოებდა სოფლად კლასობრივი ბრძოლის სარბიელს უღარიბესი გლეხობის სასარგებლოდ და ამავე დროს დააჩქარებდა მათს დარაზმვას პროლეტარიატის გარშემო.

მიწების ნაციონალიზაცია ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია და ისიც იმ პირობებში, როდესაც ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ისეთი საკითხები, როგორიცაა წარმოების რეგულირება და განაწილება საერთო სახელმწიფო მასშტაბით, შრომის სავალდებულო შემოღება და კავშირებში გაერთიანება წარმოადგენდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის არა მარტო უკანასკნელ სიტყვას, არამედ სოციალიზმისაკენ წინ გადადგმულ ნაბიჯს. „მიწების ნაციონალიზაცია, როგორც ბურჟუაზიული ღონისძიება, ნიშნავს კაპიტალისტურ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის შესაძლებელ და წარმოსადგენ უდიდეს თავისუფლებას და ყველა არაბურჟუაზიული დანამატისაგან მიწათსარგებლობის თავისუფლებას. გარდა ამისა, მიწის ნაციონალიზაცია. როგორც მიწის კერძო საკუთრების გაუქმება, პრაქტიკულად ისეთი მძლავრი ლახვარის ჩაცემა იქნებოდა საერთოდ წარმოების ყველა საშუალებათა კერძო საკუთრებისათვის, რომ პროლეტარიატის პარტიამ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ასეთი გარდაქმნას"[1].

---

[1] სკკპ.. რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. ნაწილი I. გამოც., მე-7, გვ. 430.

ბენაშულეთა მიწების კონფისკაცია და ნთელი მიწებია ნაციონალიზაცია იწვევდა კაპიტალისა და ბანკების ბატონობის მოშლას, რომლებიც დიდი ხანია ერთიმეორესთან იყვნენ დაკავშირებულნი და გადანასკვულნი.

წვრილბურჟუაზიული პარტიები-- ესერები და მენშევიკები გლეხებს ამშვიდებდნენ, ატყუებდნენ თითქოს დროებითი მთავრობა აგრარულ საკითხს გლეხთა ინტერესების მიხედვით გადაჭრიდა. ისინი გლეხებს უქადაგებდნენ, რომ მემამულეთა მიწების თვითნებურად დატაცება და ხელში ჩაგდება, ეს არის ანარქია, ამიტომ საჭიროა, მოუცადონ „სამართლიან“ კანონს, რომელსაც დამფუძნებელი კრება მიიღებსო.

ვ. ი. ლენინი დაუნდობლად ამხელდა მენშევიკებისა და ესერების პირფერობას და მათ სიცრუეს, მიუთითებდა რომ ანარქიას და ხალხის მოსატყუებელ ანტიდემოკრატიას წარმოადგენს ესერულ-მენშევიკური რჩევა-დარიგება,— შეუძლებელია ათმა მილიონმა გლეხმა მოითმინოს, დაუცადოს ოცდაათიათას მემამულეს, ვიდრე ისინი აგრარული საკითხის მშვიდობიანად გადაჭრას მოისურვებდნენ.

გლეხებისათვის ყველაზე უმძიმეს ძარცვას წარმოადგენდა მიწათსარგებლობის მემამულური წესი, რომელიც გლეხებს ტოვებდა სიღარიბესა და გაჭირვებაში. ნახევრად ბატონყმური მიწათმფლობელობა და აგრარული ურთიერთობა შეიძლება ლიკვიდირებული ყოფილიყო რევოლუციის გზით. მხოლოდ პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცების საფუძველზე. ვ. ი. ლენინი მუშათა კლასს და კომუნისტურ პარტიას მიუთითებდა, უპირველეს ყოვლისა, რევოლუციური თაოსნობისაკენ და გლეხებს მოუწოდებდა არ დაეცადათ დაბეფუძნებელი კრებისათვის, არამედ დაუყოვნებლივ, თვითნებურად, ორგანიზებულად აეღოთ ხელში მემამულეთა მიწები. „თუ თქვენ კანონის დაწერას დაუცადეთ,— წერდა ვ. ი. ლენინი,— და თვითონ კი არ გამოიჩენთ რევოლუციურ ენერგიას, არც კანონი გექნებათ და არც მიწა[1]“.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 24. გვ. 333 -- 334

მიწების ნაციონალიზაცია რუსეთში სცილდა მიწათმფლობელობისა და მიწითსარგებლობის ძველ ფორმებს, მიწის ერთადერთ მფლობელად სახელმწიფო იქნებოდა, რომელიც გამოსცემდა კანონს მიწით რეგულარულად სარგებლობის შესახებ. გლეხებს მიწა უნდა მიეღოთ ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე ადგილობრივი საბჭოების მეშვეობით, ყოველგვარი შუამავლობის გამოყენების გარეშე. თავისუფალი შრომა თავისუფალ მიწაზე — ეს იქნებოდა წინ გადადგმული ნაბიჯი. 30 ათასი მემამულის ხელიდან 70 მილიონი დესეტინა მიწა გადავიდოდა სახელმწიფოს ხელში.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის ყველაზე საიმედო მოკავშირე მბოლოდ უღარიბესი გლეხობა იყო. ამიტომ ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში მიუთითა, რომ აგრარული საკითხის გადაწყვეტის სიმძიმის ცენტრი გადაგვეტანა უღარიბესთა და მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოებზე.

პარტიის ახალი პოლიტიკა აგრარულ საკითხში ნუნებსა და უღარიბეს გლეხობას პირდაპირ მიუთითებდა, რომ მსხვილი მამულებისაგან საზოგადოებრივ ხარჯზე შეექმნათ სანიმუშო მეურნეობები მოჯამაგირეთა დეპუტატების კონტროლით. ასეთი მეურნეობანი, მიუთითებდა ლენინი, იქნება თვალსაჩინო მაგალითი მსხვილი მეურნეობის უპირატესობისა წვრილ მეურნეობასთან შედარებით და ამავე დროს საიმედო დასაყრდენი ახალი საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის.

აპრილის თეზისებში ლენინის მიერ წამოყენებული მოთხოვნა აგრარულ საკითხში წარმოადგენდა პროლეტარიატისა და ექსპლოატირებული გლეხობის ურთიერთკავშირის ეკონომიურ საფუძველს. უღარიბესთა და მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოების ბრძოლა ამ მოთხოვნილებათა განხორციელებისათვის იყო უღარიბესი გლეხობის მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯი სოციალიზმისაკენ.

ლენინი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ მიწების კონფისკაცია და ნაციონალიზაცია გამრიწვევს მემამულეთა მხრივ დიდ წინააღმდეგობას, რომელთაც მხარს დაუჭერს ბურჟუა-

ზია დროებითი მთავრობის საბით, აგრეთვე ესერებისა და მენშევიკების პარტიები. ცხოვრებაში რევოლუციური აგრარული პროგრამა რომ გავატაროთ, ამისათვის, მიუთითებდა ლენინი. უნდა გავტეხოთ მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგობა, უკუვაგდოთ დროებითი მთავრობა და დავამსხვრიოთ ძველი სახელმწიფო აპარატი, ვამხილოთ ესერები და მენშევიკები, როგორც მშრომელი გლეხობის ინტერესების მოღალატენი, მივაღწიოთ იმას, რომ სახელმწიფოს სრული ძალაუფლება გადავიდეს პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ხელში პროლეტარიატის ხელმძღვანელობით. ცხადი იყო, რომ აგრარული საკითხის გლეხობის სასარგებლოდ წარმატებით გადაჭრა ორგანულად იყო დაკავშირებული ძალაუფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლის საკითხთან, პროლეტარიატისა და სოფლის უღარიბესი გლეხობის კავშირის განმტკიცებასთან.

ლენინის საპროგრამო მითითებანი აგრარულ საკითხში დაეხმარა პარტიას სწორად განესაზღვრა თავისი პოლიტიკა გლეხობის საკითხში ისეთ მნიშვნელოვან ეტაპზე, როცა მთელი დაძაბული მუშაობა მიმართული იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისაკენ, როდესაც რევოლუციის ბედი წყდებოდა.

სოციალისტური რევოლუციისათვის მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის მომზადების საქმეში დიდი როლი ითამაშა კომუნისტური პარტიის ბრძოლამ ქვეყნის შიგნით არსებული ყველა ბანკის ერთი საერთო სახელმწიფოებრივ ბანკად გაერთიანებისათვის და მასზე საბჭოების — რევოლუციური ხელისუფლების კონტროლის დაწესებამ.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა მარქსმა და ენგელსმა ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტით“ ამცნეს ქვეყნიერებას, რომ პროლეტარიატმა უნდა დაამხოს ბურჟუაზია და დაამყაროს თავისი ბატონობა, მათ დაუყოვნებლივ უნდა აიღონ თავიანთ ხელში წარმოების საშუალებანი და შექმნან ახალი საწარმოო ურთიერთობანი. აქედან გამომდინარეობს ის, რომ პროლეტარიატმა მეურნეობის არც ერთი უბანი არ უნდა დატოვოს ხელუხლებლად ძველ ფორმებში და ძველ ბურჟუაზიულ არტახებში, მით უმე-

ტეს ბანკები, სადაც თავმოყრილია ბურჟუაზიის სასიცოცხლო არხები. ცნობილია, თუ როგორი საბედისწერო აღმოჩნდა პარიზის კომუნისათვის (სხვა შეცდომებთან ერთად) უარის თქმა საფრანგეთის ბანკის კონფისკაციაზე, „რაც კომუნის დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზი იყო“ [1].

მარქსი აღნიშნავდა, რომ კომუნის მეთაურები საფრანგეთის ბანკის კარიბჭესთან შეჩერდნენ, რაც მეტად მძიმე პოლიტიკური შეცდომა იყო, ვინაიდან კომუნის ხელში ბანკს „ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე ათიათას მძევალს“ [2].

ასეთი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბანკებს პარიზის კომუნის დროს, ე. ი. იმპერიალიზმის წინა პერიოდში, როდესაც ბანკებს და საერთოდ საბანკო კაპიტალს ჯერ კიდევ არ მოეხვეჭა ის უდიდესი როლი, რომელიც იმპერიალიზმის ეპოქაში უზომოდ გაიზარდა, გაფართოვდა და ყოვლის მომცველი გახდა. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ფართოვდებოდა ბანკების საქმიანობა. მრეწველობაში წარმოების კონცენტრაციამ და კაპიტალის უზომოდ დაგროვებამ თავი მოუყარა უდიდეს ფულად სახსრებს ბანკებში, რომელიც ეძებდა მომგებიან გამოყენებას. ამიტომ განუხრელად იზრდებოდა მსხვილი ბანკების წილი საერთოდ საბანკო ბრუნვაში.

„წარმოების კონცენტრაცია; — წერდა ვ. ი. ლენინი, — მისგან აღმოცენებული მონოპოლიები; ბანკების შეერთება ანუ შეზრდა მრეწველობასთან — აი ფინანსური კაპიტალის წარმოშობის ისტორია და ამ ცნების შინაარსი“ [3].

რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განხორციელებამდე ბანკების როლი ისე გაიზარდა, რომ მათ თითქმის სრული ბატონობა მოიპოვეს მეურნეობის თითქმის ყველა წამყვან დარგებში. ბანკირები ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების საჭესთან მოდიოდნენ და მიდიოდნენ.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 711

[2] იქვე. გვ. 550—551.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 282

„დღეს ბინისტრი ხვალ ბანკირი; დღეს ბანკირი — ხვალ მინისტრი. „ომი ბოლომდე“ — დღესაც და ხვალაც“[1]. ასე ახასიათებდა ვ. ი. ლენინი ბანკებისა და ბანკირების საქმიანობას, მათ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი, ერთი მუჭა ბანკირები, რომელთაც მთელი ქვეყნიერება ხელში ეჭირათ, ომით ჯიბეს ისქელებდნენ.

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების მიერ კონტროლის დაწესებას წარმოებაზე, ბანკებზე და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციის ერთი ეტაპიდან მის მეორე, უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლისათვის. ცხადია, კონტროლის მთელი საკითხი არსებითად ის არის, თუ ვინ ვის უწევს კონტროლს, ე. ი. რომელი კლასია კონტროლის გამწევი და რომელ კლასს უწევენ კონტროლს. ამ შემთხვევაში საბჭოების კონტროლი ბანკებზე მეტად მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა სამეურნეო მუშაობის თითქმის ყველა დარგში.

მაგრამ საბჭოების ხელიდ მუშათა კონტროლს ბურჟუაზია მტრულად შეხვდა. ცხადია, მათთვის ეს ღონისძიება სასიკვდილო ლახვარი იყო, რამდენადაც იგი გამოააშკარავებდა კომერციულ საიდუმლოებათა სისაძაგლეს და კაპიტალისტების არაადამიანურ სახეს. ამიტომ კაპიტალისტები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს მუშათა კონტროლის განხორციელებას. ხშირად ისინი მიმართავდნენ არაადამიანურ მეთოდებს, ახდენდნენ ლოკაუტებს. კაპიტალისტები კეტავდნენ ფაბრიკა-ქარხნებს, ხშირად გარბოდნენ კიდევაც რევოლუციისაგან შეშინებულნი. ასეთ შემთხვევაში მუშები თავიანთ ხელში იღებდნენ საწარმოების დაცვასა და მათდამი ხელმძღვანელობას, წარმოებაზე ანხორციელებდნენ კონტროლს, ყოველნაირი საშუალებით ცდილობდნენ არ შეეწყვიტათ წარმოება.

მარტის პირველ ნახევარში მუშათა კონტროლი შემოღებულ იქნა პეტროგრადის რიგ ქარხნებსა და ფაბრიკებში: პუტილოვის, სესტრორეცკის, სემიანინკოვსკის და სხვ., აგრეთვე მოსკოვში: პროხოროვსკის, დანილოვსკის და მიხელსონის ქარხნებში.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 129

პეტროგრადისა და მოსკოვის მიბაძვით მუშათა კონტროლი დაწესებულ იქნა დონბასსა და ურალში, სორმოვოსა და ხარკოვში. ქვეყნის ყველაზე მსხვილ სამრეწველო ობიექტებში მუშების რევოლუციურმა შემოქმედებითმა ინიციატივამ ბევრი რამ ორიგინალური შექმნა მუშათა მოძრაობის ისტორიაში. თვითონ ეს ფაქტი — წარმოებაზე და პროდუქტების განაწილებაზე მუშათა კონტროლის დაწესება, არის რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური შემოქმედება, რომლის მსგავსი მუშათა მოძრაობის ისტორიას არ ახსოვს.

წარმოებაზე კონტროლის განსახორციელებლად მუშები თვითონ ირჩევდნენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს და მათთან ერთად ქმნიდნენ სასურსათო, სამეურნეო-ტექნიკურ კულტსაგანმანათლებლო კომისიებს და სხვ. კომისიები თვალყურს ადევნებდნენ წარმოებას, მის მომარაგებას ნედლეულითა და სათბობით, იცავდნენ პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს.

სახელმწიფო საწარმოებში მუშათა ორგანიზაციების შესახებ გამოცემული ინსტრუქციის პროექტში ნათქვამია: საერთო-საქარხნო კომიტეტები წარმოადგენენ ისეთ ორგანოებს, რომლებიც კონტროლს ახორციელებენ ქარხნების სამმართველო-ადმინისტრაციულ და სამეურნეო-ტექნიკურ დარგებში. კომიტეტების წარმომადგენლებს გასაცნობად უნდა წარედგინოს ქარხნის მმართველობის ყველა ოფიციალური დოკუმენტი, წარმოების ყველა ხარჯთაღრიცხვა, ასევე შემოსავალ-გასავლის დოკუმენტები[1].

ანზოგადებდა რა მუშათა კონტროლის პირველ გამოცდილებას, ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში ჩამოაყალიბა კომუნისტური პარტიის მორიგი ამოცანა: „ჩვენი უშუალო აქოცანაა არა სოციალიზმის „შემოღებაᲐ, არამედ დაუყოვნებლივ გადასვლა მხოლოდ პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოების და განაწილების კონტროლზე მუშათა დეპუტატების საბჭოების მხრივ“[2].

---

[1] ორცსა, ფ. 477, აღწ. 17, ფურც. 34 — ა.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ 6

მართალია, მუშათა კონტროლის დაწესება წარმოებაზე და პროდუქტების განაწილებაზე სოციალიზმს არ წარმოადგენს, მაგრამ ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარება წინ გადადგმული ნაბიჯი იყო სოციალიზმის გზაზე. კონტროლი რომ ნამდვილად ნაყოფიერი და საქმიანი იყოს,—აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი,— იგი უნდა გავატაროთ მთელ ქვეყანაში ქვევიდან ზევით, ყველგან, ყველგან წარმოებასა და პროდუქტების განაწილებაზე; საბჭოებმა კონტროლის ისეთი მეთოდი უნდა შეიმუშაონ, რომ გახსნან კომერციული საიდუმლოებანი, ამ ამოცანის შესრულების გარეშე ყოველგვარი კონტროლი მუშათა კლასის მოტყუება იქნება. კონტროლის წარმატებისათვის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს საკონტროლო ორგანოების შემადგენლობა. რევოლუციური კონტროლი უნდა განახორციელონ მუშებმა და უღარიბესმა გლეხობამ. საკონტროლო ორგანოებში ისინი უნდა წარმოადგენდნენ უმრავლესობას. მუშათა კონტროლი უნდა ეყრდნობოდეს მუშათა მასებისა და მშრომელი გლეხობის რევოლუციურ აქტივობას;

რომ გააკონტროლო, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი,— ძალაუფლება ხელთ უნდა გქონდეს; წარმატებითი კონტროლისათვის საბჭოების განკარგულებაში უნდა იყოს მუშათა მილიცია, რომელიც თვალყურს ადევნებს ყველა იმ ღონისძიებათა გატარებას, რომელსაც დაადგენს საბჭოები. ლენინი აღნიშნავდა, რომ „საბჭოების ძალაუფლება ერთადერთია, რასაც შეეძლო თანდათანობითი, მშვიდი, უშფოთველი გაეხადა შემდგომი განვითარება, რომელიც წარიმართებოდა ხალხის მასების უმრავლესობის შეგნებისა და გადაწყვეტილების შესაბამისად, მათი საკუთარი გამოცდილების შესაბამისად“[1]. მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელდებოდა ქვეყნის მმართველობისა და მეურნეობის კონტროლის სავსებით გადაცემა მუშებისა და გლეხებისათვის, რომლებსაც ვერავინ გაუბედავდა წინააღმდეგობას და ისინი თავიანთი საკუთარი პრაქტიკით სწრაფად ისწავ-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 25. გვ. 456—457.

ლიდნენ მიწის, პროდუქტებისა და პურის სათანადო განაწილებას.

წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესების ლენინური ლოზუნგი წარმოადგენდა პარტიის ერთ-ერთ ძირითად ტაქტიკურ ლოზუნგს საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლისათვის ბრძოლაში. ის უზრუნველყოფდა მუშათა კლასის მობილიზაციასა და მომზადებას სოციალისტური რევოლუციისათვის. წარმოებაზე მუშათა კონტროლი წარმოადგენდა ერთადერთ სწორ და ყველაზე ეფექტიან საშუალებას სახალხო მეურნეობის ნგრევისა და კაპიტალისტთა საბოტაჟის წინააღმდეგ საბრძოლველად. წარმოებასა და პროდუქტების განაწილებაზე მუშათა კონტროლის დაწესება განაცტკიცებდა მუშათა კლასისა და უღარიბეს გლეხობის კავშირს. მუშები ღებულობდნენ გადაწყვეტილებას, რომ სოფლის მშრომელი გლეხობისათვის მიეწოდებინათ საქონელი, დახმარებოდნენ მათ. მოსკოვის ბლაგუშე-ლეფორტოვსკის ფაბრიკის მუშათა დეპუტატების საბჭომ საფაბრიკო კომიტეტის სხდომაზე მიიღო ასეთი რეზოლუცია: „მრეწველობაში მუშათა კონტროლის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სოფლის მომარაგება ისეთი საქონლით, რომელიც დააკმაყოფილებს გლეხური მოსახლეობის მოთხოვნილებას საწარმოო იარაღებზე"[1].

ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს მოსკოვის სხვა რაიონებშიც და აგრეთვე პეტროგრადის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საერთო საქალაქო კონფერენციაზე.

წარმოებაზე მუშათა კონტროლისათვის ბრძოლა იყო ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის სოციალ-ეკონომიური საფუძვლების შექმნისათვის.

ანხორციელებდა რა კონტროლს წარმოებასა და პროდუქტების განაწილებაზე პროლეტარიატმა მოიპოვა ქვეყნის ეკონომიური სიმაღლეების სახელმძღვანელო პუნქტები პროლეტარიატის დიქტატურისათვის და მოამზადა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის შეცვლა ახალი სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობით. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ

---

[1] „სოციალ-დემოკრატი", 1917 წლის 5 ივლისი.

მუშათა კონტროლიდან ჩვენ მივდიოდით საჯალხო მეურნეობის საბჭოს შექმნისაკენ, ჩვენ წარმატებით მივედით წარმოებისადმი მუშათა კლასის მმართველობასთან საერთო ნაციონალური მასშტაბით.

აპრილის თეზისებში წამოყენებული ეკონომიური პროგრამა ორგანულად დაკავშირებულია მთავარ სტრატეგიულ ამოცანასთან, პროლეტარიატის მიერ სელისუფლების მოპოვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებასთან.

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების არსებობა აადვილებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში მშვიდობიანად გადაზრდას, ისინი ბრძოლას ეწეოდნენ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, იცავდნენ და ყოველმხრივ აფართოებდნენ რევოლუციის მონაპოვარს, უპირველეს ყოვლისა ანვითარებდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის შემოქმედებით ინიციატივას ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების თავისებურ ყაიდაზე გარდაქმნისათვის; მეორე, დაეხმარა მუშათა კლასს და უღარიბეს გლეხობას დროებითი მთავრობის იმპერიალისტური ხასიათის მხილებაში. მოუწოდებდა მუშებსა და გლეხებს დაუყოვნებლივ აეღოთ ხელში მთელი ძალაუფლება; მესამე, მუშებისა და უღარიბესი გლეხობის მიერ ძალაუფლების თავიანთ ხელში აღების შემთხვევაში საბჭოები იქნებოდა სახელმწიფო ორგანიზაციის მზა ფორმა, რომელსაც შეეძლო განეხორციელებინა ხელისუფლების სათავეში მყოფი კლასების ბატონობა ბურჟუაზიაზე, ე. ი. საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის განუსაზღვრელი ბატონობა უმცირესობაზე, ექსპლოატირებულთა ბატონობა ექსპლოატატორებზე.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები თებერვლის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე პეტროგრადის საბჭოს აღიარებდნენ ხელმძღვანელ ცენტრად, როშელიც მართლაც გამოდიოდა სრულიად რუსეთის საბჭოების ორგანოს როლში და ცხოვრებაში ატარებდა რევოლუციურ ღონისძიებებს მასების გავლენითა და ინიციატივით. ასე მაგალითად, საბჭომ სცადა გაეუმჯობესე-

ბინა მოსახლეობის ძომარაგება პირველადი მოიძაოების საგ-ნებით და განსაკუთრებით სურსათ-სანოვაგით. ამ მიზნით იყო, რომ საბჭომ დადგენილება გამოიტანა, რათა არ დაეშ-ვათ სასურსათო საქმეში დროებითი კომიტეტის განკარგუ-ლებათა განხორციელება სასურსათო კომისიასთან შეთანხმე-ბის გარეშე. დადგენილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, ოომ უნდა მოეწყოს რაიონული და ცენტრალური სასურსათო ორგანიზაციები მუშათა დეპუტატების საბჭოების კომისიების მონაწილეობით, რომლებიც კონტროლს გაუწევდნენ პროდუქ-ტების გადმოტვირთვასა და განაწილების საქმეს[1].

პეტროგრადის საბჭოს ორგანო გაზეთი „იზვესტია" 1917 წლის 11 მარტს იტყობინებოდა, რომ საბჭომ მიიღო გადა-წყვეტილება 8-საათიანი და უქმედღეების წინ 7-საათიანი სა-მუშაო დღის შემოღების შესახებ. მართალია, ეს არც ისე დიდი და ფართო მასშტაბის ღონისძიება იყო, მაგრამ პეტ-როგრადის საბჭოს ასეთ გადაწყვეტილებას პროლეტარიატისა-თვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ესერებისა და მენშევიკების პარტიების ლიდერთა დამამშვიდებელ სი-ტყვებს, რომელნიც ხალხს შთააგონებდნენ და უმტკიცებდნენ, თითქოს დროებითი მთავრობა მათთვის ყველაფერს გააკე-თებს: მისცემს პურსა და 8-საათიან სამუშაო დღეს.

უდიდეს რევოლუციურ მუშაობას ატარებდნენ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბ-ჭოები. ისინი სცვლიდნენ სამხედრო და სამოქალაქო რეაქ-ციონერ უფროსებს, ატარებდნენ ეკონომიურ ღონისძიებებს, ახდენდნენ სამოქალაქო დაწესებულებების დემოკრატიზაციას, არაფრად არ თვლიდნენ ბურჟუაზიული ხელისუფლების მი-თითებებს და მოწოდებებს. ასე მაგალითად, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ყაზანის საბჭომ მიიღო და სის-რულეში მოიყვანა დადგენილება რეაქციონერი გენერლის სანდეცკოს დაპატიმრების შესახებ, რომელიც დროები-თი მთავრობის მიერ დატოვებული იყო როგორც ყაზანის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. ამის გარდა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 1917 წლის 1 აპრილიდან შემოღე-

---

[1] გაბ. „იზვესტია", 1917 წლის 6 მარტი

ბული ყოფილიყო 8 საათიანი, ხოლო უქნე დღეების წინ 7 საათიანი სამუშაო დღე[1].

8 საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს მოსკოვის, ორეხოვო-ზუევოს, ურალისა და დონბასის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა.

ეკონომიური ხასიათის ღონისძიებები თვითნებური წესით გაატარეს გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა. ისინი ამცირებდნენ მიწის საარენდო გადასახადს, მემამულეებს ართმევდნენ დაუმუშავებელ მიწებს და ხშირად ნათეს ფართობებსაც; სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და საქონელის კონფისკაციას ახდენდნენ, რომელსაც თვითონ გლეხები ინაწილებდნენ. ვორონეჟის გუბერნიაში ზემლიანსკის მაზრაში გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა გამოიტანა დადგენილება მიწის ფასების შემცირების შესახებ.

დროებითმა მთავრობამ პროტესტი განაცხადა ასეთი მოქმედების გამო და შეეცადა განმარტებას, რომ არ შეიძლება თვითნებურად დაწესდეს ფასებიო. ამის საპასუხოდ ზემლიანსკის მოქალაქეთა საბჭომ 1917 წლის 4 მაისს გამოიტანა გადაწყვეტილება და გაუგზავნა დროებით მთავრობას, სადაც აღნიშნული იყო, რომ „იგი სავსებით სწორადა სთვლის აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებას საარენდო ფასების შესახებ და დროებითი მთავრობის ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს“[2].

1917 წლის 3 ივნისს ყაზანის გუბერნიის კომისარი დროებით მთავრობას სასწრაფო დეპეშით ატყობინებდა, რომ 29 და 30 მაისს სპასკის მაზრაში შედგა გლეხების წარმომადგენელთა თათბირი, რომელთაც დაადგინეს, რომ მსხვილ მესაკუთრეებს დაუყოვნებლივ ჩამოერთვათ მიწები, ტყეები, საძოვრები და სათიბები გლეხთა სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვას სასოფლო-სამეურნეო იარაღი და სამჭედლოები: მტკიცე, დაბალი ფასები დაწესდეს პურზე[3].

---

[1] გაზ „იზვესტია“. 1917 წლის 6 მარტი.

[2] ორცსა, ფ. 398, აღწ. 1, საც. ერთეული 17, ფურც. 107.

ორცსა, ფ. 398, აღწ. 3. საც. ერთეული 31, ფურც. 46

მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ადგილობრივ დაწესებულებათა დემოკრატიზაციისათვის. სამიწათმოქმედო და საქალაქო სამმართველოებიდან აძევებდნენ მტრულ ელემენტებს და მათ ადგილზე საბჭოების დეპუტატებს აგზავნიდნენ.

დონის როსტოვში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ 1917 წლის მარტის პირველ ნახევარში დათხოვნილად გამოაცხადა როსტოვის ქალაქის შავრაზმული სამმართველო და მოითხოვა ახალი არჩევნების დაუყოვნებლივ ჩატარება საყოველთაო საარჩევნო კანონის მიხედვით[1].

საბჭოების მოღვაწეობა და რევოლუციური შემოქმედებითი ინიციატივა ხელს უწყობდა რუსეთის რევოლუციის მშვიდობიან განვითარებას და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდას. ამ ამოცანების წარმატებით გახხორციელებისათვის ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დაძაბულ პოლიტიკურ-ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდნენ.

ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში გარკვეულად ჩამოაყალიბა შინაპარტიული ამოცანები, რაც მდგომარეობდა, შემდეგში: პარტიის ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა; ბ) პარტიის პროგრამის შეცვლა, უმთავრესად: 1) იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომის შესახებ, 2) სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების შესახებ და ჩ ვ ე ნ ი მოთხოვნა „სახელმწიფო კომუნისა“ (ე. ი. ისეთი სახელმწიფოსი, რომლის პირველი სახე პარიზის კომუნამ მოგვცა). 3) მოძველებული პროგრამა-მინიმუმის შესწორება; გ) პარტიის სახელწოდების შეცვლა

ლენინი მოითხოვდა შეცვლილიყო პარტიის სახელწოდება — „სოციალ დემოკრატიული პარტია“, რადგან ეს სახელწოდება უკვე შერყვნილი და გაპუტყიანებული იყო II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებისა და რუსი მენშევიკების მიერ მათი ოპორტუნისტული, მუშათა კლასის ინტერესებისადმი მოლა-

---

ორცსა. ფ. 398. აღწ. 1. საც. ერთ. 62. ფურცელი 9.

ლატური მოქმედებით. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას უნდა მიეღო კომუნისტური პარტიის სახელწოდება, როგორც მარქსიზმის ფუძემდებლები უწოდებდნენ თავიანთ პარტიას. სახელწოდება „კომუნისტური პარტია“ ძეცნიერულად სწორად გამოხატავს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის საბოლოო მიზანს — კომუნიზმისათვის ბრძოლას. მუშათა კლასის დარაზმვისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის აუცილებელი იყო კომუნისტური პარტიის განმტკიცება პოლიტიკურად და ორგანიზაციულად, საჭირო იყო პარტიის შეიარაღება ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისი პროგრამული დებულებებით.

პარტიის პროგრამაში კაპიტალიზმის დახასიათების გვერდით მოცემული უნდა ყოფილიყო იმპერიალიზმის ყოველმხრივი და სრული დახასიათება, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიისა. როგორც სოციალისტური რევოლუციის წინადღისა.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ პარტიის პროგრამაში აუცილებლად აღნიშნული ყოფილიყო ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის — გამარჯვების შესაძლებლობის თეორია, იმ ახალი ვითარების ფონზე და კონკრეტული ანალიზის საფუძველზე, რომელიც იმპერიალისტური ომის მსვლელობით იყო გამოწვეული. პროგრამაში ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო ბოლშევიკური პარტიის თეორია და ტაქტიკა ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებზე.

ლენინის მოთხოვნა „სახელმწიფო კომუნის“ შესახებ, გულისხმობდა ისეთ სახელმწიფოს, რომლის პირველი სახე პარიზის კომუნარებმა შექმნეს. მარქსიზმი ანარქიზმისაგან განსხვავებით ცნობს სახელმწიფოს აუცილებლობას კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში, მაგრამ პროლეტარიატს უნდა არა ისეთი სახელმწიფო, როგორიცაა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტარული რესპუბლიკა, არამედ ისეთი ტიპის სახელმწიფო, „როგორიცაა 1871 წლის პარიზის კომუნა, როგორიცაა 1905 და 1917 წლების მუშათა დეპუტატების საბჭოები“[1].

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 24, გვ. 93

ლენინი წინადადებას იძლეოდა პარტიის ახალ პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო მოთხოვნა არა პარლამენტარული რესპუბლიკისა, არამედ მუშათა, მეჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკისა. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები რუსეთში აღადგენდნენ სახელმწიფოს იმ ტიპს, რომლის პირველი სახე შექმნა პარიზის კომუნამ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ ეს იყო ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილი პოლიტიკური ფორმა, რომელმიც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ო ხ დ ე ს მშრომელთა ეკონომიური განთავისუფლება.

პარლამენტური ბურჟუაზიული რესპუბლიკა ინარჩუნებს ჩაგვრის მთელ მანქანას: ჯარს, პოლიციას, მოხელეობას. აქედან მონარქიისაკენ დაბრუნება სულ ადვილია. კომუნა და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები კი ამსხვრევენ და სპობენ ამ ძველ მანქანას.

საბჭოების რესპუბლიკა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და ყველაზე უფრო მარჯვე გამოსაყენებელი ფორმაა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში. ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საბჭოების რესპუბლიკის დამყარებას და მუდამ ასწავლიდა ბოლშევიკებს, მთელ მშრომელებს, რომ საბჭოები არის ახალი სახელმწიფო აპარატი, რომელიც ქმნის მუშათა კლასისა და გლეხობის ისეთ რევოლუციურ ძალას, რომლის მაგივრობას ვერ გასწევს ვერც ერთი სხვა ძალა; იგი იძლევა სახელმწიფო აპარატის ყველაზე უფრო ფართო და მტკიცე კავშირს ხალხის უმრავლესობასთან, რომლის მსგავსი სახელმწიფოთა ისტორიამ არ იცის. საბჭოების შემადგენლობის არჩევა და გამოცვლა ხდება ხალხის ნებით ამიტომ იგი ყველაზე უფრო დემოკრატიულია. საბჭოები იძლევა მტკიცე კავშირს სხვადასხვა პროფესიასთან, რითაც აადვილებს უაღრესად მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას და ამავე დროს მუშათა კლასს და საერთოდ ჩაგრული კლასების ავანგარდს შეუძლია, საბჭოების აპარატის საშუალებით აღზარდოს, მოამზადოს და თან გაიყოლიოს ჩაგრული კლასების მ თ ე ლ ი გ ი გ ა ნ ტ ურ ი მ ა ს ა, რომელიც მანამდე

მოწყვეტილი იყო პოლიტიკურ ცხოვრებას. ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოები შესაძლებლობას იძლევა შეერთებულ იქნას ხალხის არჩეულ წარმომადგენელთა სახით საკანონმდებლო ფუნქცია და კანონების შესრულება. ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმთან შედარებით ეს იქნებოდა მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა დემოკრატიის განვითარების გზაზე.

აქედან გასაგებია, თუ კომუნისტურმა პარტიამ რატომ მიიღო და შეისისხლხორცა საბჭოების რესპუბლიკის შექმნის ლენინური გეგმა, თუ რატომ ჩასჭიდეს ხელი რუსეთის კომუნისტებმა საბჭოებს, როგორც ძირითად ორგანიზაციულ რგოლს, რომელსაც შეეძლო სოციალისტური რევოლუციის ორგანიზაციის გაადვილება და პროლეტარული სახელმწიფოს ახალი აპარატის შექმნა.

აპრილის თეზისებში არის მოთხოვნა, რომ ბოლშევიკურ პარტიას საბოლოოდ უარეყო II ინტერნაციონალი, რომელიც იმპერიალისტური ომის დასაწყისიდანვე მუშათა კლასის მტრების ბანაკში გადაბარგდა; ლენინი მოითხოვდა ციმერვალდის ინტერნაციონალური გაერთიანებიდან დაუყოვნებლივ გამოსვლას და ახალი, ნამდვილად კომუნისტური III ინტერნაციონალის დაარსებას.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეგვიძლია მოკლედ დავასკვნათ, რომ იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხურის მეცნიერული ანალიზისა და რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის ყოველმხრივ შესწავლისა და განზოგადოების საფუძველზე აპრილის თეზისებში ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა კომუნისტური პარტიის საბრძოლო პროგრამა, მასში მოგვცა რუსეთის რევოლუციის განვითარების, განსაკუთრებით, მშვიდობიანი განვითარების გეგმა, ეკონომიკის დარგში დასახული ამოცანები, რომელიც თეზისებში მოკლედ იქნა ჩამოყალიბებული, ძირეულად გამოხატავდა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის სასიცოცხლო ინტერესებს.

პარტიული ორგანიზაციების ძიერ მოეწყო აპრილის თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვა. ლენინის რევოლუციური იდეები, მაორგანიზებელი და დამრაზმველი ძალა ხდებოდა პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობისათვის, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში ძალაუფლების მთლიანად გადასვლისათვის.

1917 წლის 14 — 22 აპრილს შედგა პეტროგრადის ბოლშევიკების საერთო საქალაქო კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდა 57 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით, რომლებიც პარტიის 10.000 წევრს წარმოადგენდნენ. მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ლენინმა. მან გააცნო თავისი თეზისები კონფერენციის დელეგატებს და მოუწოდა მათ ებრძოლათ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ლოზუნგით: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“

საბჭოების სრული ძალაუფლებიანობისათვის საჭიროა, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — პროლეტარიატისა და ჩაგრული მშრომელი გლეხობის უმრავლესობის დარაზმვა ბოლშევიკური პარტიის გარშემო. ლენინმა სასტიკად გააკრიტიკა ტროცკის ლოზუნგი: „უმეფოდ, მთავრობა კი მუშური!“ ეს იყო მუშათა და გლეხთა კლასების კავშირის უარყოფა, რაც ფაქტიურად სოციალისტურ რევოლუციის გამარჯვების ძირითად პირობაზე ხელის აღებას წარმოადგენდა.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ლენინური გეზის წინააღმდეგ გამოვიდნენ მარქსიზმის ფარული მტრები კამენევი, ზინოვიევი, ბოგდატიევი, სლუცკი, ისინი გამოვიდნენ საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლის წინააღმდეგ და ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერის პოზიცია დაიკავეს.

ანტიმარქსისტების გამოსვლა მიმართული იყო ბურჟუაზიის ინტერესების დაცვისაკენ.

კონფერენციის დელეგატებმა უკუაგდეს მტრული გამოხდომები პარტიის წინააღმდეგ და ლენინის მოხსენების საფუძველზე მიიღეს რევოლუციური რეზოლუცია: „მიმდინარე მომენტის შესახებ“, „ომის შესახებ“ და მიიღეს დადგენილე-

ბა. სენოთ ჩამოთვლილი საკითხები განსასილველად შეეტა ნათ სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციაზე.

კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია უ.რძალავდა პარტიულ ორგანიზაციებს მენშევიკებთან ბლოკში გაერთიანებას, ვინაიდან მენშევიკებმა უღალატეს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, უღალატეს სოციალიზმის საქმეს. კონფერენციის ასეთი გადაწყვეტილება წარმოადგენდა გამაერთიანებელი ტენდენციებისადმი სასიკვდილო დარტყმას და უზრუნველყოფდა პარტიის ერთიანობის სიმტკიცეს.

პეტროგრადის საერთო საქალაქო კონფერენციამ მოიწონა და მიიღო ლენინის აპრილის თეზისები და საფუძვლად დაუდო თავის გადაწყვეტილებას. პეტროგრადის ბოლშევიკების მიერ ლენინის აპრილის თეზისების მიღება შემობრუნების პუნქტი იყო ჩვენი პარტიის განვითარებაში. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დედაქალაქის ბოლშევიკების მთელი იდეურ-პოლიტიკური მუშაობა მიმართული იყო სოციალისტური რევოლუციის მომზადებისაკენ.

ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო ბოლშევიკების მოსკოვის საქალაქო და საოკრუგო კონფერენციამ 1917 წლის 15 აპრილს. კონფერენციამ თავის რეზოლუციაში მუშებსა და ჯარისკაცებს მოუწოდა ებრძოლათ მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლისათვის.

აპრილის თეზისების განხილვამ უდიდესი გავლენა მოახდინა ბოლშევიკური ორგანიზაციების ზრდა-განვითარებაზე. ლენინის თეზისების განხილვის დროს ხარკოვის, ლუგანსკის მაკაევკის და გორლოვკის ბოლშევიკურმა კომიტეტებმა მიიღეს რევოლუციური რეზოლუციები დროებითი მთავრობისადმი უნდობლობის, საბჭოების ხელში ძალაუფლების მთლიანად გადასვლისა და დემოკრატიული ზავისათვის დაუყოვნებლივ ბრძოლის შესახებ. უკრაინის ბოლშევიკების მიერ აპრილის თეზისების განხილვის დროს შახტებისა და სხვა ქარხნების მუშებმა მასიურად იწყეს შესვლა ბოლშევიკური პარტიის რიგებში.

2. ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა ლენინის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის

აპრილის თეზისების განხილვის პერიოდში ქვეყანაში იფეთქა პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა საერთოდ ამბების მსვლელობაზე. ასრულებდა რა ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის კაპიტალისტების მოთხოვნებს, ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 18 აპრილს ნოტით მიმართა მოკავშირეებს და რევოლუციური რუსეთის სახელით განაცხადა, რომ იგი ერთგულია სამოკავშირეო ხელშეკრულებისა და მზადაა განაგრძოს ომი საბოლოო გამარჯვებამდე. ეს ამბავი მუშებისათვის ცნობილი გახდა 19 აპრილს. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა მუშებსა და ჯარისკაცებს პროტესტით გამოსულიყვნენ დროებითი მთავრობის მიერ მძარცველური ომის განგრძობის პოლიტიკის წინააღმდეგ. 20 — 21 აპრილს პეტროგრადის ქუჩებში გაიმართა მუშათა და ჯარისკაცთა დემონსტრაციები ლოზუნგებით „ძირს ომი!", „გამოაქვეყნეთ საიდუმლო ხელშეკრულებანი!", „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!".

აპრილის კრიზისის დღეებში ბოლშევიკური პარტია მარჯვედ იყენებდა მასების სტიქიურ გამოსვლებს, წარმართავდა მათ. დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციური პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბოლშევიკები განუმარტავდნენ მუშებს და მშრომელ მოსახლეობას, რომ დროებითი მთავრობა მჭიდროდაა დაკავშირებული ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებთან. ასეთი მთავრობა, მიუხედავად მისი ჭრელი შემადგენლობისა, მაინც იმპერიალიზმის სამსახურში იქნება.

მუშათა კლასისა და ჯარისკაცთა რევოლუციური გამოსვლებით შეშინებული ბურჟუაზია იწყებს პროვოკაციული ხმების გავრცელებას, თითქოს ბოლშევიკები მოუწოდებდნენ სამოქალაქო ომისა და გერმანიასთან სეპარატიული ზავის დადებისაკენ. პეტროგრადის საბჭოს მენშევიკურ-ესერულმა ხელმძღვანელობამ აკრძალა მუშებისა და ჯარისკაცების მშვიდობიანი დემონსტრაციები და მოუწოდა მთელი რუსეთის

მშრომელებს გამოეცხადებიათ სრული ნდობა დროებითი მთავრობისათვის.

რსდმპ(ბ) ცკ ის რეზოლუციაში, რომელიც მიღებულია 1917 წლის 21 აპრილს, პარტიამ ამხილა ბურჟუაზიული ცილისწამება სეპარატიული ზავის შესახებ, მუშებსა და გლეხებს განუმარტა, რომ ბოლშევიკები წინააღმდეგი არიან გერმანელ და რუს იმპერიალისტებს შორის სეპარატიული ზავისა, რომ ბოლშევიკები ბრძოლას აწარმოებენ მოლაპარაკებისათვის, ყველა ქვეყნის რევოლუციური ჯარისკაცების დამბილებისათვის. პარტიის რეზოლუცია მოუწოდებდა მუშებსა და ჯარისკაცებს ებრძოლათ მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლისათვის და საბჭოებიდან შემთანხმებლების გაძევებისათვის.

აპრილის დემონსტრაციის მსვლელობის დროს ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ გენერალ კორნილოვს დააავალა დაეშალა დემონსტრანტები, თუ არ დაემორჩილებოდნენ, დაეხვრიტა ისინი. მაგრამ სამხედრო ნაწილებმა, მიიღეს რა ასეთი ბრძანებები, უარი განაცხადეს მათ შესრულებაზე.

პარტიის პეტროგრადის კომიტეტის წევრთა მცირე ჯგუფმა ბოგდატიევის მეთაურობით დემონსტრაციის დროს წამოაყენა დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ დამხობის ლოზუნგი.

ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ასეთი ლოზუნგი არადროულად და არასწორად მიიჩნია, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა პარტიის ხაზს რევოლუციის მშვიდობიანად განვითარების საქმეში. დაჰგმო რა „მემარცხენე“ ავანტიურისტთა რეაქციული ზრახვები, პარტიამ მიიღო სათანადო ზომები რევოლუციური მასების ნაადრევად გამოსვლის წინააღმდეგ. პარტია ასეთ ხაზს ატარებდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პარტიამ მოიწონა და მიიღო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში მშვიდობიანი გზით გადასვლის ლენინური გეგმა, რომელიც აპრილის თეზისებში იყო მოცემული. მეორე, მასებს ჯერ კიდევ არა ჰქონდათ შესაძლებლობა საკუთარი გამოცდილებით დარწმუნებულიყვნენ ბოლშევიკების პოლიტიკის სისწო-

რეში. დროებით მთავრობას და მის ერთგულ თანაეშმწეთ-წვრილბურჟუაზიულ პარტიებს ჯერ კიდევ საკმაოდ არ გასტეხოდათ სახელი მშრომელთა მილიონიანი მასების თვალში.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ დროებითი მთავრობის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად საკმარისი არ არის პროლეტარიატის მოწინავე რაზმის მაღალი შეგნება, საჭიროა, რომ თვით მასები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ასეთი ხაზის სისწორეში. ეს კი მეტად რთული და მძიმე ამოცანა იყო, რომლის გადასაწყვეტად საჭირო გახდა წვრილბურჟუაზიული პარტიების მთელი კოალიციური ვაკხანალიის მოღალატეობისა და გამცემლობის ატანა 1917 წლის ივნის—ივლის—აგვისტოში.

ანალიზს უკეთებდა რა აპრილის პოლიტიკური კრიზისის კლასობრივ არსს, პარტიის ცკ-მა აღნიშნა, რომ კრიზისის კლასობრივი არსი იმაში მდგომარეობს, რომ წვრილი ბურჟუაზია მერყეობს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ბურჟუაზიიდან პროლეტარიატისაკენ და აქედან უკან[1].

აპრილის კრიზისმა პირველი დარტყმა მიაყენა მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლურ პოლიტიკას. ამ მოვლენამ ნათლად დაანახვა მუშებსა და ჯარისკაცებს, რომ ესერები და მენშევიკები მშრომელთა ინტერესების მოღალატენი არიან. ამასთან ერთად გამომჟღავნდა, რომ რუსეთის ბურჟუაზიას ძალაუფლების შენარჩუნება არ შეუძლია წვრილი ბურჟუაზიის დახმარების გარეშე. ბურჟუაზიის ხელისუფლების გადარჩენისათვის მენშევიკები და ესერები შევიდნენ ბურჟუაზიულ დროებით მთავრობაში (კოალიციურ მთავრობაში), ე. ი. ისინი ბურჟუაზიის ოფიციალურ სამსახურში ჩადგნენ. ეს იყო ესერებისა და მენშევიკების აშკარა გადასვლა ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ ბანაკში, თუმცა ამ გადასვლას დიდ ხოტბას ასხამდნენ, თითქოს „ახალი“ ხაზი მოიპოვეს, „ახალი“ გეზი აიღეს ბურჟუაზიასთან ერთად, ხოლო ოფიციალურად საქმით ბურჟუაზიის ბანაკში გადავიდნენ.

ლენინი აღნიშნავდა, რომ აპრილის კრიზისი, რომელიც გამოწვეულია დროებითი მთავრობის იმპერიალისტური

[1] გაზ. „პრავდა“, 1917 წლის 23 აპრილი.

პოლიტიკით, საბოლოო არაა, მას მოყვება კიდევ მეორე სხვა კრიზისი, რამდენადაც კრიზისების გამომწვევი მიზეზები ძალაშია. ამიტომ პარტიის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მთელი ძალები დაეძაბოთ ხალხის განათლებისა და ორგანიზებისათვის, პარტიის დისციპლინის განმტკიცებისათვის. მალე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ დროებითი მთავრობის შემადგენლობის ნაწილობრივ შეცვლას (რომელიც მუშათა კლასისა და ჯარისკაცთა გაღლენით მოხდა), არავითარი არსებითი ხასიათის ცვლილება არ მოჰყოლია. არ შეცვლილა დროებითი მთავრობის კლასობრივი ხასიათი. ლენინი წერდა, რომ საქმე პიროვნებაში კი არაა, არამედ კლასებში. მენშევიკებისა (წერეთელი, სკობელევი) და ესერების (კერენსკი, ჩერნოვი და სხვ.) დროებითი მთავრობის შემადგენლობაში შეყვანა იყო რუსეთის ბურჟუაზიის მანევრი ხალხთა ფართო მასების მოსატყუებლად.

მენშევიკები, რომლებიც 1905 წლის რევოლუციის დროს უარყოფდნენ სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელთა მონაწილეობას დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, ახლა საჭიროდ სცნობდნენ სოციალ-დემოკრატებს მონაწილეობა მიეღოთ კონტრრევოლუციურ დროებითს მთავრობაში.

ვ. ი. ლენინის მითითებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა რევოლუციურ მუშათა კლასსა და გლეხობას გულმოდგინედ შეესწავლათ აპრილის კრიზისის მიზეზი. სათანადო შეფასება მიეცათ მომხდარი მოვლენებისა-ვის და მოეხდინათ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში გასაგზავნი დელეგატების გადარჩევები, საბჭოებში გაეგზავნათ ისეთი ადამიანები, რომლებიც გამოსატავდნენ რევოლუციური ხალხის უმრავლესობის ნება-სურვილს.

აპრილის კრიზისმა ერთხელ კიდევ ბრწყინვალედ დაადასტურა რუსეთის რევოლუციის განვითარების მეცნიერული ანალიზი, რომელიც მოგვცა ვ. ი. ლენინმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაწერილ შრომებში და ცალკეულ გამოსვლებში.

რუსეთის რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკების პარტიის VII კონფერენციას, რომლის ორგანიზებულად ჩატარები-

სათვის პარტია ლენინის ხელმძღვანელობით გაცხოველებულ მზადებას ეწეოდა.

23 აპრილს ვ. ი. ლენინმა კონფერენციაზე ჩამოსულ დელეგატთა თათბირი ჩაატარა, სადაც განიხილეს კონფერენციის დღის წესრიგის პროექტი და ამავე დროს დიდი ყურადღებით მოისმინეს ლენინის სიტყვა დროებითი მთავრობის, აპრილის კრიზისისა და ამ მოვლენებთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის შესახებ. ვ. ი. ლენინი პარტიასა და რევოლუციურ მასებს აძლევდა სწორ გეზს და სახელმძღვანელო ლოზუნგებს: „უფრო მტკიცედ, უფრო ფართოდ და ყველგან დაირაზმეთ პროლეტარულ რიგებად და კოლონებად! შემჭიდროვდით თქვენი საბჭოების ირგვლივ, მათ შიგნით ამხანაგური დარწმუნებით და ცალკეულ წევრთა ხელახალი არჩევნებით ეცადეთ შემოიკრიბოთ გარშემო უმრავლესობა!“[1]

ლენინი გარკვეულად მიუთითებდა, რომ ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიქნებით პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლის მომხრე, როცა საბჭოები ჩვენს პოლიტიკას მიემხრობიან და მოისურვებენ სახელმწიფო ძალაუფლების თავიანთ ხელში აღებას. ამ პირობების შესრულების გარეშე ლოზუნგი „ძირს დროებითი მთავრობა!“ ცარიელი ფრაზაა, ან ავანტურისტული ხასიათის ცდაა. დელეგატების თათბირზე, რომელიც ლენინის ხელმძღვანელობით ჩატარდა, საფუძვლიანად განიხილეს პეტროგრადში არსებული ვითარება და მოემზადნენ პარტიული კონფერენციისათვის.

აპრილის კონფერენციის გახსნის მომენტში პარტიის რიგებში ითვლებოდა 80 ათასი წევრი, რომელთაც კონფერენციაზე გამოგზავნეს 133 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 18 სათათბირო ხმის უფლებით.

აპრილის დემონსტრაციის შემდეგ, თავისი არსებობის ისტორიაში პიოველად შეიკრიბა ლეგალურად ბოლშევიკების VII (აპრილის) კონფერენცია, რომელსაც თავისი მნიშვნელობით პარტიის ისტორიაში ის ეთივე ადგილი უჭირავს, როგორც პარტიის ყრილობას. კონფერენციამ განიხილა და შეიმუშავა პარტიის ხაზი ომისა და რევოლუციის ყველა ძირითად სა-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 246.

კითხზე: მიმდინარე მომენტის შესახებ, ომის და დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, საბჭოების შესახებ, აგრარული და ნაციონალური საკითხების შესახებ და ა. შ.

24 აპრილს დილის 10 საათზე მუშაობა დაიწყო ბოლშევიკების VII კონფერენციამ. მოკლე შესავალი სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი, რის შემდეგაც მან კონფერენცია გახსნილად გამოაცხადა. ლენინი ამბობდა, რომ მარქსისა და ენგელსის წინასწარხედვა გამართლდა, გამართლდა აგრეთვე იმ სოციალისტების შეხედულება, რომელნიც აღიარებდნენ, რომ მსოფლიო ომი მიიყვანს ხალხებს რევოლუციამდე, რევოლუციის დაწყების დიდი პატივი წილად ხვდა რუსეთის პროლეტარიატს, მაგრამ მან არ უნდა დაივიწყოს, რომ რუსეთის რევოლუცია მხოლოდ ნაწილია საერთაშორისო რევოლუციისა და მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ჩვენ განვსაზღვროთ ჩვენი ამოცანები[1].

კონფერენციის დღის წესრიგის ძირითად საკითხებზე მომხსენებელი იყო ვ. ი. ლენინი.

როგორც გამოსვლებში, აგრეთვე რეზოლუციის პროექტებში ვ. ი. ლენინმა აღმოწურავი პასუხი გასცა რევოლუციის ყველა ძირითად საკითხზე და განავითარა ის გენიალური აზრები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო აპრილის თეზისებში. ლენინი მიუთითებდა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში დამთავრებულია, რამდენადაც ხელისუფლება ბურჟუაზიის ხელში გადავიდა. მაგრამ ბურჟუაზიულ მთავრობას, თავის კლასობრივი თავისებურების გამო, არ შეუძლია ხალხს მისცეს ზავი, პური და თავისუფლება. ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთში ყოველგვარი პირობა არსებობს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში მშვიდობიანი გადასვლისათვის, რომ სოციალისტური რევოლუციის კურსი გულისხმობს ქვეყნის შიგნით კლასობრივ ძალთა ახალ განლაგებას.

კონფერენციაზე მკაცრი დევნა გამოიწვია რუსეთის რევოლუციის ლენინურმა შეფასებამ, რომელიც მოცემული იყო ვ. ი. ლენინის მოხსენებებში და წარმოდგენილი რეზოლუციების პროექტებში. მიუხედავად იმისა, რომ კამენევი, რიკოვი

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 24, გვ. 260.

და მათი მიმდევრები გააფთრებით იბრძოდნენ ლენინელების წინააღმდეგ, კონფერენციამ მიიღო ლენინის პროექტები რეზოლუციებისა ომის შესახებ, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, მიმდინარე მომენტისა და პარტიული პროგრამის გადასინჯვის შესახებ, აგრეთვე აგრარულ საკითხზე, წერილბურჟუაზიული ობორონცული ბლოკის წინააღმდეგ ინტერნაციონალისტების გაერთიანებისა და საბჭოების შესახებ, ნაციონალურ საკითხზე და სხვ.

ბოლშევიკებმა, ლენინის მეთაურობით, ძირფესვიანად ამხილეს კამენევის, რიკოვის და მათი თანამოაზრეების კაპიტულანტური, მენშევიკური პოზიცია, რომლებიც გამოდიოდნენ სოციალისტური რევოლუციის ლენინური გეზის წინააღმდეგ და ნაციონალურ საკითხში შოვინისტურ პოზიციაზე იდგნენ. რიკოვი უარყოფდა მასებში პროპაგანდისტულ მუშაობას, მიუთითებდა, რომ რუსეთი ჯერ კიდევ წვრილბურჟუაზიული ქვეყანა არის და ამიტომ აქ სოციალისტურ რევოლუციაზე ფიქრიც კი ზედმეტიაო, და თუ პარტია დაიწყებს მასებში პროპაგანდისტულ მუშაობას, მაშინ იგი პარტია კი არა, პროპაგანდისტულ წრედ იქცევაო. იგი უარყოფდა რუსეთის პროლეტარიატის ძალასა და ინიციატივას სოციალისტური რევოლუციისაკენ მიმავალ გზაზე. პიატაკოვი გამოდიოდა პარტიის წინააღმდეგ ეროვნულ საკითხში. მას ჯერ კიდევ ომის წლებში ბუხარინთან ერთად ნაციონალ-შოვინისტური პოზიცია ეკავა. ისინი ერთა თვითგამორკვევის წინააღმდეგნი იყვნენ.

ბოლშევიკებს კარგად ესმოდათ თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციის გარდამავალ ეტაპზე ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრას, ამიტომ იყო, რომ აპრილის კონფერენციამ სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის დიდი ყურადღება დაუთმო ეროვნული საკითხის განხილვას. ამ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ი. ბ. სტალინმა, ხოლო ვ. ი. ლენინმა დაწერა რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნა ერთსმად.

ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ კამენევის, რიკოვის, ზინოვიევის და მათი მიმდევრების გამოსვლები ერთ მიზანს ემსახურებოდა: აეცდინათ რუსეთის პროლეტარიატი სოციალისტური რევოლუციის გზიდან. ისინი მენშევიკების მსგავსად იმეორებდნენ, რომ რუსეთი არ მომწიფებულა სოციალისტური

რევოლუციისათვის, რომ რუსეთში წესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიული რესპუბლიკა. არსებითად ისინი იდგნენ კაპიტალიზმის შენარჩუნების, ბურჟუაზიის ხელისუფლების შენარჩუნების პოზიციაზე.

ვ. ი. ლენინმა ვრცლად და ამომწურავად დაახასიათა თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილი ვითარება, პარტიის ბელადი კონფერენციის დელეგატებს მიუთითებდა, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო ახალი გარდამავალი პერიოდი, სახელმწიფო რევოლუციის მეორე პერიოდი, როდესაც უნდა დაიწყოს ბრძოლა იმპერიალიზმსა და შეიარაღებულ ხალხს შორის. მაგრამ სამოქალაქო ომის დაწყების მოთავე და ინიციატორი მშრომელი ხალხი არასოდეს არ იქნება, ვიდრე დროებით მთავრობას არ გამოუყენებია ძალადობა მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოების მიმართ, რომლებიც თავისუფლად ყალიბდებოდნენ, მანამდე ბოლშევიკების / პარტია იქადაგებს საერთოდ ძალადობაზე ხელისაღებას და რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების სასარგებლოდ გამოვა, „რევოლუციურ ობორონცობას“ შეებრძოლება მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგური დარწმუნების საშუალებით.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ამჟამად მსოფლიოს არც ერთ მეომარ ქვეყანაში არ არსებობს ისეთი თავისუფლება, როგორიც რუსეთშია და არც ისეთი რევოლუციურ-მასობრივი ორგანიზაციები, როგორიცაა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, „.... ამიტომ მთელ მსოფლიოში არსად არ შეიძლება ისე ადვილად და ისე მშვიდობიანად მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა ხალხის ნამდვილი უმრავლესობის, ე. ი. მუშებისა და უღარიბესი გლეხების ხელში, როგორც რუსეთში“[1]. მაგრამ საქმის ასეთი მდგომარეობა კიდევ უფრო მეტ მუშაობას მოითხოვდა ბოლშევიკებისაგან. მათ ზუსტად უნდა განემარტათ მომხდარი მოვლენების კლასობრივი არსი და მოეცათ ფაქტიური მდგომარეობის ღრმა მარქსისტული ანალიზი. ეს მითუმეტეს საჭირო იყო, რადგან მენშევიკები და ესერები ყოველნაირად ცდილობდნენ მიეძინებინათ მასები, გაეღვივებინათ მათ გულში „განუსაზღვრელი“ ნდობა დროებითი

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 183.

მთავრობისადმი. ყოველივე ეს ბოლშევიკების პარტიას უკარ-ნახებდა ბოლომდე ემხილებინა როგორც თავის რიგებში მყოფი ოპორტუნისტული მიმართულების ელემენტები, აგრეთვე წვრილბურჟუაზიული პარტიების შემთანხმებლური პოლიტიკა.

საჭირო იყო მრავალმილიონიანი მასების, პირველ რიგში პროლეტარული მასების, შეგნებული პოლიტიკური შემოქმედება, ამავე დროს ორგანიზაციის ისეთი ფორმები, რომელიც უზრუნველყოფდა ფართო მასების შეგნების ამაღლებას და ქვეყანაში მომხდარი ამბების სწორად გაგებას. ამ ამოცანების განხორციელების გზაზე ბოლშევიკურ პარტიას მაღლა ეჭირა ლენინის მიერ აპრილის თეზისებში წამოყენებული ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!". ეს ლოზუნგი მაშინ ნიშნავდა მშვიდობიანი გზით ორხელისუფლებიანობის მოსპობას, ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის გზით და აზრთა თავისუფალ ბრძოლას საბჭოების შიგნით, ხელისუფლების ორგანოებიდან კაპიტალისტებისა და მემამულეების განდევნას.

კამენევი და რიკოვი ცდილობდნენ კონფერენციისათვის თავს მოეხვიათ თავიანთი ოპორტუნისტული შეხედულება, თითქოს რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჯერ კიდევ არაა დამთავრებული და როგორ შეიძლება ლაპარაკი სოციალისტური რევოლუციის მზადებაზეო. ისინი კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ დროებით მთავრობაზე „კონტროლის" დაწესების მოთხოვნით. ლენინი ამხელდა მათ განზრახვებს და უპასუხებდა, რომ კონტროლი ხელისუფლების გარეშე ცარიელი წვრილბურჟუაზიული ფრაზაა, რომ გააკონტროლო, ძალაუფლება უნდა გქონდეს.

ვ. ი. ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა გამანადგურებელი პასუხი გასცეს სოციალიზმის ერთ ქვეყანაში (რუსეთში) გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ ტროცკისტულ გამოსვლებს და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ორხელისუფლებიანობის საკითხს. ბოლშევიკები აღნიშნავდნენ საბჭოების ზოგიერთი არასწორი მოქმედების შესახებ, მიუთითებდნენ, რომ ისინი დაპირებებით დაიმედებულნი არიან და დაპირებათა მხარდაჭერის პოლიტიკას აწარმოებენ. ბოლშე-

ვიკები გაბაგრძობდნენ ამ პოლიტიკის უსუსურობის ახსნა-განმარტებას და რწმენას გამოთქვამდნენ, რომ სინამდვილის ყოველი ნაბიჯი ყველას დაანახვებდა ბოლშევიკების სიმართლეს. „ჩვენ ამჟამად უმცირესობა ვართ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი,—მასები ჯერჯერობით არ გვენდობიან. ჩვენ მოვიცდით: ისინი გადმოვლენ ჩვენს მხარეზე, როცა მთავრობა მათ დაანახვებს თავის თავს. მთავრობის მერყეობა ჩამოიშორებს მათ და მაშინ ისინი მოგვაწყდებიან; და მაშინ გავითვალისწინებთ რა ძალთა თანაჟარდობას, ვიტყვით: ჩვენი დრო დადგა“ [1].

კონფერენციამ საბოლოოდ განსაზღვრა დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულება და თავის რეზოლუციაში ჩაწერა, რომ დროებითი მთავრობა თავისი ხასიათით წარმოადგენს მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბატონობის ორგანოს. ის პროგრამა, რომელიც დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა, არ არის შესრულებული, ხოლო ნაწილობრივი ღონისძიებანი, რომლებიც ჩაატარა, გამოწვეული იყო რევოლუციური პროლეტარიატისა და ნაწილობრივ წვრილი ბურჟუაზიის ზეგავლენით. ხოლო ამ ღონისძიებათა გვერდით, პროლეტარიატისაგან ფარულად, დროებითი მთავრობის დროშის უკან ირაზმებოდა ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციური ძალები, რომლებიც ამავე დროს ემზადებოდნენ რევოლუციის წინააღმდეგ საიერიშოდ.

აპრილის კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რითაც საჭიროდ სცნო ხანგრძლივი მუშაობა ქალაქისა და სოფლის პროლეტარების კლასობრივი პროლეტარული შეგნების გასავითარებლად და მათ დასარაზმავად, რაც უზრუნველყოფდა მთელი სახელმწიფო ძალაუფლების წარმატებით გადასვლას მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების, ან სხვა ისეთი ორგანოების ხელში, რომლებიც უშუალოდ გამოხატავდნენ ხალხის უმრავლესობის ნებას. ამისათვის საჭირო იყო ყოველმხრივი მუშაობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში. მათი რიცხვის გადიდებისა და მათი

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 24, გვ. 266.

ძალების განმტკიცების მიზნით, რევოლუციის მონაპოვარის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის. კონფერენციამ აღნიშნა, რომ „ადგილებზე რევოლუციის მონაპოვართა დაცყოვნებლივ განმტკიცებისა და გაფართოებისათვის აუცილებელია, ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცე უმრავლესობაზე დაყრდნობით, ყოველმხრივ განვავითაროთ, დავრაზმოთ და გავაძლიეროთ თვითნებური მოქმედებანი, მიმართული თავისუფლებათა განხორციელებისაკენ, კონტრრევოლუციურ ხელისუფალთა გადაყენებისაკენ, ეკონომიური ხასიათის ღონისძიებათა გატარებისაკენ“ [1]...

პარტია კარგად ითვალისწინებდა ბურჟუაზიის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეს, ვინაიდან ისტორიამ არა ერთი მაგალითი იცის ბურჟუაზიის მიერ უიარაღო მუშათა კლასის მასობრივად დახვრეტისა. ამიტომ კონფერენცია პარტიას ავალდებულებდა მთელი ენერგიით ეთქვა ხალხისათვის, რომ აუცილებელია პროლეტარიატის დარაზმვა და შეიარაღება, მისი მჭიდრო კავშირი რევოლუციურ არმიასთან, ხელისაღება დროებითი მთავრობისადმი ნდობის პოლიტიკაზე, დაძაბული სააგიტაციო-პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობის გაშლა, მისი გაფართოება რევოლუციის გარდამავალ ეტაპზე.

ვ. ი. ლენინი ომის იმპერიალისტური ხასიათის შესახებ აღნიშნავდა, რომ რუსეთში სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლამ ნიკოლოზ II შემდეგ გუჩკოვის, ლვოვისა და სხვა მემამულეთა და კაპიტალისტთა მთავრობის ხელში ვერ შეცვალა და მას არც შეეძლო შეეცვალა რუსეთის მხრივ ომის იმპერიალისტური, კლასობრივი ხასიათი და მნიშვნელობა. „ამიტომ პროლეტარული პარტია ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუჭერს მხარს ვერც ახლანდელ ომს, ვერც ახლანდელ მთავრობას, ვერც მის სესხებს, რა მაღალფარდოვანი სახელიც უნდა ერქვას ამ სესხებს, თუ არ უნდა სრულიად ჩამოშორდეს ინტერ-

---

[1] სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი I, გამოცემა-7, გვ. 429.

ნაციონალიზმს, ე. ი. ყველა ქვეყნის მუშათა ძმური სოლიდარობას კაპიტალის უღლის წინააღმდეგ ბრძოლაში"[1].

აპრილის კონფერენციაზე ლენინის ბიერ შეტანილ რეზოლუციაში მიმდინარე მომენტის შესახებ ცენტრალური ადგილი ეკავა მითითებებს სოციალიზმში გადასვლის კონკრეტულ ღონისძიებებზე.

კონფერენციამ უდიდესი ყურადღება დაუთმო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების საკითხს, რომელიც მრავალმილიონიანი მშრომელების ყველაზე უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო.

კონფერენციამ ლენინის აპრილის თეზისების საფუძველზე დაწვრილებით განიხილა საბჭოების საკითხი და ერთხმად აღიარა, რომ ზოგ ადგილებში რევოლუცია წინ მიდის „საბჭოებში პროლეტარიატისა და გლეხობის თვითნებური დარაზმვით, ძველ ხელისუფალთა თვითნებური გადაყენებით, პროლეტარული და გლეხური მილიციის შექმნით, მთელი მიწის გლეხობის ხელში გადასვლით, ფაბრიკების მიმართ მუშათა კონტროლის შემოღებით, 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებით... და სხვ."[2].

კონფერენციამ აღნიშნა რა რევოლუციის მზარდი აღმავლობა მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლისათვის და წარმოების მიმართ თვით მუშებისა და გლეხების კონტროლის შემოღებისათვის, მიიღო დადგენილება—ყოველმხრივ შეეწყო ხელი ბოლშევიკურ პარტიას რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის, სისტემატური ბრძოლა ეწარმოებია საბჭოებში პროლეტარული ხაზის გამარჯვებისათვის, პარტიას მთელი ღონისძიება უნდა წარემართა მუშათა და ჯარისკაცთა მასებისადმი, წვრილბურჟუაზიული ხაზიდან პროლეტარული ხაზის, ობორონცული ხაზიდან ინტერნაციონალური ხაზის, ოპორტუნისტული ხაზიდან რევოლუციური ხაზის გამოყოფისათვის... რევოლუციის შემდგომი ეტაპისათვის მათი ძალების მომზადებისადმი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 268.

[2] სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი I, გამოც მე-7, გვ. 447.

ბოლშევიკებს პარტიისათვის აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ გზის მანათობელ სახელმძღვანელოს საბჭოების ხელში ძალაუფლების მშვიდობიანი გზით გადასვლისათვის ბრძოლაში. როდესაც უკვე მიღებულ იქნა სწორი პოლიტიკური ხაზი, საქმის წარმატება დამოკიდებული იყო პარტიის ორგანიზატორულ მუშაობაზე.

ბოლშევიკურმა პარტიამ, აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა, დიდი მუშაობა გააჩაღა თავისი რიგების იდეურ-ორგანიზაციულად დარაზმვისათვის, მშრომელი მასების ორგანიზაციისა და მათი რიგების განმტკიცებისა და აღზრდისათვის, რაც უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის.

პარტიის უპირველესი ამოცანა იყო აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა დაყენა თითოეულ პარტიულ ორგანიზაციამდე. პარტიის ცკ-მა გაშალა დიდი პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობა კონფერენციის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. პარტია სარგებლობდა როგორც ზეპირი, ისე ბეჭდვითი სიტყვით. ბოლშევიკური პრესა ყოველდღიურად აშუქებდა კონფერენციის მუშაობის მიმდინარეობას და პარტიულ ორგანიზაციებს არაერთხელ მიუთითებდა მიღებულ გადაწყვეტილებათა აუცილებლად შესრულებაზე. ფართო მასები ბოლშევიკური პრესისა და ზეპირი პროპაგანდისტული მუშაობით კარგად გაეცნენ აპრილის კონფერენციის მიმდინარეობას, მის მასალებსა და გადაწყვეტილებათა არსს.

პარტიის ცკ-მა მოაწყო აპრილის კონფერენციის მასალებისა და გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდა გაზეთების „პრავდისა“ და „სოციალ-დემოკრატის“ ფურცლებზე. 19 მაისს გამოვიდა „სოლდატსკაია პრავდას“ სპეციალური ნომერი (№ 16) მიძღვნილი აპრილის კონფერენციისადმი. ამ ნომერში მოთავსებული იყო საინფორმაციო ცნობა სრულიად რუსეთის აპრილის კონფერენციის შესახებ, მიმდინარე მომენტის შესახებ და ვ. ი. ლენინის მოხსენების მოკლე შინაარსი.

ლენინის აპრილის თეზისებმა და აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებმა სინათლე მოჰფინეს რუსეთის რევოლუციის შემდგომი განვითარების გზებსა და პერსპექტივებს, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ლენინური გეგმით წინ წავიდა რუსეთის რევოლუციის საქმე.

აპრილის თეზისებმა და აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები დიდი აღტაცებით შეხვდნენ აპრილის პარტიული კონფერენციის მოწვევას. რომელსაც მხურვალე მისალმება გაუგზავნეს და მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ კონფერენციის გადაწყვეტილებანი გახდებოდა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის საიმედო სახელმძღვანელო[1].

ბოლშევიკებმა პირველი შესაძლებლობის მიღებისთანავე დაიწყეს ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებისა და აპრილის კონფერენციის მასალების გამოქვეყნება, მათი პროპაგანდა მშრომელთა ფართო მასებში. 1917 წლის 22 აპრილს „ბაკინსკი რაბოჩიმ“ და 25 აპრილს „კავკაზსკი რაბოჩიმ“ დაბეჭდეს ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისები.

ხელმძღვანელობდნენ რა აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებით, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს მენშევიკებთან. ბოლშევიკების თბილისის კომიტეტმა ადგილობრივ ორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნული იყო აუცილებლობა პროლეტარული პარტიის ორგანიზაციული შემჭიდროებისა სოციალიზმის დროშის ირგვლივ. „სოციალიზმისა, რომელიც აშუქებს წმინდა პროლეტარული პოლიტიკის ეკლიან და მძიმე გზას თავისუფალს გარედან შემოტანილი წვრილბურჟუაზიული მერყეობისაგან“[2]. მოწოდებაში მხილებულია მენშევიკების გამცემლური და მოღალატური ხასიათი, რის გამო ბოლშევიკების პარტია ვერავითარ დათმობაზე ვერ წავიდოდა, ამიტომ გადაჭრით წყვეტს მასთან ყოველგვარ კავშირს.

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, 1917 წლის 30 აპრილი

[2] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, 1917 წლის 6 ივნისი

თბილისის ბოლშევიკების ორგანიზაციის კრებამ დაადგინა: გაწყვეტილ იქნას კავშირი ობორონსკობის თვალსაზრისზე მდგომ მენშევიკურ ორგანიზაციასთან, გამოწვეულ იქნას იქიდან ყველა ჩვენი თანამოაზრე ბოლშევიკი და შეიქმნას რევოლუციური სოციალ დემოკრატიის თვალსაზრისზე მდგომი დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გადამწყვეტი ბრძოლა გაიჩაღეს თავიანთი ორგანიზაციების განმტკიცებისა და რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებისათვის, მათ ფართო საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს მასებში. მართალია, ბურჟუაზიას ჯერ აშკარა ბრძოლა არ დაეწყო, მაგრამ იგი ყოველგვარ მუხანათობას მიმართავდა, რათა სასელი გაეტეხა ბოლშევიკებისათვის. მენშევიკები ყოველგვარ ზომებს მიმართავდნენ ბოლშევიკთა დამოუკიდებელი ორგანიზაციების შექმნის წინააღმდეგ. ყოველნაირ ცილისწამებას მიმართავდნენ.

ბოლშევიკები მტკიცედ იბრძოდნენ, რათა უფრო გაეფართოებინათ და გაეძლიერებინათ თავიანთი გავლენა მშრომელთა მასებში; შემოეკრიბათ მუშათა კლასი და გლეხობა, რევოლუციური სულისკვეთებით აღეზარდათ ისინი საბჭოების ხელისუფლების დასამყარებლად, გამოეჭედათ მრავალფეროვანი ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური კავშირი და საშუალება არ მიეცათ არავისათვის რევოლუციის დასუსტების მიზნით გამოეყენებიათ ის ეროვნული წინააღმდეგობანი, რომელიც „შინაურმა" ბურჟუაზიამ და უცხოელმა იმპერიალისტებმა გააღვივეს. ბოლშევიკური პრესა ჩაბმული იყო ამ მუშაობაში და გაცხოველებულ კამპანიას აწარმოებდა ბოლშევიკების ძირითადი ლოზუნგების დასაცავად.

გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი" მოუწოდებდა თავის მკითხველებს გაცნობოდნენ პროლეტარიატის გამოჩენილი ბელადის ვ. ი. ლენინის მოხსენების თეზისებს.

„ბაკინსკი რაბოჩი" იყო ლენინური იდეებისა და ლენინური ხაზის გამტარებელი. გაზეთის პირველ ნომერში მოთავ

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი", 1917 წლის 6 ივნისი.

სებულია წერილი, რომელიც ამბელს ლენინის წინააღმდეგ დაწყებულ ცილისმწამებლურ ჭორებს და აღნიშნავს, რომ ლენინი ყველაზე უკეთესად იცავს მუშათა კლასისა და საერთოდ ჩაგრული ხალხის ინტერესებს და ამიტომაა, რომ მას ასე გააფთრებით ლანძღავენ ბურჟუაზიულ წრეებში [1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკური გაზეთები დაუნდობლად აკრიტიკებდნენ დროებითი მთავრობისა და მისი ხელშემწყობი კონტრრევოლუციური პარტიების საზიზღარ ცილისწამებას იმის შესახებ, რომ თითქოს ლენინმა უღალატა რევოლუციას. საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და მთელი რუსეთის მშრომელი მასები დიდი ლენინის სახით ხედავდნენ თავიანთ მხსნელსა და მოამაგეს. ამიტომ უდიდესი პატივისცემითა და ნდობით ეპყრობოდნენ მის სახელსა და ავტორიტეტს, სასტიკ პროტესტს უცხადებდნენ ყველა იმას, ვინც კი გაბედავდა ლენინის წინააღმდეგ რაიმე ცილისწამებას და შეეცდებოდა სახელი გაეტეხა რევოლუციის ბელადისათვის. ამას მოწმობს გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩის" 1917 წლის № 69, № 96 და სხვა ნომრებში გამოქვეყნებული წერილები და რეზოლუციები, რომლებშიც საქართველოს ბოლშევიკები აღშფოთებული იყვნენ კონტრრევოლუციონერთა მხრივ ლენინის დევნისა და მისი შევიწროების გამო.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის.

ბაქოს ბოლშევიკებმა აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შემდეგ ძირფესვიანად გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა. მუშათა უბნებში, საწარმოებში ყველგან ასეულობით ბოლშევიკი აგიტატორი ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწეოდა. ამ საქმეში უდიდეს როლს ასრულებდა „ბაკინსკი რაბოჩი", რომელმაც ფართოდ გააშუქა „აპრილის კონფერენციის" მიმდინარეობა და მის მიერ მიღებული გადა-

---

[1] გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი", 1917 წლის 22 აპრილი.

წყვეტილებანი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციის შემდგომი განვითარების საქმეში.

გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის“ 6, 7, 8, 9, 11 და 12 ნომრებში დაიბეჭდა აპრილის კონფერენციის რეზოლუციები ომის შესახებ, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ, აგრარულ საკითხზე, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ, ეროვნული საკითხის და პარტიული პროგრამის შესახებ და სხვ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები მოითხოვდნენ ხელისუფლებისათვის ჩამოყალიბებინათ იმპერიალისტური ბურჟუაზია, კავშირი გაეწყვიტათ უცხოელ იმპერიალისტებთან, უარი ეთქვათ მათთან დადებულ ხელშეკრულებებზე, აღეგინათ ძმური კავშირი ყველა ქვეყნის მუშებთან და მ თ შორის გერმანიის და ავსტრიის მუშათა კლასთან და მასთან ერთად ინტერნაციონალურად ებრძოლათ ზავისათვის, რაც ამავე დროს მოასწავებდა ბრძოლას იმპერიალისტური მთავრობების დამხობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

დროებითი მთავრობის მიერ ფრონტზე შეტევის დაწყებასთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესა ამხელდა იმპერიალისტური ბურჟუაზიის ავანტურისტულ მოქმედებას, იმპერიალისტური ომის მტაცებლურ ხასიათს, ამხელდა ბურჟუაზიის ბოროტების სიყალბეს, მის ანტიხალხურ ხასიათს, ამავე დროს აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიის შვილები ჯარში და ფრონტზე არ არიან, ყველანი საბალში ბინილად მოკალათებულან, ხოლო მუშათა კლასსა და გლეხობას კი სისხლისმღვრელ ომში ერეკებიან თავიანთი ბოგეებისათვის, უცხოელი იმპერიალისტების ინტერესებისათვის.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები ეწეოდნენ რა აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას, სისტემატურად ბეჭდავდნენ ლენინის სტატიებს და ძარეულ ორგანიზაციებს მოუწოდებდნენ, რომ ყურადღებით მოპყრობოდნენ და ღრმად შეესწავლათ მუშათა კლასის ცხოვრება, მათი მისწრაფებანი. „ბაკინსკი რაბოჩი“ 1917 წლის 13 სექტემბერს განსაკუთრებულ სტატიაში „ლენინის წერილე-

ბისათვის“ წერდა: ამხანაგო მუშებო! ყურადღებით წაიკითხეთ ლენინის სტატიები. ეს ყველაზე უკეთესია, რასაც კი იძლევა დღევანდელი მარქსისტული ლიტერატურა. უბრალოდ კი არ წაიკითხოთ, არამედ შეისწავლეთ ისინი. ვ. ი. ლენინი ყველაზე თანმიმდევრული, პატიოსანი, გაბედული და შეუპოვარი მებრძოლია დამონებული კაცობრიობის იდეალებისათვის, რევოლუციური დემოკრატიის ავანგარდის—პროლეტარიატის იდეალებისათვის.

„ბაკინსკი რაბოჩი“ დიდ ადგილს უთმობდა პარტიული ორგანიზაციების მუშაობას; სშირად წერდა კარგი გამოცდილების მქონე პარტორგანიზაციებზე, მიუთითებდა პარტიული შემოქმედების საუკეთესო მაგალითებზე და სხვ. გაზეთი აღავე დროს დაუნდობლად აკრიტიკებდა ჩამორჩენილ ორგანიზაციებს, იბრძოდა სამაგალითო პარტიული დისციპლინისათვის. მიუთითებდა რა სურახანსკის რაიონის პარტორგანიზაციის სუსტ მუშაობაზე, გაზეთი წერდა, რომ უნდა შეიქმნას მტკიცე ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარება თავისი პროპაგანდით, თავისი მუშაობით მუშათა კლასს თავისი კლასობრივი მდგომარეობის თვითშეგნებაში, მის დარაზმვაში პარტიული ორგანიზაციების გარშემო. აქვე „ბაკინსკი რაბოჩის“ მოყავს პეტროგრადი და მოსკოვის მუშათა კლასის მაგალითი და მიუთითებს, რომ „დროა ფეხდაფეხ მივყვეთ პიტერისა და მოსკოვის მუშებს“[1].

ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციების იდეურ-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულეს საერთო-საქალაქო პარტიულმა კონფერენციებმა, რომლებსაც თვეში ორჯერ-სამჯერ იწვევდნენ. ამ კონფერენციებზე იხილავდნენ ისეთ საკითხებს, როგორიც იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი, რომლის საფუძველზე ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია შეიმუშავებდა თავისი რევოლუციური მოქმედების გეგმას. აქვე კითხულობდნენ მოხსენებებს და არჩევდნენ სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

---

[1] გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი“, 1917 წლის 25 აგვისტო.

ამიერკავკასიის მუშათა ფართო მასები საკუთარი გამოცდილებით თანდათანობით რწმუნდებოდნენ, რომ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და საერთოდ კაპიტალისტები არავინ არ დათმობაზე არ წავლენ, თუ მთელი ძალაუფლება არ გადავიდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში. მაოლოდ საბჭოებს ეძლება უნარი, გადასჭრას რევოლუციის ყველა ძირითადი საკითხი და მათ შორის კოლექტიურ ხელშეკრულებათა პროექტებში წამოყენებული საკითხები, რომელთა განხილვამ ფართო გაშუქება ჰპოვა მთელ ამიერკავკასიაში. ამ ამოცანის გახორციელებისათვის საჭირო იყო დიდი ორგანიზაციული მუშაობა, მასების განთავისუფლება მენშევიკებისა და ესერების გავლენისაგან.

1917 წლის ზაფხულის განმავლობაში მუშათა კლასის ფართო ფენებში აშკარად შესამჩნევი გახდა ბოლშევიზმის გაცლენა. ბოლშევიკების მიმართებ დადგნენ რამდენადმე მნიშვნელოვანი პროფესიული კავშირები. თბილისის თამბაქოს ქარხნების მუშათა, ელსადგურების მომუშავეთა, მკერავთა, შელითონეთა და სხვ. კავშირები.

დიდ მუშაობას აწარმოებდნენ ბოლშევიკები ჯარისკაცებს შორის. პირველ ხანებში ესერები და მენშევიკები დიდ ზეგავლენას ახდენდნენ ჯარისკაცებზე. მაგრამ ამავე დროს ბოლშევიკური უჯრედები, რომლებიც არალეგალურად არსებობდნენ, ესერების შეუჩნეველად ძუშაობდნენ ჯარისკაცებში. ჯარისკაცთა შორის ატარებდნენ საუბრებს, ავრცელებდნენ ბოლშევიკურ გაზეთებს და ლიტერატურას. განსაკუთრებით დიდი ძუშაობა ტარდებოდა თბილისის გარნიზონში, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. 1917 წლის 25 ივნისს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ დანიშნული მიტინგი ბოლშევიკური ლოზუნგების აშკარა უპირატესობით ჩატარდა: „ძირს ომი!“, „მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს!“, „გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!“, „გაუმარჯოს საერთამორისო სოციალისტურ რევოლუციას!“. მსგავსი ლოზუნგების ტალღები მოედო მთელ მიტინგს, სადაც ბოლშევიკუ-

რი რეზოლუცია იქნა მიღებული. „ჩვენ,—ნათქვამი იყო ბოლშევიკურ რეზოლუციაში,— კიდევ უფრო დაფინებით, კიდევ უფრო გადაჭრით მოვითხოვთ, რომ მიელი ძალაუფლება საელმწიფოში გადავიდეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში“ [1].

აი, ასე პასუხობდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკები აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

აპრილის კონფერენციამ ხემდეგ პარტია თავისი ბეჭდვითი ორგანოების საშუალებით მშრომელთა ფართო მასაებს აცნობდა თავის პროგრამას, მიუთითებდა მასებს სამეფო ხელისუფლებიდან და იმპერიალისტური ომიდან გამოსვლის გზებზე, ამ საკითხებს უკავშირებდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმეს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხილვა. საქალაქო რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესახებ მოხსენებით გამოდიოდნენ კონფერენციის დელეგატები, და იწოხებდნენ კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

აპრილის კონფერენციის შედეგების განხილვასთან დაკავშირებით 1917 წლის 11 მაისს მოსკოვში შედგა საერთო-საქალაქო პარტიული კონფერენცია. მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ მოიწვია აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებანი და პარტიის ყველა წევრს დაავალა ამ გადაწყვეტილებებით ეხელმძღვანელა თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში.

აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებმა უდიდესი როლი შეასრულეს პარტიის ორგანიზაციების იდეურად განმტკიცებისა და ცენტრალური კომიტეტის გარშემო ნათი დარაზმვის საქმეში. პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის კავშირი კიდევ უფრო გახმტკიცდა.

---

[1] გახ. „კავკაზსკი რაბოჩი“, 1917 წლის 27 ივნისი.

აპრილის კონფერენციის შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ პარტიული ორგანიზაციების მუშაობა უფრო გამოცოცხლდა, გაიზარდნენ რიცხოვრივად, განმტკიცდნენ იდეურად და ორგანიზაციულად. კონფერენციის გადაწყვეტილებები უზარმაზარ ენერგიას ბამაგრებდა ბოლშევიკური ტენდენციების აღმოფხვრის. მაგალითად, ბინსკის პარტიული ორგანიზაცია თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაერთიანებული იყო მენშევიკებთან. აპრილის კონფერენციის შემდეგ, ბინსკი გადაწყვეტილებების მიღებისთანავე, ბინსკის ბოლშევიკებმა ბრძოლა გაიჩაღეს მენშევიკების წინააღმდეგ და ივლისში უკვე დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაცია შექმნეს[1]. ბევრ მაგალითებს ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ქალაქებში. მაგალითად, აპრილის კონფერენციის შემდეგ გაჩაღებულა წარმოებენა მენშევიკებთან ისეთ პარტიულ ორგანიზაციებში, როგორიც იყო ტომსკის, სტავროპოლის, ეკატერინოდარის, ხერსონის, ასტრახანის, ომსკის და სხვ. გაფაციცებული ბრძოლა მიმდინარეობდა ქ. ომსკში, სადაც ბოლშევიკური ორგანიზაციები გაერთიანებული იყო მენშევიკებთან. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ ბოლშევიკებისაგან ომსკის ბოლიტ-კა ძალადაეთვისებინა. ომსკელმა ბოლშევიკებმა წინააღმდეგობა ბრძოლით მოიკოვეს თავიანთი საკუთარი პოზიციები და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა. მენშევიკები საბოლოოდ განდევნილ იქნენ ორგანიზაციიდან და 1917 წლის შემოდგომაზე (ოქტომბრისათვის) ორგანიზაცია გაფორმდა როგორც ბოლშევიკური[2].

ბოლშევიკებმა უკუაგდეს ყოველგვარი ბლოკი მენშევიკებთან და იბრძოდნენ თავიანთი რიგების განმტკიცებისათვის. პარტიის რიგების განწმენდას მენშევიკური ელემენტებისაგან უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის რიგების განმტკიცებისა, ბუბათა ბრძოლაში ბურჟუაზიის აგენტების გამომეღვნებისა და სოციალისტური რევოლუციის წარმომადგენლებით მოქმედებისათვის.

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 17, საე. ერთ. 296, ფურც. 4—5.

[2] იქვე.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დიდ იდეურ და ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდნენ თავიანთი რიგების განმტკიცებისათვის. კონფერენციებსა და კრებებზე იოჩევდნენ პარტიის საოლქო და საოკრუგო კომიტეტებს. საქალაქო და რაიონულ პარტიულ კომიტეტებთან შეიქმნა კომისიები: სააგიტაციო, საორგანიზაციო, ლექტორების და სხვ. მოაწყვეს რაიონული კლუბები, ბიბლიოთეკები, ქოხ-საძკითხველოები და კიოსკები ბოლიტიკური ლიტერატურის გასაყიდად.

პარტიული ორგანიზაციები მუშებს მოუწოდებდნენ გაეერთიანებიათ თავიანთი ძალები კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ასე მაგალითად ჩიდილოეთის რკინიგზის ბოლშევიკების კონფერენციაზე, რომელიც 3—5 ივლისს ჩატარდა ქ. ვოლოგდაში, მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდებნენ რკინიგზის ნუშებს განმტკიცებინათ თავიანთი რიგები და შესულიყვნენ ბოლშევიკურ პარტიაში, შეექმნათ ახალი პარტიული ორგანიზაციები, შეეწოვეკრიბათ ბიავიანთ გარშემო ნაწილობელი მოსახლეობა[1].

ქვეყანაში ინოდებოდა ბოლშევიკური პარტიის ავტორიტეტი და მისი რიგები. თუ აპრილის კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო სულ 78 ორგანიზაცია პარტიის 80 ათასი წევრით, სამაგიეროდ ივლისის ბოლოს ბოლშევიკური პარტიის 162 ორგანიზაცია იყო, პარტიის 240.000 წევრით.

ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ პარტია აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ატარებდა უდიდეს მუშაობას თავისი რიგების იდეურ-ორგანიზაციული წრთობისათვის, მთელი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დონის ამაღლებისათვის, მწოლიელთა ფართო მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცებისათვის. პარტიის მთავარ საზრუნავ საქმეს წარმოადგენდა მუშათა კლასის ძალების ორგანიზება და მათი იდეური აღზრდა. ამ ამოცანის გადასაწყვე-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 17, საც. ერთ. 167, აღწ. 1, ფურც. 1—2.

ტად პარტია იყენებდა ორგანიზაციის ყველა შესაძლო ფორმას, რომელთა შორის ყველაზე უმნიშვნელოვანესი ფორმა ორგანიზაციისა იყო საბჭოები.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ისეთ ორგანიზაციებს, როგორიც იყო პროფკავშირები, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, წითელი გვარდიის რაზმები და სხვ. მასების მიმხრობისა და ბოლშევიკების ბანერზე მათი დარაზმვის აუცილებლობას ექვემდებარებოდა ბრძოლის ისეთი საშუალებები როგორიც იყო დემონსტრაციები, მიტინგები, კრებები.

ბოლშევიკების ხაზის სისწორე ყოველდღიური ცხოვრებით ახალ-ახალ დადასტურებას პოულობდა. პარტია მშრომელ მასებს მოუწოდებდა, შეექმნათ მტკიცე პროლეტარული ორგანიზაციები. ვ. ი. ლენინი 8 მაისს გაზეთ პრავდაში წერდა: იმისათვის, რომ ჩვენი ხაზი „ერთსულოვნად გავატაროთ, საჭიროა, გვქონდეს პროლეტარული მასების სამჯერ უკეთესი ორგანიზაცია, ვიდრე დღესა გვაქვს. ყოველ რაიონში, ყოველ უბანში, ყოველ ქარხანასა და ყოველ ასეულში უნდა აირჩიოს მტკიცე, ერთსულოვანი ორგანიზაცია, რომელიც ისე უნდა მოქმედებდეს, როგორც ერთი კაცი. ყოველ ასეთ ორგანიზაციას პირდაპირი ძაფები უნდა აკავშირებდეს ცენტრთან, ცენტრალურ კომიტეტთან. და ეს ძაფები მტკიცე უნდა იყოს, რომ ბატონმა პირველი დაკვრით ვერ შეძლოს მათი გაწყვეტა... მათ ყოველდღიურად, ყოველ საათში უნდა ვამაგრებდეთ და ვამოწმებდეთ, რომ მტერმა მოუმზადებელს არ მოგვისწროს“[1].

ვ. ი. ლენინი მუშებს ასწავლიდა თუ როგორ შეექმნათ მასობრივი, მტკიცე პროლეტარული ორგანიზაციები. რევოლუციის მომავალს იბრძოდა მტკიცე რწმენით უყურებდა პროლეტარიატის უბადლო ბელადი.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში სულ უფრო ძლიერი და მკაცრი ბრძოლა გაჩაღდა. აქ ერთიანეორეს დაეჯახა ორი უერთიერთსაწინააღმდეგო ბანი: ბურჟუაზიასთან შეთანხმების, რევოლუციის ჩახშობის ხაზი. რომელსაც ესერები და შენშევიკები ატარებდნენ, მეორე იყო

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 256.

რევოლუციის განგრძობის, მისი შემდგომი განვითარების ხაზი, რომელსაც ბოლშევიკები ატარებდნენ.

ბოლშევიკები იბრძოდნენ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის, საბჭოებში უმრავლესობის მოპოვებისა და საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლისათვის, წვრილბურჟუაზიული პარტიების იზოლაციისა და მათი გავლენისაგან მბრძოლელთა მასების გამოსსნისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი მუშებსა და ჯარისკაცებს მოუწოდებდა მოეწყოთ საბჭოებში დეპუტატთა გადარჩევები, ზოგიერთის ნაცვლად აერჩიათ ისეთი დეპუტატები, რომლებიც გამოსატავდნენ უმრავლესობის ნება-სურვილს; გაატარებდნენ საბჭოებში ბოლშევიკურ ხაზს. საბჭოების გადარჩევები წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტაქტიკურ საშუალებას ბოლშევიკების მიერ საბჭოებში უმრავლესობის მოსაოვებლად.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსკოვისა და ლენინგრადის საბჭოების გადარჩევებს, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ტონის მიმცემი ცენტრები იყო ყოველთვის — განსაკუთრებით რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში.

პეტროგრადსა და მოსკოვში იყო თავმოყრილი მუშათა მთავარი ძალები. ამიტომ ორივე ქალაქში საბჭოების გადარჩევებს ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, რადგან ამ გზით უნდა გაზრდილიყო ბოლშევიკური პარტიის მოძრავი რიცხვი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში. დედაქალაქის საბჭოებს უდიდესი მამობილიზებელი გავლენა ჰქონდა პროვინციებზე. ამიტომ იყო, რომ ბოლშევიკური პარტია უდიდესი ყურადღებით ეპყრობოდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს.

1917 წლის მარტში შედგა საბჭოების თათბირი, რომელმაც აირჩია პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში 10 წარმომადგენელი ოლქებიდან და 6 წარმომადგენელი არმიიდან და ფლოტიდან; ამის შემდეგ პეტროგრადის საბჭო ფორმალურად ითვლებოდა როგორც სრულიად რუ-

სეთის მუშათა ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრალურ საბჭოდ. ძოკოვის საბჭოები, ისევე როგორც პეტროგრადისა, მიმართულებას აძლევდა პროვინციის საბჭოების მუშაობას. ამიტომ დედაქალაქის საბჭოებში უმრავლესობის მოპოვება მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო სოციალისტური რევოლუციისა წარმატებისათვის. ამ ამოცანის შესრულებას საქმეში პარტია ხელშეუშველობდა ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისებით და VII (აპრილის) კონფერენციის გადაწყვეტილებით, რომლებიც გაუსწორებენ საბჭოებისა ვის ბრძოლის ეზებს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ დედაქალაქის საბჭოებში უმრავლესობის მოპოვებას.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭო არჩეული იყო ასეთი პრინციპით: 500 ჯარისკაცი 1 წარმომადგენელი. ხოლო 1000 მუშიდან 1 წარმომადგენელი. დემოკრატიული პრინციპების ასე ეს ეს ეს ეს დარღვევამ, საბჭოებში ექსკლუზიურ და ბენეფიციალური უმრავლესობა. პეტროგრადის 500-ათასიან მუშათა კოლექტივს ოთხასერ ნაკლები წარმომადგენელი ჰყავდა საბჭოში, ვიდრე პეტროგრადის 150-ათასიან გარნიზონს.

პარტიამ მორიგ ამოცანად წამოაყენა პეტროგრადის საბჭოს შემადგენლობის შეცვლა. გაზეთი „პრავდა" წერდა: ამაააგებენ! დღეანდელი დღის ამოცანაა: უმრავლესობა მოვიპოვოთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში და პიოვილ რიგი მისი მუშათა სექციაში[1]...

მუშათა სექციისათვის ბრძოლას პარტია განიხილავდა, როგორც პეტროგრადის საბჭოებში ბოლშევიკების მაორუნე უმრავლესობის მიმართობისათვის ბრძოლის პირველ ეტაპს. საბჭოების გადარჩენებთან დაკავშირებით ლენინი დაწერა „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ანაწესი", რომლის საფუძველზე მომუშავეულ იქნა და პრავდაში გამოქვეყნდა განაწესის პროექტი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისათვის, რომელშიაც

---

[1] გაზ. „პრავდა", 1917 წლის 5 ივლისი.

ფორმულირებულია პარტიის რევოლუციური მოთხოვნილებები ხელისუფლების, ომის, მიწის, პოლიციის შესახებ და სამეურნეო ნგრევის თავიდან აცილების და სხვა საკითხებზე; ხაზგასმითაა ჩითითებული, რომ ამ საკითხების გადაჭრა შეუძლებელია, ისე თუ საბჭოების ხელში არ გადავა მთელი ძალაუფლება და თუ უკუგდებული და იზოლირებული არ იქნება შეძთანხმებლური პარტიები. პროექტი გაფრთხილებას იძლეოდა, არ დაუშვან პოლიციის აღდგენა. არამედ უნდა შეიქმნას სახალხო პოლიცია, რომელიც ხალხის სამსახურში იქნებოდა. პროექტში მითითებულია, რომ სამეურნეო ხგრევის ლიკვიდაციისა და შიმშილობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა საბჭოებს გადაეცეს მთელი ძალაუფლება და დავამთავროთ იმპერიალისტური ომი[1].

განაწესის პროექტი წარმოადგენდა პარტიის საარჩევნო პლატფორმას. იგი ბიბლიოთეკად საბჭოების ყველა ობრიეი და პარტიული შემადგენლობის შეიარაღების ბრძოლის გზებსა და საშუალებებზე, აღვიყენებდა მასების რევოლუციურ ინიციატივას, იგი საბჭოების ერთძალაუფლებიანობისათვის ბრძოლის ორგანიზატორი და სულისჩაადგენელი იყო. აღვიყენებდა რა მასების შემოქმედებით ინიციატივას, პარტიამ წამოაყენა მოთხოვნა — ხალხს მიეცეს უფლება მისთვის სასურველ მომენტში საბჭოებიდან გამოიწვიოს თავისი წარმომადგენლები. ეს გარკვეულად იყო ჩაწერილი დეპუტატებისადმი განკუთვნილ განაწესში სხვა მოთხოვნებთან ერთად. განაწესის ოცნავი ზეუსიულებლობა, მისგან მკაცრად გადახრაც კი გამოიწვევდა საბჭოებიდან დეპუტატის გაწვევას.

მენშევიკები და ესერები საბჭოების ფეოდალენლობის გადარჩენების წინააღმდეგ გამოვიდნენ. საბჭოების ესერულ-მენშევიკურმა ხელმძღვანელობამ უკვე იგრძნო ბოლშევიკების გაძლიერების ზრდა და თავიანთი პოზიციების სისუსტე.

ზეუპოვრად ამსავრებდნენ რა ესერებისა და მენშევიკების წინააღმდეგობას, რომელთაც საბჭოები აქციეს ნახევრად უმოქმედო ხალხის მოსატყუებელ ნირმად, ბოლშევიკებმა

---

[1] გაზ. „პრავდა", 1917 წლის 20 მაისი.

მიაღწიეს საბჭოების გადარჩევების შეწყობას პეტროგრადში, მოსკოვში და სხვაგან. ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშები კრებებზე ფართოდ განიხილავდნენ ბოლშევიკური პარტიის „განაწესს“, ღებულობდნენ გადაწყვეტილებებს საბჭოების გადარჩევების შესახებ. პეტროგრადის სამილე ქარხნის მუშების საერთო კრებაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ, სამილე ქარხნის მუშებმა, გადავწყვიტეთ დავიწყოთ დაუყოვნებლივი გადარჩევები იმ საქარხნო კომიტეტებისა და საბჭოების დეპუტატების, რომლებიც უმრავლესობის ნებას არ გამოხატავენ“[1].

აპრილ-მაისის განმავლობაში პეტროგრადის საბჭოში მოხდა დიდი ცვლილებები. საბჭოების მუშათა სექციაში ამ დროისათვის ნაკლები ბოლშევიკების ფრაქციას ეკუთვნოდა. გადარჩევებმა შესცვალა აგრეთვე საბჭოებში ჯარისკაცთა სექციის წევრადგენლობა. ჯარისკაცები გაეცნენ ... ნელა ნოქმედებდნენ, ვიდრე მუშები.

გადარჩევების შემდეგ, რომელიც ივნისის თვეში ჩატარდა, პეტროგრადის საბჭოების დეპუტატების 1/3 ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა.

პეტროგრადის რაიონული საბჭოების გადარჩევების შემდეგ საბჭოებში უმრავლესობა ბოლშევიკებმა მოიპოვეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პეტროგრადის საბჭოების აღმასკომისა და პრეზიდიუმის შემადგენლობა არ შეცვლილა. ხელმძღვანელი ორგანოები დაჩა კვლავ ესერებისა და მენშევიკების ხელში ხელმძღვანელ პოსტებზე. საბჭოებში კვლავ ისინი პარაბობდნენ და ყოველ ნაბიჯზე უშლიდნენ ხელს ბოლშევიკებს წიეხდინათ საბჭოების გადარჩევები. ფაქტიურად აღმოჩნდა, რომ აღმასკომის პარტიული შემადგენლობა უკვე აღარ შეესაბამებოდა პეტროგრადის საბჭოს დეპუტატების შემადგენლობას.

საბჭოებში უმრავლესობის მოსაპოვებლად ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მოსკოვის ბოლშევიკებ-

---

[1] გაზ. „პრავდა“, 1917 წლის 29 მაისი.

მა. 10 რაიონული საბჭოდან 6-ში ბოლშევიკებმა მოიპოვეს მთლიანად გავლენა. 1917 წლის მაისში კიევში ჩატარდა მუშათა დეპუტატების საბჭოების გადარჩევნები. ბოლშევიკების ფრაქციამ წამოაყენა თავისი სია. არჩევნებმა გვიჩვენა, რომ ბოლშევიკების ფრაქციის გარშემო დაჯგუფებული იყო მუშათა დეპუტატების საბჭოების წევრთა $^1/_3$[1]. ნაბიჯი სლავიანოსერბსკის მაზრაში ჩატარდა იუმათა, ჯვარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების კონფერენცია. საბაბად ბ. ურო ქ. ლუგანსკი იყო ფეიერდა. ოლ ... შეასრულა სოციალისტური რევოლუციის ინიციატორის ... ში.

საბჭოების გადარჩევნების პროცესში ბოლშევიკური პარტია თანდათასობით იბრძოლა მმართველთა ფარული მასებს. განამტკიცებდა თავის გავლენას მუშათა კლასსა და ჯარისკაცებში, ბოთმინებით განუმარტავდა მასებს ბოლშევიკების პარტიის პოლიტიკას, ითელდა ეჭვებისა და შენიშვნებიანებს გამცეცლურ პოლიტიკას და უმოაკლესობას იკავებდა საბჭოებში.

პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აბიჯებდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში მუშაობას. პარტიის ტაქტიკა იმგვარად იყო გაანგარიშებული, რომ საბჭოები ორმაგი გავლენის ქვეშ დაეყენებინა — „ქვემოდან“ — მასების ძალადან (დეპუტატების გადარჩევა, გადარჩევები და სხვ.), და „შიგნიდან“ — ბოლშევიკების ფრაქციის მიერ გაბალებული მუშაობა. პარტიის ცკ-ი საბჭოებში ბოლშევიკების მოღვაწეობას განიხილავდა, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტიული დავალების შესრულებას. პარტიის ცკ-ს დაგზავნა საიდარეკტივო წერილი. სათაურით: „დეპუტატთა საბჭოებსა და აღმასკომებში ოუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ყველა ფრაქციას“. წერილში მითითებულია, რომ ყველა ფრაქცია უნდა დაემორჩილოს ადგილობრივი პარტიული ცენტრების დირექტივებს და ხაზგასმული იყო რომ ცკ-ი ფრაქციებში პარტიის წევრ-

[1] გაზ. „გოლოს სოციალ-დემოკრატა“, 1917 წლის 20 მაისი.

თა მოლეაწეობას განიხილავს, როგორც მათზე მოცემულ პარტიულ დავალებას[1].

ბოლშევიკური პარტია საბჭოებიდან თანდათანობით სდევნიდა მენშევიკებსა და ესერებს, აცლიდა მათ პოზიციებს და იხვეჭდა პოლიტიკურ გავლენას ისეთ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ ორგანიზაციებში, როგორიც იყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

ბოლშევიკები დიდ ბრძოლას ატარებდნენ პროფესიულ კავშირებში და საფაბრიკო საქარხნო კომიტეტებში. აპრილის კონფერენციამ თავის გადაწყვეტილებებში მიუთითა, რომ გამარჯვებისათვის, მუშათა და უღარიბეს გლეხთა კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლისა და მისი შენარჩუნებისათვის საჭიროა ორგანიზაცია, ორგანიზაცია და კიდე, ორგანიზაცია. აპრილის კონფერენციამ პარტია წარმართა დემოკრატიისა და ხალხის შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განკითარებისაკენ. ითვალისწინებდა რა კონფერენციის მიერ აღებულ გებს, პარტია ყოველმხრივ უწყობდა ხელს ქვეყნად პროფესიული კავშირების შემდგომ გაფართოებას და მათს რევოლუციურ მოძრაობას, რომელსაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მუშათა კლასის შემუშავებისა და ორგანიზების საქმეში.

პროფკავშირების წინაშე იდგა ამოცანა,—პროლეტარული პარტიის ხელმძღვანელობით ორგანიზებულად მოეწყო ეკონომიური და პოლიტიკური დარტყმა კონტრრევოლუციაზე. პროფკავშირებს შეეძლოთ შეესრულებინათ მათ წინაშე მდგომი ამოცანები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაიქცეოდნენ ებრძოლ კლასობრივ ორგანიზაციად. პროფკავშირების „ნეიტრალობის“ მენშევიკური თეორია მიმართული იყო მუშათა მოძრაობაში მასობრივი ორგანიზაციების როლის შესუსტებისაკენ, პოლიტიკური ბრძოლიდან მათი ჩაშოცილებისაკენ.

ბოლშევიკების პარტიის ბრძოლას პროფკავშირების თავის მხარეზე გადაყვანისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონ-

---

[1] სკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის და მოსკოვის კომიტეტის ისტორიის ინსტიტუტის პარტიული არქივი, ფ. 3, საც. ეინ. 7, აღწ. 1.

და, რადგან იგი უზრუნველყოფდა მუშათა კლასის უმრავლესობის მოპოვებას, მათი რიგებისა და ერთიანობის დარაზმვას. 1917 წლის მაისის თვეში ჩატარდა პროფკავშირების სამმართველოთა გადარჩევნები, რის შედეგადაც ბოლშევიკებმა განაძტკიცეს თავიანთი გავლენა მრავალ პროფესიულ ორგანიზაციებში.

მუშათა კლასის უმრავლესობის მიმხრობისა და დარაზმვის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საფაბრიკო-საქარანო კომიტეტებს, რომლებიც მუშათა კლასის საბრძოლო ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. პარტიას რომ გაეერთიანებინა მათი მოქმედება, ამისათვის საჭირო იყო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრის შექმნა.

დროებითი მთავრობა ცდილობდა კანონმდებლობით განესაზღვრა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების როლი, შეეცვალა მათთვის საბრძოლო-რევოლუციური ხასიათი. 23 აპრილს გამოცემულ იქნა დროებითი მთავრობის მიერ დებულება „სამრეწველო-საწარმოთა მუშათა კომიტეტების შესახებ", რომლის მიხედვით საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს ნებოლოდ და მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა უნდა ეწარმოებინა საწარმოებში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ლონისძიების ცხოვრებაში გატარებისათვის თავგამოდებით იბრძოდნენ ესერები და მენშევიკებიც, დროებითმა მთავრობამ ამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თვითნებურად აწესებდნენ 8-საათიან სამუშაო დღეს, აწესებდნენ კონტროლს წარმოებაზე, პროდუქტებ ს განაწილებაზე, იბრძოდნენ ხელფასის მინიმუმის დაწესებისათვის, ქმნიდნენ მუშათა შეიარაღებულ რაზმებს, რომელნიც იცავდნენ ფაბრიკა-ქარხნებს.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საშუალებით ბოლშევიკური პარტია მუშათა კლასს აბამდა პოლიტიკურ ბრძოლაში.

მენშევიკები და ესერები წარმოებაზე მუშათა კონტროლის დამყარების სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ. ამიტომ მუშათა

კონტროლისათვის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან იგი საშუალებას იძლეოდა ბოლშევიკების პარტიის მხრივ პროლეტარიატის მიმართ განხორციელებულიყო გაბუყოფელი ხელმძღვანელობა სოციალისტური რევოლუციის მომზადების საქმეში და ემხილებინა ესერებისა და მენშევიკების იოლალატური საქციელი. წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესების ლოზუნგის განხორციელება მუშათა კლასს საკუთარი გამოცდილებით არწმუნებდა ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის სისწორეში. წარმოებაზე მუშათა კონტროლი იყო უდიდესი სკოლა იმ მხრივ, რომ ისინი სწავლობდნენ წარმოების მართვის, წარმოების გაძღოლის წესებს. ამავე დროს იცავდნენ საწარმოებს კაპიტალისტების მხრივ მოსალოდნელი დანგრევისაგან.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები დიდ ღონისძიებებს ატარებდნენ სავადასავა საწარმოთა, სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნებს მუშათა დაკავშირებისათვის, ამავე დროს მიარს უჭერდნენ გაფიცულ მუშებს, ზრდიდნენ მათ ურთიერთ სოლიდარობის სულისკვეთებით, ერთიმეორეს მიარს უჭერდნენ მუშები ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მხრივ ყველაზე მეტად აღსანიშნავია პეტროგრადის სამრეცხაოების ქალთა გაფიცვა, რომელთაც მოითხოვეს შრომის პირობების გაუმჯობესება. ორავალი ფაბრიკა-ქარხნის მუშები მ ესალმნენ გაფიცულ ქალებს, აღუდგენენ მხარდაჭერა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. პუტილოვის ქარხნის მუშებმა მოაწყვეს ნებაყოფლობით ფულის შეგროვება გაფიცული ქალების დასახმარებლად, მათ გაუგზავნეს მისალმება: „თქვენი გაძარჯვება ჩვენს გამარჯვებაა ნიმნავს და თქვენი დამარცხება ჩვენ დამარცხებას. იბრძოლეთ წეუპოვრად, ჩვენ თქვენთან ვართ!“ ეუშებმა იქვე გადაწყვიტეს თვითეული ხაელეარი დღის ჯამოუშავება გადაერიცხა გაფიცული ქალების დასახმარებლად. 1917 წლის 30 მარტს გაზეთი „პრავდა“ წერდა, რომ მრეცხავ ქალთა გაფიცვა 17 დღეს გაგრძელდა. პეტროგრადის ყველა ფაბრიკა-ქარხნიდან აკრძალულ მრეცხავ ქალებს გაუგზავნეს 10 ათას მანეთზე მეტი ეს იმას მოწმობს, რომ მუშებს ამოძრავებდა ურთიერთ მხარდაჭერის

გრძნობა ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამით უფრო მეტად მტკიცდებოდა მუშათა კლასის ერთიანობა.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა დიდი ბზრუნველობა გამოიჩინეს ბავშვიანი ქალებისა და ახალი თაობის აღზრდის საქმისადმი. მაგალითად, პუტილოვის ქარხნის მუშათა საქარხნო კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო მოეწყო მუშების ბავშვებისათვის სკოლები და საბავშვო ბაღები[1].

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები დიდ როლს თამაშობდნენ აგრეთვე მუშათა კლასისა და სოფლის ღარიბ გლეხობას შორის კავშირის განმტკიცების საქმეში. ასეთი კავშირის განხორციელების ფორმები სხვადასხვა იყო. ეხმარებოდნენ გლეხებს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გარემონტებაში და სხვ. მაგალითად, 21 ივლისს ბალტიის ქარხანაში მუშებმა გადაწყვიტეს შეეკეთებინათ გლეხებისათვის სახნავი, სათოხი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები არასამუშაო დროს, რისთვისაც გამოიყენებდნენ ისეთ მასალებს, რომლებიც ქარხნისათვის საჭირო არ იყო. ბალტიის ქარხნის მუშებმა მიიღეს გადაწყვეტილება მოწოდებით მიმართათ მუშებისათვის, რომ ყველგან ჩაეტარებინათ ასეთივე ღონისძიება, დახმარება გაეწიათ გლეხებისათვის[2].

პროლეტარული პარტიისათვის აუცილებელი და საჭირო იყო განეხორციელებინა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მუშაობა და მიეცა მათთვის მითითება მუშათა კლასის რევოლუციურად აღზრდისა და დარაზმვისათვის. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით ჩატარდა დიდი საბჭადილი (ბოსკოვში, პეტროგრადში, ხარკოვში და სხვ.), რათა მოწვეული ყოფილიყო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონფერენცია. მუშათა კრებებზე განიხილავდნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც ეხებოდა: მრეწველობას, წარმოებისადმი მუშათა კონტროლს, ინუშეკრობას, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ამოცანებს და სხვ.

1917 წლის 30 მაისიდან 3 ივნისამდე პეტროგრადში მიმდინარეობდა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კონფე-

---

[1] ორცსა, ფ. 5870. საც. ერთ. 1, ფურც. 929, 932.

[2] ორცსა, ფ. 4598, აღწერილობა 1, საც. ერთ. 7, ფურც. 79.

რეტცია. რომლის ბუშაობაში მონაწილეობა მიიღო 160-მა მუშამ. კონფერენციაზე თითქმის ორ დღეს გრძელდებოდა ქვეყნად ეკონომიური კრიზისისა და მეურნეობის ნგრევის საკითხის განხილვა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხელისუფლების საკითხთან. ბოლშევიკები იცავდნენ მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში მშკიდობიანად გადასვლის ლენინურ ხაზს. შეგნებულმა მუშებმა უკვე კარგად გაიგეს, რომ „კოალიციური" სამინისტრო და კაპიტალისტებთან „შემთანხმებელთა" სანახევრო ღონისძიებანი ამ დიდმნიშვნელოვან საკითხებს ვერ გადასჭრიდა. უკვე შესამჩნევად გაძლიერდა ბოლშევიკური პარტიის გავლენა.

ამრიგად, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საშუალებით პარტიამ მუშები ჩააბა აქტიურ რევოლუციურ ბრძოლაში. გამოდიოდნენ 8-საათიანი სამუშაო დღისა და წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესებისათვის. მუშათა კლასი ადგა ბურჟუაზიისა და მისი დროებითი მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. რევოლუციური ბრძოლის გაღვივების პროცესში იმპერიალისტური ომიდან გამოსვლისა, 8-საათიანი სამუშაო დღისა, მუშათა კონტროლის დაწესებისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელების მომენტში მიმდინარეობდა რევოლუციური მასების ძალთა მობილიზაცია, სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის ჩამოყალიბება.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მუშა ახალგაზრდობის დარაზმვას რევოლუციის მხარეზე. ბურჟუაზიული პარტიები გაცხოველებულ აგიტაციას ეწეოდენ, რათა თავიანთ მხარეზე ყოლოდათ ახალგაზრდობა. მუშა ახალგაზრდობა მეტად დაინტერესებული იყო მიმდინარე პოლიტიკური საკითხებით, აინტერესებდათ თავიანთი აწმყო და მომავალი. გაზეთ „პრავდის" რედაქციას რუსეთის ყველა მხრიდან მოსდიოდა მრავალი წერილი ახალგაზრდობისაგან, რომელშიაც სთხოვდნენ ბოლშევიკების ცენტრალურ ორგანოს, განემარტა ახალგაზრდობისათვის, როგორ მოეწყოთ თავიანთი ორგანიზაციები.

გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიულ ორგანიზაციებს განუმარტავდა ახალგაზრდობისათვის ბრძოლის მნიშვნელობას და მიუთითებდა იმ გზაზე, თუ როგორ უნდა მოეწყო მუშა ახალგაზრდობის ორგანიზაციები. ამ მიზნით გაზეთ „პრავდაში“ 30 მაისს გამოქვეყნდა ნ. კ. კრუპსკაიას წერილი: „ბრძოლა მუშა ახალგაზრდობისათვის“, 20 ივლისს დაიბეჭდა წერილი „მუშა ახალგაზრდობის კავშირი“.

ივლისის პირველი რიცხვებისათვის პეტროგრადში 50 ათასამდე მუშა ახალგაზრდა ორგანიზაციებში იყო გაერთიანებული, რომლებიც გარკვეულ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ, ქმნიდნენ ახალ-ახალ ორგანიზაციებს, აწყობდნენ გამოსვლებს და სხვ. მაგალითად, 11 მაისს ვიბორგის რაიონში ფაბრიკა-ქარხნების მოსწავლეებმა მაისის მოედანზე მოაწყეს მთელი პეტროგრადის ახალგაზრდობის მიტინგი და მანიფესტაცია. ახალგაზრდების კოლონები რაიონების მიხედვით მიდიოდნენ წითელი დროშებით და ლოზუნგებით: „ბავშვთა შრომის დაცვა!“ „საყოველთაო სწავლება“, „გაუმარჯოს სოციალიზმს!“ „გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!“ „მუშა ახალგაზრდობა სოციალიზმის იმედია!“. მიტინგებსა და კრებებზე გამოსული ორატორები მიუთითებდნენ, რომ კაპიტალისტებს სურთ წაშალონ რევოლუციის მონაპოვარი, სურთ წაშალონ მუშათა კლასის სელისუფლების ორგანოები და ძველებურად დატოვონ მუშათა კლასი კაპიტალიზმის მონობაში, მაგრამ რუსეთის მუშათა კლასი ასე ადვილად არავის არ დაუთმობს თავის მონაპოვარს. მიტინგზე ერთ-ერთმა ორატორმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „ჩვენ, ახალგაზრდობას, გვაქვს რა მებრძოლი მაშების გამოცდილება, დავანთავრებთ მათ ბრძოლას და მივაღწევთ სოციალიზმს. გაუმარჯოს სოციალიზმს!“ [1].

ახალგაზრდების ორგანიზაციები იქმნებოდა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და მხარეებში. ამიერკავკასიაში შეიქმნა ახალგაზრდობის ორგანიზაცია „სპარტაკი“. ამ ორგანიზაციამ

---

[1] გახ. „პრავდა“, 1917 წლის 6 მაისი.

გამოუშვა „მანიფესტი“, რომელშიც მიუთითებდნენ ახალგაზრდობის ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე. მანიფესტში აღნიშნულია, რომ პროლეტარიატისა და ახალგაზრდობის წინაშე დასახულია მეტად მნიშვნელოვანი და ამავე დროს გადაუდებელი ამოცანები. ვისარგებლოთ მოპოვებული თავისუფლებით პროლეტარული სოციალიზმის საბრძოლო პოზიციების განმტკიცებისათვის და ევროპაში რევოლუციის დაჩქარებისათვის[1]. ორგანიზაცია „სპარტაკმა“, — წერდა გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“, — თავის თავზე იკისრა მძიმე ამოცანა, შეამჭიდროვოს და განამტკიცოს ინტერნაციონალური ახალგაზრდობა ამიერკავკასიაში შოვინიზმისა და ნაციონალური მტრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბოლშევიკების პარტია მხარს უჭერდა ახალგაზრდობის დამოუკიდებელი ორგანიზაციების შექმნას, ორგანიზაციებისა, რომელთაც თავიდანვე სოციალისტური ხასიათი ექნებოდა და მიემხრობოდა ახალგაზრდობის ინტერნაციონალს.

გამოდიოდა რა აპრილის კონფერენციის მიერ აღებული გეზიდან მასების მობილიზაციისა და ორგანიზაციისათვის ბრძოლის ყველა ფორმების გამოყენების აუცილებლობის შესახებ, პარტიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო მუნიციპალურ საარჩევნო კამპანიაში პეტროგრადსა, მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში.

ხალხის მასების დაწოლით დროებითი მთავრობა იძულებული იყო გამოეცხადებინა ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო კამპანია. დროებითმა მთავრობამ 15 აპრილს მიიღო დებულება ქალაქის სათათბიროს ხმოსნების არჩევის შესახებ. არჩევნები უნდა ყოფილიყო საყოველთაო, პირდაპირი და ფარული. საარჩევნო სმის უფლება მამაკაცებს და ქალებს 20 წლის ასაკიდან ეძლეოდათ.

ესერებმა და მენშევიკებმა იცოდნენ, რომ რუსეთის მუშათა კლასს არ ჰქონდა საპარლამენტო ბრძოლის გამოცდილება და საყოველთაო არჩევნებიც პირველად ხდებოდა რუსეთის ისტორიაში, ამიტომ მათ განიზრახეს მუნიციპალური

---

[1] გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“, 1917 წლის 17 სექტემბერი.

არჩევნები გამოეყენებინათ თავიანთი ამოცანების განსახორციელებლად. ისინი ყოველნაირად აკნინებდნენ და აუბრალოებდნენ ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების როლს, რომელთა საქმიანობას მხოლოდ სამეურნეო საკითხებით განსაზღვრავდნენ, მუშათა კლასს მოუწოდებდნენ ეკონომიური საკითხების გაუმჯობესებისაკენ და ცდილობდნენ რევოლუციური გზიდან მათს ჩამოცილებას.

ბოლშევიკების პარტიამ გადასწყვიტა აქტიური მონაწილეობა მიეღო მუნიციპალურ არჩევნებში. ბოლშევიკების ამოცანა იყო საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში მასებისათვის განემარტათ, რომ საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლისა და იმპერიალისტური ომიდან გამოსვლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სასურსათო, საგადასახადო, საცხოვრებელი ბინის და სხვ. სამეურნეო თუ პოლიტიკური საკითხების მოწესრიგება.

კომუნისტური პარტია მიდიოდა არჩევნებში ისეთი პლატფორმით, რომელსაც რევოლუციის ყველა ძირითად საკითხზე შემუშავებული ჰქონდა ფართო მასებისათვის გასაგები, ნათელი პასუხი. პეტროგრადის კონფერენციაზე კომუნალური საკითხის გამო თავის გამოსვლაში ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა ბოლშევიკების პლატფორმა მუნიციპალურ არჩევნებში, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: ა) არავითარი მხარდაჭერა იმპერიალისტურ ომს; ბ) არავითარი მხარდაჭერა კაპიტალისტების მთავრობას; გ) არა ძველი პოლიციის აღდგენა, არამედ სახალხო მილიციის შექმნა[1].

მუნიციპალური პლატფორმის უმნიშვნელოვანესი საკითხი შეეხებოდა ხელისუფლების საკითხს, პარტია მიუთითებდა, რომ ომიდან გამოსვლა და სამართლიანი ზავის მოპოვება აგრეთვე მუნიციპალური რეფორმების განხორციელება უშუალოდ დაკავშირებულია ხელისუფლების საკითხთან; ვიდრე ხელისუფლება ბურჟუაზიის ხელშია, შეუძლებელია იმ პროგრამის განხორციელება, რასაც ასე ძლიერ საჭიროებს მთელი რუსეთის ჩაგრული ხალხი. ბოლშევიკების მუნიციპა-

[1] გაზ. „პრავდა", 1917 წლის 18 მაისი.

ლური პლატფორმა მასებს მოუწოდებდა საბჭოების ერთ-ხელისუფლებიანობისაკენ, ლოზუნგის „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ განხორციელებისაკენ.

პეტროგრადის მუნიციპალური არჩევნების შედეგებმა მთელ ქვეყანას დაანახვა ბოლშევიკების ავტორიტეტი, მათი გავლენის ზრდა, ხოლო მეორე მხრივ, კადეტების პარტიის პარცხი. ქალაქის სათათბიროში ბოლშევიკებმა მიიღეს 33 ადგილი, ესერებმა — 24, კადეტებმა — 17, მენშევიკებმა — მხოლოდ 6 ადგილი [1].

პარტია არა მარტო არჩევნებში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას, არამედ იგი მარჯვედ იყენებდა რაიონული და საქალაქო სათათბიროების ტრიბუნას, ამხელდა ესერებსა და მენშევიკებს, ამასთან ერთად ბოლშევიკები მასებს განუმარტავდნენ, რომ მხოლოდ პროლეტარიატის ხელში მყოფი ძალაუფლება შესძლებს გადაჭრას ყველა ძირითადი საკითხი და მათ შორის კომუნალური რეფორმის საკითხი.

1917 წელს სათათბიროში ჩვენი პარტიის მონაწილეობა წარმოადგენს ნიმუშს ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის რევოლუციურად გამოყენების საქმეში. იმ მიზნით, რომ დაჩაგრული კლასების ჩამორჩენილი ფენები აღეზარდა, გაეღვიძებინა მათი ეროვნული გრძნობები და გაენათლებინა ისინი—პარტია სავალდებულოდ თვლიდა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, პარლამენტის ტრიბუნიდან ბრძოლას. უნდა აღინიშნოს, რომ რუსი კომუნისტების ასეთი ტაქტიკური ხერხი ნიმუში გახდა ყველა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების პრაქტიკულ რევოლუციურ მოღვაწეობაში.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის ბრძოლა პარტიისაგან მოითხოვდა მთელი ძალ-ღონის დაძაბვას, რათა გლეხთა მასები თავის მხარეზე მიემხრო. ასრულებდა რა აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებს მუშათა კლასისა და უღარი-

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 17, საც. ერთ. 327, ფურც. 6.

ბესი გლეხობის კავშირის შექმნის საქმეში, პარტია მთელ თავის ძალას არ ზოგავდა სოფლის უღარიბესი და მოჯამაგირეთა კლასობრივი ორგანიზაციების შექმნისათვის, პოლიტიკურ ბრძოლაში მათი ჩაბმისათვის. ბოლშევიკებისათვის ნათელი იყო, რომ პროლეტარიატთან გლეხობის მჭიდრო კავშირის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ფიქრი რაიმე სოციალურ გარდაქმნებზე.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შედიოდა მრავალი წერილი იმის შესახებ, რომ სოფლად ესერები და მენშევიკები გამალებით ეწევიან აგიტაცია-პროპაგანდას, მაგრამ ყოველივე ეს კრახს განიცდის, მათი ცდები ქარწყლდება ყველა იმ სოფელში, სადაც კი არმიიდან დაბრუნებული ბოლშევიკი ჯარისკაცები გამოჩნდნენ. ჩამოსული ჯარისკაცები დაუნდობლად და მოურიდებლად ამხელდნენ მენშევიკებსა და ესერებს, განუმარტავდნენ გლეხებს, თუ რისთვის და როგორ უნდა იბრძოლონ. მათ გააჩაღეს სოფლად მუშაობა, რათა შეექმნათ და განემტკიცებინათ სოფლის პროლეტარიატის ორგანიზაციები, რომლებიც თავისებურ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას ჩაატარებდნენ გლეხობის დასარაზმავად[1].

ბოლშევიკური პარტია აქტიურად იბრძოდა იმისათვის, რათა თავის მხარეზე მიემხრო გლეხთა დეპუტატების საბჭოები და გლეხთა კომიტეტები, ამისათვის მარჯვედ იქნა გამოყენებული გლეხთა დელეგაციების თათბირები და ყრილობები, სადაც ბრძოლას უმართავდნენ ესერებსა და მენშევიკებს, გლეხებს განუმარტავდნენ თავიანთ რევოლუციურ პლატფორმას. 1917 წლის 4-დან 28 მაისამდე პეტროგრადში მიმდინარეობდა გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის I ყრილობა, რომლის დღის წესრიგში იდგა რევოლუციის ძირითადი საკითხი: ომის შესახებ, ხელისუფლების და მიწის შესახებ.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინს დაავალა სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების ყრილობაზე გამოსვლა. ავადმყოფობის გამო ლენინმა ყრილობის გახსნის

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფ. 17, საც. ერთ. 247 ფურც. 16, 17, 18, 19.

პირველ დღეს ვერ შესძლო დასწრება. მან ყრილობის დელეგატებს მიმართა ღია წერილით, რომელიც 1917 წლის 24 მაისს გამოქვეყნდა გაზეთ „სოლდატსკაია პრავდაში“. ვ. ი. ლენინი მიესალმა გლეხთა დეპუტატების ყრილობის დელეგატებს და აღნიშნა ის უთანხმოება, რომელიც არსებობდა მიწის, ომისა და სახელმწიფო ძალაუფლების საკითხებში — ერთი მხრივ, ბოლშევიკებსა და, მეორე მხრივ — „სოციალისტ-რევოლუციონერთა“ და „სოციალ-დემოკრატ მენშევიკების“ პარტიებს შორის. ლენინმა თითოეულ საკითხზე ჩამოაყალიბა ბოლშევიკების თვალსაზრისი და აღნიშნა, რომ საჭიროა გლეხებმა ადგილებზე დაუყოვნებლივ და ორგანიზებულად თავიანთ ხელში აიღონ მთელი მიწა. მართალია, რომ დამფუძნებელი კრების უფლებას შეადგენს საბოლოოდ დაადგინოს მიწის საყოველთაო-სახალხო საკუთრება და მიწის გამგეობის პირობები, მაგრამ ვიდრე დამფუძნებელი კრება მოიწვეოდა, ლენინის აზრით მიწები უნდა გადასულიყო გლეხების ხელში, ფრთხილად უნდა მოპყრობოდნენ სასოფლო-სამეურნეო ქონებას და მთელი ძალ-ღონით გაედიდებინათ პურისა და სხვა პროდუქტების წარმოება. ლენინი იქვე მიუთითებდა, რომ მიწას გლეხები ვერ მიიღებენ ისე, თუ მჭიდრო კავშირი არ იქნება ქალაქის მუშებსა და უღარიბეს გლეხობას შორის. ასეთი კავშირის გარეშე კაპიტალისტებს ვერ დავამარცხებთ და ამიტომ მიწის გადაცემა ხალხის ხელში ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხალხის ხსნას სიღატაკისაგან. საჭიროა ფული, კაპიტალი, იარაღი, თესლი, პირუტყვი, გამწვევი ძალა. ამიტომ უღარიბესი გლეხობა მხოლოდ ქალაქის მუშებთან კავშირით მიაღწევს იმას, რომ მიწა, რკინიგზები, ბანკები, ფაბრიკა-ქარხნები ყველა მშრომელის საკუთრება გახდეს. უამისოდ გაჭირვებისა და სიღატაკის მოსპობა შეუძლებელია.

ლენინი გასაგებად და ნათლად განმარტავდა, რომ მუშები და გლეხები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ და ამიტომ ძალაუფლება და მართვა-გამგეობა მ ა თ ი ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ხელში უნდა იყოს და არა მემამულე-კაპიტალისტი მოხელეების ხელში.

ლენინის წერილმა და მისმა გამოსვლამ გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნად გლეხთა მოძრაობის განვითარების საქმეში. ქვეყანაში თითქმის ყოველ დღე იზრდებოდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობა. ყრილობის შემდეგ გლეხთა რევოლუციური მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა იენისში და ივლისში.

დროებითი მთავრობის დამსჯელმა ექსპედიციამ ვერ გატეხა გლეხობა, ისინი ბრძოლას განაგრძობდნენ. ულარიბეს გლეხთა ფენებში ბოლშევიკების გავლენა შესამჩნევად გაიზარდა.

გლეხთა მოძრაობის სასიცოცხლო ინტერესებისადმი ბოლშევიკური პარტიის სწორი პოლიტიკა, რომელიც აპრილის კონფერენციამ შეიმუშავა უზრუნველყოფდა ბოლშევიკების გავლენის ზრდას მშრომელ გლეხობაში, ამ უდიდესი რეზერვის ბოლშევიკების მხარეზე გადმოყვანას, მათს დარაზმვას პროლეტარიატის ირგვლივ.

ბოლშევიკების პარტია, იბრძოდა რა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის, უდიდეს ყურადღებას უთმობდა არმიაში პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას.

რსდმპ (ბ) ფრონტისა და ზურგის სამხედრო ორგანიზაციების სრულიად რუსეთის კონფერენციამ, რომელიც 1917 წლის 16—23 ივნისს ჩატარდა, მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფდა არმიისა და რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალების ურთიერთ თანამოქმედებას, მუშათა. ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში ძალაუფლების მთლიანად გადასვლას, საძულველი ომის შეწყვეტას, — ზავს, მიწას და თავისუფლებას.

მიმდინარე მომენტის შესახებ ლენინის მოხსენებების გაშინაბიღებულ-რეზოლუციაში კონფერენციამ აღნიშნა, რომ ფართო მასების სულ უფრო მზარდი უკმაყოფილება, რასაც ამწვავებს სასურსათო და ეკონომიური კრიზისი, სიძვირე და ომის გაჭიანურება, მასების რევოლუციური შეგნებულობის ზრდა. გარ-

დუვალს ხდის და ააღლოებს რევოლუციის ახალ ეტაპს, როდესაც ძალაუფლება უნდა გადავიდეს პროლეტარიატის ხელში. კონფერენცია ითვალისწინებდა რა რევოლუციის განვითარების შესაძლებლობას მშვიდობიანი გზით, ბოლშევიკური პარტიის მორიგ ამოცანად სახავდა შემდეგ ღონისძიებებს: ა) განეგრძო და გაეძლიერებია აგიტაცია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ფხიზლად ედევნებინა თვალყური კონტრრევოლუციის გარდუვალი ცდებისათვის, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ განეიარაღებინა მარჯვე მომენტში რევოლუციური მუშები, დაეშალა რევოლუციური პოლკები; ბ) გადაჭრით ებრძოლა ანარქისტულ განწყობილებათა და ნაადრევი გამოსვლების წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ ხელს შეუწყობს ბურჟუაზიას, — ჩაშალოს ახალი რევოლუციური ეტაპის აუცილებლობა; გ) ენერგიულად ამზადოს პროლეტარიატისა და რევოლუციური არმიის ძალები რევოლუციის ახალი ეტაპისათვის, რაც შეიძლება უფრო თვალსაჩინოდ განმარტოს, რომ მხოლოდ ხალხის უმრავლესობის (განსაკუთრებით უღარიბესი გლეხობის) ნდობას ორგანიზებული პროლეტარიატისადმი და ამ უკანასკნელის ხელში ძალაუფლების გადასვლას შეუძლია ნამდვილად გამოიყვანოს ქვეყანა შემთანხმებლური პარტიებისა და გაჭიანურებული ომის მიერ შექმნილი ჩიხიდან.

კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში „ომის, ზავისა და შეტევის" შესახებ აღნიშნულია, რომ სამხედრო ორგანიზაციები სავსებით იზიარებენ ომისაღმი დამოკიდებულებაში იმ პოლიტიკას, რომელიც ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადის — ვ. ი. ლენინისაგან იყო შემუშავებული.

კონფერენციამ ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპები რევოლუციური არმიის შექმნისა, მიიღო გადაწყვეტილება არმიის დემოკრატიზაციის შესახებ, განსაზღვრა სამხედრო ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები, მიიღო ამ ორგანიზაციის წესდების პროექტი.

კონფერენციამ აღნიშნა გაზეთ „სოლდატსკაია პრავდას" უდიდესი მნიშვნელობა და დაადგინა, რომ სწორედ ეს იქნებოდა რსდმპ ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციების

ცენტრალური ორგანო, ვიდრე ჯარისკაცთა და გლეხთა დიდი გაზეთი დაარსდებოდა. „სოლდატსკაია პრავდა“ მედგრად და თანმიმდევრულად იცავდა და ახორციელებდა საერთაშორისო სოციალიზმის ძირითად დებულებებს, თანმიმდევრულად და გადაჭრით ებრძოდა კონტრრევოლუციურ პარტიებს, შემთანხმებლურ პარტიებს და მათ მიმდევრებს; იგი თავისი პოპულარობით ხალხთა ფართო მასების გაგებისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მისაწვდომი გაზეთი იყო.

პარტიამ გააძლიერა ჩაგრული ხალხებისადმი მხარდაჭერა. იბრძოდნენ რა თვითგამორკვევის უფლებისათვის, ამავე დროს მრავალი ეროვნების მშრომელნი სურვილს გამოთქვამდნენ დარჩენილიყვნენ რუსეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური ოლქების უფლებებით.

1917 წლის 22 მაისს უკრაინელ ჯარისკაცთა კრებამ, რუსეთის მართველობის საუკეთესო ფორმად აღიარა რუსეთის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკა, რომელშიაც თვითეულ ეროვნებას უფლება ენიჭება თავისი ნაციონალური ავტონომიისა; უკრაინაში ყველა მიწები უნდა გადავიდეს იმ ხალხის ხელში, რომელნიც თვითონ დაამუშავებენ მიწას. მიწა, ტყეები და სხვა სიმდიდრე ხალხის საკუთრებად უნდა გამოცხადდეს; აიკრძალოს მიწის ყიდვა-გაყიდვა, სანამდის საბოლოოდ არ გადაიჭრება მიწის საკითხი. სწავლა-განათლება უნდა იყოს უფასო და ამავე დროს ორივე სქესის ბავშვებისათვის სავალდებულო.

ასეთივე ხასიათის წერილები მოდიოდა საქართველოდან, ბელორუსიიდან, ლატვიიდან და სხვა მხარეებიდან. ისინი სოლიდარობას უცხადებდნენ რუსეთის პროლეტარიატს, მხარს უჭერდნენ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს რევოლუციურ ღონისძიებებს; თავიანთ წერილებში მოითხოვდნენ რუსეთის ხალხთან მჭიდრო ურთიერთობას, რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში ავტონომიური უფლებებით დარჩენას.

რუსეთის განაპირა მხარეებში მცხოვრები ერები ისწრაფოდნენ ეცხოვრათ რუს ხალხთან მეგობრულად. ისინი რუს ხალხთან ერთად იბრძოდნენ საზოგადოების რევოლუციურად გარდაქმნისათვის.

ბოლშევიკების პარტია იყო ერთადერთი, რომელიც მუდამ იბრძოდა ჩაგრულ ხალხთა ეროვნული ინტერესების დაცვისათვის, მზად იყო აემხედრებინა ისინი დროებითი მთავრობის დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1917 წლის მაისსა და ივნისში ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. სამეურნეო ნგრევა და სასურსათო კრიზისი უფრო გაიზარდა, გაღრმავდა. კონტრრევოლუციამ თანდათან გააძლიერა თავისი მოქმედება.

პეტროგრადის „განტვირთვის" გეგმა, ე. ი. მისი გათავისუფლება რევოლუციური პროლეტარიატისაგან და რევოლუციური არმიისაგან, ფრონტებზე რევოლუციური ნაწილების დაშლა და გადაჯგუფება, კერენსკის მიერ „ჯარისკაცების უფლებათა დეკლარაციის" გამოქვეყნება, რომელიც ყოველგვარ უფლებას უსპობდა ჯარისკაცებს და მეთაურთა ბრმა იარაღად აქცევდა, იმ შენობაზე პროვოკაციული თავდასხმები, რომლებიც მუშათა ორგანიზაციებს ეკავათ და სხვ. — ყოველივე ეს ამწვავებდა მდგომარეობას ქვეყნის შიგნით და განსაკუთრებით პეტროგრადში.

ბურჟუაზია ატარებდა ლოკაუტებს ფარულად და ღიად, საბოტაჟს უწევდა წარმოებას. 1917 წლის მაისში დახურულ იქნა 108 ქარხანა, სადაც მუშაობდა 8 701 მუშა, ივნისში მუშაობა შეწყვიტა 125 ფაბრიკა-ქარხანამ.

დედაქალაქში დაიწყო მუშათა მასების რევოლუციური გამოსვლა კოალიციური მთავრობის კონტრრევოლუციური მოქმედების წინააღმდეგ. დროებითი მთავრობის ცდა „განტვირთა" პეტროგრადი, მუშათა კლასის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. პუტილოვის ქარხნის მუშებმა განაცხადეს, რომ ეს პირველი ცდა არ არის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მიერ, რომ განტვირთოს პეტროგრადი მუშათა რევოლუციური ორგანიზაციებისაგან და გაჟანტოს ისინი რუსეთის მიყრუებულ სოფლებში[1]. პუტილოველებმა სასტიკი

---

[1] გან. „პრავდა", 1917 წლის 10 ივნისი.

პროტესტი განაცხადეს დროებითი მთავრობის გადაწყვეტილების გამო — გაეყვანათ რევოლუციური არმია პეტროგრადიდან და ამის გამო პეტროგრადის საბჭოს მოსთხოვეს, რომ რევოლუციური არმია დარჩენილიყო დედაქალაქში პროლეტარიატის ბრძოლის დამთავრებამდე

1917 წლის 15 ივნისს „პრავდა" იუწყებოდა, რომ პეტროგრადის განტვირთვის საკითხის ირგვლივ ბოლშევიკების თვალსაზრისზე პირველად დადგა პეტროგრადის საბჭოს მუშათა სექციის უმრავლესობა. პეტროგრადში დაიწყო მსხვილი ქარხნების მუშათა მძლავრი გამოსვლები, რომლებიც აშკარად პოლიტიკურ ხასიათს ატარებდნენ. მუშები მოითხოვდნენ მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლას. მუშათა გამოსვლებსა და მოთხოვნას არმიის ნაწილებმა მხარი დაუჭირეს. ამრიგად ქვეყნის შიგნით რთული მდგომარეობა შეიქმნა.

1917 წლის ივნისში მოწვეულ იქნა საბჭოების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა, სადაც ესერები და მენშევიკები ჭარბად იყვნენ. მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი წერეთელი ყრილობაზე აცხადებდა: ბურჟუაზიული ხელისუფლების გარეშე ქვეყანა დაიღუპება, ამჟამად რუსეთში არ არის ისეთი პარტია, რომელიც მარტოკა დათანხმდება აიღოს ხელში ძალაუფლებაო. ლენინმა მაშინვე უპასუხა: „არის ასეთი პარტია!". ლენინი ტრიბუნაზე ავიდა. მან თავის სიტყვაში დაასაბუთა, რომ ბოლშევიკების პარტია ყოველ წუთს მზად არის მთლიანად აიღოს ხელში ძალაუფლება. ლენინმა გადმოსცა რა ბოლშევიკების პლატფორმა, დაამტკიცა, რომ ქვეყანა კატასტროფას თავს ვერ დააღწევს ისე, თუ მთელი ძალაუფლება არ გადავა საბჭოების ხელში.

ამ დროს ფაბრიკა-ქარხნებში და ლეგიონებში ტარდებოდა მუშათა და ჯარისკაცთა მასობრივი კრებები და მიტინგები, სადაც აყენებდნენ მოთხოვნას მშრომელთა დემონსტრაციის მოწყობის შესახებ. ამ მოთხოვნას ბოლშევიკები მხარს უჭერდნენ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ისარგებლა ხალხის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობით და მიიღო გადაწყვეტილება მოეწყო დემონსტრაცია, რათა

გავლენა შეეხდინა საბჭოების პირველი ყრილობის გადაწყვეტილებაზე. დემონსტრაციას ყრილობისათვის უნდა ეჩვენებინა, რომ მუშები და ჯარის კაცები მოითხოვენ ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დანიშნა მშვიდობიანი დემონსტრაცია 10 ივნისს. დემონსტრაციის ორგანიზების საქმეს მბარი დაუჭირეს მსხვილი პროფესიული კავშირების ხელმძღვანელებმა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ცენტრალურმა საბჭომ. ფაბრიკა-ქარხნები ყველგან მზად იყო მშვიდობიანი დემონსტრაციისათვის. როცა უკვე ფაქტიურად ყველაფერი მომზადებული იყო, მენშევიკებისა და ესერების ლიდერებმა ატეხეს განგაში, ვითომდა ბოლშევიკების შეთქმულების გამო, და მიზნად დაისახეს რევოლუციური აღმავლობის შიშით დემონსტრაციის ჩაშლა.

მენშევიკებსა და ესერებს დემონსტრაციის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლა არ შეეძლოთ, ვინაიდან ეს მალე გამოამჟღავნებდა მათ, როგორც ბურჟუაზიის მსახურთ და დემოკრატიულ თავისუფლებათა მტრებს. ბოლშევიკები იძულებული იყვნენ იმ ღამესვე შეეცვალათ თავიანთი ტაქტიკა. ცენტრალური კომიტეტის დავალებით ქარხნებსა და ფაბრიკებში წავიდნენ ბოლშევიკები, რომლებიც მუშებს განუმარტავდნენ საბჭოს გადაწყვეტილებას დემონსტრაციის აკრძალვის შესახებ.

საბჭოების I ყრილობამ დემონსტრაცია დანიშნა ნაცვლად 10 ივნისისა 18 ივნისისათვის. ეს თარიღი შემთხვევითი არ იყო. დროებითი მთავრობა ფრონტზე შეტევას ამზადებდა. იმ შემთხვევაში, თუ ფრონტზე წარმატებას მიაღწევდნენ, მაშინ, ცხადია, მათთვის ადვილი შესაძლებელი იქნებოდა დემონსტრაციის თავის მხარეზე გადაბირება, ან მისი გარეკვა, თუ პირიქით მოხდებოდა და დროებით მთავრობას ფრონტზე შეტევის პოლიტიკა ჩაეშლებოდა, მაშინ მარცხის „მიზეზი“ მუშათა კლასი იქნებოდა, რაც მათ თითქოს უფლებას მისცემდა, ძალით გაერეკა დემონსტრაციები და განეხორციელებინა თავიანთი კონტრრევოლუციური ზრახვები.

18 ივნისის დემონსტრაციამ, რომელმაც ბოლშევიკური ლოზუნგით ჩაიარა, გვიჩვენა კლასობრივ ძალთა ახალი თა-

ნაფარდობა, გვიჩვენა, რომ რუსეთის მუშათა კლასის ავანგარდს წარმოადგენს სამრეწველო პროლეტარიატი და დედაქალაქის მუშათა კლასი. ივნისის დემონსტრაციის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ბოლშევიკური პარტიის ავტორიტეტი და მისი რიგები შეივსო ახალ-ახალი ძალებით. ბოლშევიკურ პარტიაში მუშებმა მასიურად იწყეს შესვლა. მაგალითად, საფრანგეთ-რუსეთის ქარხნის 200-მა მუშამ ერთ დღეს შეიტანა განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. ვიბორგის რაიონში 18 ივნისის შემდეგ პარტიული ორგანიზაცია 2 000 კაცით გაიზარდა, ნარვის რაიონში ათასზე მეტი კაცი შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში[1].

ივნისის ამბებმა ყველას ნათლად დაანახვა, რომ ბოლშევიკური პარტია არის ერთადერთი რევოლუციური პარტია, რომელიც მასებს სათავეში ედგა და ამავე დროს ფართო მასების მხარდაჭერით სარგებლობდა. რევოლუციური ხალხის ფართო მასებში ბოლშევიკებმა უდიდესი გავლენა მოიპოვეს.

ბოლშევიკების პარტია რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების პერიოდში, ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა, რომ მასები კარგად მოემზადებინა, რათა შემდეგ მტკიცედ ებრძოლათ სახელმწიფო ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლისათვის. 18 ივნისის შემდეგ „პრავდისა“ და „სოლდატსკაია პრავდის“ ყველა ნომერში იბეჭდებოდა პარტიის მოწოდება მუშებისადმი; მოუწოდებდნენ მუშებს ორგანიზებულობისა და სიმტკიცისაკენ. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პეტროგრადის კომიტეტის წევრები განუწყვეტლივ ატარებდნენ მუშაობას ფაბრიკა-ქარხნებში, ადგილზე იღებდნენ ზომებს ნაადრევი გამოსვლების თავიდან ასაცილებლად. ნიუხედავად ამისა, გამოსვლების შეჩერება სულ უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა. სამეურნეო ნგრევა, რომელიც ქვეყნის შიგნით მძვინვარებდა, ზეტევა ფრონტზე და მისი მარცხი, სამხედრო ნაწილების დაშლა და ჯარისკაცთა დასვრეტა, ბურჟუაზიული ორგანიზაციების აშკარა პროვოკაციული გამოსვლები აძლი-

[1] ჟურნალი „პროლეტარსკაია რევოლუცია“, № 4, 1922 წ., გვ. 298.

ერებდა მუშათა და ჯარისკაცთა რევოლუციურ სულის-კვეთებას.

ივლისის დამდეგს რევოლუციური მოძრაობა გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო ფართო მოხმარების საქონლის შემდგომი გაძვირებით, ფრონტზე ახალი შეტევით და სხვ. 2 ივლისს კონტრრევოლუციის მთავარი ხელმძღვანელი ძალა—კადეტების პარტია გამოვიდა მთავრობიდან. ამით კადეტებს სურდათ შექმნილი მძიმე მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა შემთანხმებლური პარტიებისათვის გადაეკისრებინათ. კადეტები ცდილობდნენ გამოეწვიათ მთავრობის კრიზისი, დაეფრთხოთ მენშევიკები და ესერები. შემდეგ კი თავიანთ ხელში აეღოთ მთელი ძალაუფლება. „კადეტები მიდიან, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ისინი „მიმციან“ თამაშობენ, ულტიმატუმს უყენებენ ესერებსა და მენშევიკებს და მათ, ხელისუფლებაზე მიბმულთ, მაგრამ ძალაუფლებას მოკლებულთ, პასუხისმგებლობას აკისრებენ დამარცხებისათვის და მასების აღშფოთებისათვის“ [1].

ბოლშევიკები ცდილობდნენ შეეკავშირებინათ მასების მზარდი მღელვარება და ნაადრევი გამოსვლები. 3 ივლისს, საღამოს, მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო, უკვე შეუძლებელი შეიქმნა მასების შეჩერება. ბოლშევიკები ადგენდნენ მოწოდებას იმის შესახებ, რომ აუცილებელია მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი მიეცეს მოძრაობას. 3 ივლისს ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომამ პეტროგრადის კომიტეტთან და სამხედრო ორგანიზაციებთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება თავი შეეკავებინათ გამოსვლებისაგან. ამით საბჭოების მენშევიკურ-ესერულმა ხელმძღვანელობამ ბოლშევიკების პირდაპირი პასუხი მიიღო შექმნილ ვითარებაში გამოსვლების შეუძლებლობის შესახებ. ბოლშევიკები თავიდან იცილებდნენ ბურჟუაზიის მხრიდან პროვოკაციების მოწყობის საბაბს, რომელნიც ყოველთვის ცდილობდნენ მასების სამართლიანი უკმაყოფილება და სტიქიური აღშფოთება დაესახათ, როგორც ხელოვნურად გა-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 242

მოწვეული. ბურჟუაზიის მსახურებმა 4 ივლისს პეტროგრადის ქუჩებში დემონსტრანტებს ტყვიები დაუშინეს. კონტრრევოლუციონერებმა დაიწყეს გაზეთ „პრავდის“ დარბევა. დროებითი მთავრობის ჯარები თავს იყრიდნენ პიტერში. იმავე ღამეს ბოლშევიკების დარბევა მოაწყვეს იუნკრებმა და პოლიციელებმა, რომლებიც ჯარების სარდლის პოლოვცევისა და გენერალური შტაბის დავალებით მოქმედებდნენ. 5—6 ივლისს დაარბიეს გაზეთ „ტრუდის“ სტამბა. დღისით შუა ქუჩაში მხეცურად მოკლეს მუშა ვოინოვი, რომელიც გაზეთ „ლისტოკ პრავდის“ ჰყიდდა. ისინი მასიურად აწყობდნენ ბოლშევიკების ჩხრეკას და დაპატიმრებას. კონტრრევოლუცია გააფთრებით ცდილობდა ბოლშევიკური ორგანიზაციების და ბეჭდვითი ორგანოების განადგურებას. ხალხის რევოლუციური მღელვარება სულ უფრო მეტად იზრდებოდა, მისი შეკავება შეუძლებელი გახდა.

ბოლშევიკების პარტიამ ყოველგვარი ზომები მიიღო დემონსტრაციის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მასების სტიქიური გამოსვლები და ცალკეული დემონსტრაციები გადაიქცნენ საერთო გრანდიოზულ შეიარაღებულ დემონსტრაციად ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის ლოზუნგით. მაგრამ ბოლშევიკებს კარგად ესმოდათ, რომ ამ პირობებში შეიარაღებული აჯანყების დაწყება უნიადაგო იქნებოდა, რადგან ჯერ კიდევ მომწიფებული არ იყო რევოლუციური კრიზისი; ბოლშევიკები ითვალისწინებდნენ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ არმია და პროვინცია ჯერ კიდევ მზად არ იყო დედაქალაქში მოსალოდნელი აჯანყების მხარდასაჭერად.

ბოლშევიკების პარტია ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა რევოლუციის მთავარი ძალების განადგურება, უზრუნველეყო მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ შეუძლებელი იყო მასების გამოსვლების შეკავება, ხოლო მუშათა გამოსვლების ხელმძღვანელობის გარეშე დატოვება შეცდომა იქნებოდა.

ბოლშევიკური პარტიის ცკ-მა ანგარიში გაუწია რა მასების სულისკვეთებას, გადაწყვიტა სათავეში ჩადგომოდა მუშათა კლასის სტიქიურ გამოსვლებს, რათა მისთვის მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი მიეცა. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 3 ივლისს გვიან, საღამოს. გაიმართა მუშათა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც 500 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. დემონსტრაცია მიმდინარეობდა ბოლშევიკების ძირითადი ლოზუნგით „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!" დემონსტრანტები მოითხოვდნენ მთელი ძალაუფლება საბჭოებს აეღო ხელში, გაეწყვიტათ კავშირი იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან და გაეტარებინათ ზავის აქტიური პოლიტიკა.

მუშებისა და ჯარისკაცების მშვიდობიან დემონსტრაციას იუნკრებმა და ოფიცერთა რაზმებმა სროლა აუტეხეს, პეტროგრადის ქუჩები მუშებისა და ჯარისკაცების სისხლით შეიღება. ფრონტიდან გამოიხმეს ჯარის ნაწილები რევოლუციური მოძრაობის გასანადგურებლად.

დემონსტრაციის დარბევის შემდეგ გამოირკვა, რომ მენშევიკები და ესერები ფაქტიურად კონტრრევოლუციური ჯალათობის მონაწილენი და ხელშემწყობნი იყვნენ; ბურჟუაზიასთან ერთად მათ გაილაშქრეს ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. ბოლშევიკური გაზეთები დახურეს, დაიწყეს მასობრივი ჩხრეკა და აწიოკება. პეტროგრადის გარნიზონის რევოლუციური ნაწილები გაჰყავდათ დედაქალაქიდან და მათ ფრონტზე გზავნიდნენ. კონტრრევოლუციამ მიზნად დაისახა რევოლუციური პროლეტარიატის განადგურება.

ივლისის გამოსვლის ჩახშობაში დიდი მტრული როლი შეასრულეს ინგლის-საფრანგეთის და ამერიკის იმპერიალისტებმა, რომლებიც ცდილობდნენ ჩაექროთ რევოლუცია და მუშათა კლასის სისხლით მოერწყოთ ქუჩები და მოედნები.

ინგლის-ამერიკის ბანკირებმა რუსეთის ბურჟუაზიას აღუთქვეს დახმარება „მტკიცე ძალაუფლების" დამყარებაში. რევოლუციის ჩახშობა და ისეთი მთავრობის შექმნა, რომელშიაც უმრავლესობა კადეტები იქნებოდნენ უცხოეთის დახმარების წყალობით უნდა მომხდარიყო. ინგლისის ელჩმა

ბიუკენენმა დროებით მთავრობას წაუყენა მკაცრი მოთხოვნები: განიარაღებულ იქნას პეტროგრადის ყველა მუშა, მთელ რუსეთში აღდგენილ იქნეს სიკვდილით დასჯა ყველა იმათ მიმართ, ვინც კი ექვემდებარება სამხედრო და საზღვაო კანონებს, მოეთხოვოს „უკანონო“ დემონსტრაციის მონაწილე ჯარისკაცებს აგიტატორების გაცემა დასასჯელად, მოეუწყოს მკაცრი სამხედრო ცენზურა იმ გაზეთებზე, რომლებიც მოსახლეობას აქეზებდნენ „წესრიგის დასარღვევად“.

ერთი სიტყვით, ბიუკენენი მოითხოვდა სამხედრო დიქტატურის დამყარებას. და რევოლუციური კერის საბოლოოდ განადგურებას. ასე უხეშად ერეოდნენ რუსეთის შინაურ საქმეებში ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები, რომელთაც დიდი კმაყოფილებით ხვდებოდა დროებითი მთავრობა.

პეტროგრადის რევოლუციური ძალების წინააღმდეგ გამოვიდა გაერთიანებული კონტრრევოლუცია, დაწყებული მენშევიკურული ცეხტრალური კომიტეტით და გათავებული კონტრრევოლუციური გენერლებით, რომლებიც ეყრდნობოდნენ უცხოელ იმპერიალისტებს და ჯარების რეაქციულ ნაწილებს.

ბოლშევიკების პარტიამ გადაწყვიტა გონივრული გამოსავალი ეპოვნა შექმნილი ვითარებიდან. ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელმა კომისიამ ვ. ი. ლენინის მითითებით მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მოუწოდებდა მუშებს განიახლებინათ მუშაობა 7 ივლისიდან, აღარ მოეწყოთ გაფიცვა.

კონტრრევოლუცია კვლავ განაგრძობდა ცდებს, რათა პროვოკაციულად გამოეწვია ჯარისკაცთა და მუშათა გამოსვლა და გაენადგურებია ისინი ფრონტიდან გამოწვეული ჯარების დახმარებით. დროებითმა მთავრობამ 7 ივლისს გაბოსცა ბრძანება ლენინის დაპატიმრების შესახებ. პეტროგრადის სასამართლო პალატის პროკურორის ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ლენინი და სხვა ბოლშევიკები მიცემული არიან სამართალში. სახელმწიფო ღალატისა და შეიარაღებული აჯანყების მოწყობისათვის. ჯაშუშები გაფაციცებით ეძებდნენ ლენინს. პარტიამ თავისი ბელადი ღრმა იატაკქვეშეთში და-

მალა და ყოველგვარი ზომები მიიღო ორგანიზებულად უკან-
დახევისათვის. საჭირო იყო, რადაც არ უნდა დაჯდარიყო,
პარტიას შეენარჩუნებინა რევოლუციური არმია, რევოლუ-
ციური პროლეტარიატის ხელმძღვანელი ბირთვი, რათა სა-
ჭირო მომენტში სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა მტრისათვის.
ეს ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა კომუნისტურმა პარტიამ
ვ. ი. ლენინის გენიალური ხელმძღვანელობით წარმატებით
შეასრულა.

ივლისის დღეების შემდეგ საბჭოებმა ფაქტიურად ისედაც
ფორმალური ძალაუფლება მთლიანად დაჭკარგეს და თავიან-
თი მენშევიკურ-ესერული შემადგენლობით დროებითი მთავ-
რობის უბოლო დანაფატი გახდნენ. დროებითი მთავრობა,
რომელშიაც შედიოდნენ მენშევიკები და ესერები (წერეთე-
ლი, სკობელევი, კერენსკი და ჩერნოვი), დაემეა იმპერია-
ლიზმისა და კონტრრევოლუციის ჭაობში, რომელშიაც და-
იწყეს ომის პოლიტიკის განგრძობა, ხალხის დემოკრატიულ
უფლებათა ლიკვიდაციისა და რევოლუციურ ძალებთან იარა-
ღით ანგარიშის გასწორების პოლიტიკის გატარება.

ორხელისუფლებიანობა ბურჟუაზიის ერთხელისუფლებია-
ნობით შეიცვალა და ამით დამთავრდა რევოლუციის მეორე
დობიანი განვითარების პერიოდი. ივლისის დღეებში ერთ-
ხელ კიდევ საფუძვლიანად შეირყა დროებითი მთავრობის
საფუძვლები, რაც იმით დაგვირგვინდა, რომ 8 ივლისს მი-
ნისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, ლვოვის მაგიერ, კერენს-
კი დაინიშნა.

ასეთი ვითარების გამო ბოლშევიკურმა პარტიამ გადას-
წყვიტა შეეცვალა თავისი ტაქტიკა. იგი გადავიდა არალეგა-
ლურ მდგომაოეობაზე და მთელი ენერგიით იწყო მზადება
შეიარაღებული აჯანყებისათვის.

ვ. ი. ლენინმა ღრმა ანალიზი გაუკეთა 3—5 ივლისის
შემდეგ მომადარ მოვლენებს და ვითარების შესაბამისად და-
სახა ბოლშევიკების პარტიის ახალი ტაქტიკა. სტატიაში
„ლოზუნგებისათვის“ ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, რომ შეუძლე-
ბელია რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება, ივლისის
ამბების შემდეგ, შეუძლებელია ლოზუნგის „მთელი ძალა-

უფლება საბჭოებს!« ძალაში დატოვება, ვინაიდან ეს იქნებოდა ხალხის მოტყუება, თითქოს მენშევიკურ-ესერულ საბჭოებს კიდევ ჰქონდეს უნარი ძალაუფლების ხელში აღებისათვის. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ იულისის გამოცდილების შემდეგ რევოლუციურმა პროლეტარიატმა დამოუკიდებლად უნდა აიღოს თავის ხელში სახელმწიფო ხელისუფლება, აბის გარეშე რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა.

4 იულისის შემდეგ კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ, მონარქისტებთან და შავრაზმელებთან ხელიხელ ჩაკიდებულმა, შეიერთა წვრილბურჟუაზიული პარტიები – ესერები და მენშევიკები, სახელმწიფო ძალაუფლება ფაქტიურად ხელში ჩაუგდო კავეხიაკებს, სამხედრო ხროვას, რომელიც ხვრეტდა „ურჩებს" ფრონტზე, არბევდა ბოლშევიკებს პიტერში. აბის შემდეგ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რევოლუციურ ბრძოლაში დაამარცხებდნენ სამხედრო ხროვას, კავეხიაკებს, კადეტებს და მონარქისტებს. ლენინი ბოლშევიკებს მიუთითებდა, რომ სახელმწიფო ძალაუფლების ამ ახალ მფლობელთა დამარცხება შეუძლიათ მხოლოდ ხალხის რევოლუციურ მასებს, რომელთა მოძრაობის პირობას წარმოადგენს არა მარტო ის, რომ მათ პროლეტარიატი ხელმძღვანელობდეს, არამედ ისიც, რომ მათ ზურგი შეაქციონ ესერებისა და მენშევიკების პარტიებს, რომლებმაც უღალატეს რევოლუციის საქმეს.

ბოლშევიკების მორიგ ამოცანად ლენინმა დასახა შემდეგი ლოზუნგების გაბარება: 1) ხალხმა უწინარეს ყოვლისა უნდა იცოდეს სიმართლე — იცოდეს, თუ ნამდვილად ვის ხელშია სახელმწიფო ძალაუფლება; ძალაუფლება კავეხიაკების სამხედრო ხროვის ხელშია, რომელთაც მხარს უჭერს ბურჟუაზია კადეტთა პარტიის მეთაურობით, ყველა მონარქისტთან ერთად, რომლებიც მოქმედებენ ყველა შავრაზმული გაზეთების მეშვეობით. ეს ხელისუფლება უნდა დავამხოთ.

2) უნდა განვუმარტოთ ხალხს წერეთლებისა და ჩერნოვების ჯალათური როლი.

3) მთელი აგიტაცია ხალხში ისე უნდა გარდავქმნათ, რომ ეს აგიტაცია ითვალისწინებდეს სწორედ ახლანდელი რევო-

ლუცრისა და განსაკუთრებით ივლისის დღეების კონკრეტულ გამოცდილებას. ნათელი უნდა გავხადოთ გლეხთა მიერ მიწის მიღების სრული უიმედობა, ვიდრე დამხობილი არ იქნება სამხედრო ხროვის ძალაუფლება, ვიდრე მბილებული და ხალხის ნდობას მოკლებული არ იქნებიან ესერების და მენშევიკების პარტიები. ლენინი ღრმად დარწმუნებული დაბეჯითებით უხსნიდა ბოლშევიკებს, რომ ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციას ვერ დააჩხობს ვერავითარი ძალა, გარდა რევოლუციური პროლეტარიატისა. სწორედ რევოლუციურმა პროლეტარიატმა, 1917 წლის ივლისის გამოცდილების შემდეგ, დამოუკიდებლად უნდა აიღოს თავის ხელში სახელმწიფო ძალაუფლება — უანისოდ რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია. ლენინი ახასიათებდა რა საბჭოებს, ადარებდა მათ სასაკლაოზე მირეკილ ცხვრებს, რომლებიც სასაკლაოზე დაუყენებიათ და საცოდავად ბღავიან[1].

ივლისის მოვლენებმა და კონტრრევოლუციის თავაშვებულმა თარეშმა ყველა ქვეყნის პროლეტარებს დაანახვა რუსეთის ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციური და მისი მხარდამჭერი შემთანხმებლური პარტიების გამცემლური მოქმედება. მუშები და ჯარისკაცები ტოვებდნენ სხვა პარტიებს და გადადიოდნენ ბოლშევიკების მიარეზე. მუშათა კლასი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა თავისი პარტიის გარშემო, ოომლის ავტორიტეტი ყოველდღე იზრდებოდა.

კომუნისტური პარტიის ბრძოლა რუსეთის რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ლენინური გეგმის განხორციელებისათვის ახალ ფაზაში შევიდა; დღის წესრიგში მორიგ გადაუდებელ ამოცანად წამოიჭრა — რევოლუციური ბრძოლის ახალი ტაქტიკის, ახალი ლოზუნგის გამომუშავების საკითხი. საჭირო იყო, რომ ახალი ვითარების შესაბამისი გეზი კარგად შეეგნო არა მარტო ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელ ბირთვს, არამედ მშრომელი მასების ფართო ფენებს, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 223.

ეს უდიდესი ამოცანა შეასრულა ბოლშევიკების პარტიის მეექვსე ყრილობამ, რომლის ყველა გადაწყვეტილება მიმართული იყო შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებისაკენ. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ვ. ი. ლენინი ყოველ მარჯვე მომენტში ცდილობდა რევოლუციის მშვიდობიან განვითარებას, იგი გულმოდგინედ ზრუნავდა თითოეულ ნაბიჯს, ღრმა მეცნიერულ ანალიზს უკეთებდა კლასებისა და პარტიების თანაფარდობას.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკების პარტიამ უკვე აიღო გზა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებისაკენ, ვ. ი. ლენინი 1917 წლის 1 სექტემბერს ერთგვარ შესაძლებლად მიიჩნევდა კომპრომისს წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან— ესერებთან და მენშევიკებთან, მხოლოდ გამონაკლისის სახით და განსაკუთრებული მდგომარეობის გამო. ასეთ დათმობად ლენინი თვლიდა ბოლშევიკური პარტიის დაბრუნებას ივლისამდელი მოთხოვნებისაკენ: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს, წერდა ლენინი, საბჭოების წინაშე პასუხისგებელი მთავრობა ესერებისა და მენშევიკებისაგან.

ახლა, და მხოლოდ ახლა, იქნებ სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ან ერთ-ორ კვირაში, შეიძლებოდა შექმნილიყო და სავსებით მშვიდად განმტკიცებულიყო ასეთი მთავრობა. მას შეეძლო უზრუნველეყო... მთელი რუსეთის რევოლუციის მშვიდობიანი წინსვლა და უაღრესად დიდი შანსები იმისა, რომ მსოფლიო მოძრაობა დიდ ნაბიჯებს გადადგამდა წინ— ზავისაკენ და სოციალიზმის გამარჯვებისაკენ.

ბოლშევიკებს, მსოფლიო რევოლუციის მომხრეებს, რევოლუციური მეთოდების მომხრეებს, მხოლოდ რევოლუციის ამ მშვიდობიანი განვითარების გულისათვის — ისტორიაში მეტისმეტად იშვიათი და მეტისმეტად ძვირფასი შესაძლებლობის, უაღრესად იშვიათი შესაძლებლობის გულისათვის, მხოლოდ ამის გულისათვის შეუძლიათ, ჩემი აზრით, დასთანხმდნენ და კიდევაც უნდა დასთანხმდნენ ასეთ კომპრომისს“ [1].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 371.

შემდეგ ლენინი იძლევა განმარტებას და აღნიშნავს: კომპრომისი იქნებოდა ის, რომ ბოლშევიკები პრეტენზიას არ განაცხადებდნენ მთავრობაში მონაწილეობაზე (თუ ფაქტიურად არ განხორციელდა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის პირობები), უარს იტყოდნენ პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ხელში ძალაუფლების გადასვლის დაუყოვნებლივ მოთხოვნაზე, ამ მოთხოვნისათვის ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებზე.

ამისათვის პირობა იქნებოდა, ჯერ ერთი, სრული თავისუფლება აგიტაციისა და დამფუძნებელი კრების მოწვევისა, მეორე, კომპრომისის განხორციელების შემდეგ, მენშევიკები და ესერები, როგორც მთავრობის ბლოკი, დასთანხმდებოდნენ შეედგინათ მთლიანად და მარტოოდენ საბჭოების წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა; ადგილებზე მთელი ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავიდოდა.

ლენინი ვარაუდობდა, რომ ბოლშევიკებისათვის „აგიტაციის ნაძდვილი, სრული თავისუფლება და ახალი დემოკრატიზმის დაუყოვნებლივ განხორციელება საბჭოების შედგენაში (მათი გადარჩევა) და ნათ მოქმედებაში თავისთავად უზრუნველყოფდნენ რევოლუციის მშვიდობიან წინსვლას*, პარტიული ბრძოლის მშვიდობიან აღმოფხვრას საბჭოების ბიგნით“ [1].

რევოლუციური მოვლენები მეტისმეტად თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდებოდა. კორნილოვის ამბოხების გაანადგურების შემდეგ, როდესაც წამოიჭრა დროებითი მთავრობის ახალი შემადგენლობის შედგენის საკითხი, მენშევიკებმა და ესერებმა გამოიტანეს გადაწყვეტილება არ შესულიყვნენ მთავრობაში კადეტებთან ერთად. მთავრობის კრიზისი გადაწყდა იმით, რომ შეიქმნა დირექტორია 5 კაცის შემადგენლობით (კერენსკი, ტერეშჩენკო, ვერხოვსკი, ზერდერევსკი, ნიკიტინი). დირექტორიაში მართალია არ იყვნენ კადეტები, მაგრამ მათი ფარული მხარდაჭერით მოხდა არჩევა მთავრობის ახალი შემადგენლობის.

---

* ხაზი ჩემია—ა. კ.

[1] ვ. ი. ლენინი, თხს., ტ. 25, გვ. 372.

ძეხშევიკებმა და ესერებმა სრულიად რუსეთის ცკ-ის სხდომაზე 1917 წლის 2 სექტემბერს გამოიტანეს გადაწყვეტილება მხარი დაეჭირათ დირექტორიისათვის. ხელისუფლების გამწვავებული კრიზისის დროს, როდესაც კორნილოვი მიწასთან იყო გასწორებული, მენშევიკები და ესერები ამგვარი ღონისძიებით ერთხელ კიდევ დაეხმარნენ მემამულეებსა და კაპიტალისტებს შეენარჩუნებინათ ძალაუფლება თავის ხელში, ერთხელ კიდევ დაეხმარნენ კონტრრევოლუციურ კადეტებს—გაებრუებინათ მუშები და გლეხები.

თებერვლიდან სექტემბრამდე მომხდარი ამბები სწრაფად ვითარდებოდა. სამჯერ განიცადა ხელისუფლებამ წვავე კრიზისი, რომელიც ყოველთვის თავდებოდა ბურჟუაზიასთან შეთანხმებით, ამასთან ყოველთვის მუშები და გლეხები რჩებოდნენ გაბრუებულნი. ეს იმიტომ, რომ „ესერებისა და მენშევიკების წვრილბურჟუაზიული პარტიები, ძალაუფლებისათვის ბრძოლაში რომ ერეოდნენ, ყოველთვის მემამულეებისა და კაპიტალისტების მხარეზე დგებოდნენ და საქმეს კადეტების სასარგებლოდ წყვეტდნენ“ [1].

ამ დებულებას ნათლად ადასტურებს წვრილბურჟუაზიული პარტიების განვითარება თებერვლიდან ოქტომბრამდე. 28 თებერვალს ესერებმა და მენშევიკებმა პეტროგრადის საბჭოში აღუთქვეს პირობითი მხარის დაჭერა ბურჟუაზიულ მთავრობას, 6 მაისს იხსნეს იგი კრახისაგან, როცა მათი მოსამსახურეების როლში გამოვიდნენ ფრონტზე შეტევის დაწყებასთან დაკავშირებით; 9 ივნისს ისინი შეუერთდნენ კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას რევოლუციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში; მოიწონეს იმპერიალისტური ომის განახლება, ხოლო 3 ივლისს ისინი დათანხმდნენ რეაქციული ჯარების გამოწვევას ფრონტიდან, რათა სისხლში ჩაეხშოთ რევოლუციური გამოსვლები. ესერები და მენშევიკები საბოლოოდ დაეშვნენ კონტრრევოლუციის ბაობში.

---

[1] ი. ბ. სტალინი., თხზ., ტ. 3, გვ. 305.

ბოლშევიკების პარტია იყო ერთადერთი თანმიმდევარი რევოლუციური პარტია, რომელიც სოციალისტური რევოლუციისათვის გულმოდგინედ რაზმავდა მრავალმილიონიან მშრომელ მასებს; პარტია ზრდიდა მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ერთს ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების ურყევი რწმენით. ამ დიადი მიზნის განხორციელებისათვის კომუნისტებს ყველაზე ხელსაყრელ და ყველაზე სასურველ გზად მიაჩნდა და მიაჩნია მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ხელში ძალაუფლების მშვიდობიანი გზით გადასვლა. თუ პრაქტიკულად ჩვენი ქვეყნის ხალხს წილად არა ხვდა ამ ფრიად ხელსაყრელი გზით კაპიტალიზმის ერთი მთლიანი ჯაჭვის გარღვევა, სამაგიეროდ მან უდიდესი როლი შეასრულა ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების პრაქტიკულ-რევოლუციურ მოღვაწეობაში, სადაც საქმე ისე დამთავრდა, რომ სამოქალაქო ომი არ ყოფილა, იქ ძირითადად მშვიდობიანი გზით განხორციელდა მშრომელი ხალხის უმრავლესობის ხელში სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა და სოციალიზმის მშენებლობის დაწყება.

* * *

რევოლუციური მოძრაობის მშვიდობიანი გზით მუშათა კლასის ხელში სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მარქსიზმ ლენინიზმის თეორიულ საგანძურში, კომუნისტური პარტიის პრაქტიკულ-რევოლუციურ მოღვაწეობაში.

მარქსისტ-ლენინელები, წინააღმდეგ რეფორმისტებისა და ოპორტუნისტებისა, აღიარებენ კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებად რევოლუციური გზით გარდაქმნის აუცილებლობას, მაგრამ ეს სრულიად არ გამორიცხავს რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობის აღიარებას. თქმა იმისა, რომ თითქოს კომუნისტებს საზოგადოების გარდაქმნის ერთადერთ გზად

ძალადობა და სამოქალაქო ომი მიიჩნია, სინამდვილეს არ შეესაბამება.

მუშათა კლასის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვების ხერხები, სოციალისტური რევოლუციის განხორციელების გზები არ შეიძლება ერთნაირი იყოს სხვადასხვა ქვეყნისათვის, სხვადასხვა საერთაშორისო ვითარებაში. ყველაფერი დამოკიდებულია კლასობრივი ძალების თანაფარდობაზე მუშათა კლასისა და მისი მოწინააღმდეგეების ორგანიზებულობის დონეზე, ცალკეული ქვეყნის საზოგადოებრივ დაწესებულებებსა, ზნეჩვეულებებსა და ტრადიციებზე.

სოციალიზმს ყველა ერი განახორციელებს, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, მაგრამ ყველა ერთნაირად როდი განახორციელებს, თვითეული შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ფორმებში, პროლეტარიატის დიქტატურის სახესხვაობაში.

ისტორიულმა გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა ლენინის ეს გენიალური დებულება. ამჟამად საზოგადოების გარდაქმნის საბჭოთა ფორმასთან ერთად გვაქვს სახალხო დემოკრატიის ფორმა.

ცნობილია, რომ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება მეტად იშვიათი და ძნელი რამაა, რადგან რევოლუცია არის კლასობრივ წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავება, მაგრამ განსაკუთრებულ ისტორიულ მომენტში, როგორიც იყო ინგლისში გასული საუკუნის 70-იან წლებში, სადაც მუშებს შეეძლოთ მშვიდობიანი საშუალებებით მიეღწიათ თავიანთი მიზნისათვის, და თავისებურ ისტორიულ ვითარებაში, როგორც რუსეთში შეიქმნა 1917 წლის თებერვლის შემდეგ—რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის დროს შესაძლებელიც იყო და მოსალოდნელიც.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთი, მეომარ ქვეყნებს შორის, ყველაზე უფრო დემოკრატიული გახდა. მშრომელი მასების რევოლუციურმა შემოქმედებამ შექმნა ფართო დემოკრატიული დაწესებულებანი მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა, მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოები, პროფკავშირები, საფაბრიკო-

საქარხნო კომიტეტები, გლეხთა კომიტეტები, რევოლუციური ახალგაზრდობის ორგანიზაციები და სხვ. ყველა ამ დაწესებულებებში კომუნისტური პარტიის უაღრესად ენერგიული და შეუპოვარი მუშაობის შედეგად მტკიცედ ჩამოყალიბდა ხალხთა მასების ნება-სურვილი — განეხორციელებინათ თავიანთი ცხოვრების სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში სახელმწიფო ძალაუფლების მშვიდობიანად გადასვლის გზით.

მიუხედავად კომუნისტური პარტიის უაღრესად გულმოდგინე მოღვაწეობისა მშვიდობიანი გზით წარემართა სოციალისტური რევოლუციის განხორციელების საქმე, 1917 წლის ივლისის ამბების შემდეგ, შეუძლებელი გახდა საბჭოების ხელში ძალაუფლების მშვიდობიანი გზით გადასვლა. ბურჟუაზიამ იერიში მიიტანა რევოლუციური ძალების წინააღმდეგ. ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდა მუშათა მშვიდობიან დემონსტრაციებს. შეცვლილი ვითარების გამო კომუნისტების პარტია იძულებული გახდა დაეწყო მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის, რათა ძალით გაეტეხა ბურჟუაზიის წინააღმდეგობა.

კაპიტალიზმის ერთიანი მსოფლიო სისტემის ჯაჭვის გასარღვევად რუსეთის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობისათვის აუცილებელი გახდა რევოლუციური ძალდატანების გამოყენება, სოციალისტური- რევოლუციის შეიარაღებული აჯანყების გზით განხორციელება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მსოფლიოში მოხდა ძირეული ცვლილებები, რომლის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს სოციალიზმის მძლავრი ბანაკის წარმოშობა, მისი თანდათან განმტკიცება და გაძლიერება. მსოფლიოში შექმნილ კლასობრივ ძალთა ახალი თანაფარდობის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე სკკ პარტიის XX ყრილობაძ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული საგანძურიდან სავსებით დროულად და სამართლიანად წინა პლანზე წამოსწია სოციალიზმში სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის ფორმების საკითხი და თავის რეზოლუციაში გააკეთა ახალი მეცნიერული დასკვნები, რომლებსაც უდიდესი ისტორიული

ვნიშვნელობა აქვს მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების პრაქტიკულ-რევოლუციურ მოღვაწეობაში. სოციალიზმმა გაიმარჯვა საბჭოთა კავშირში და იმარჯვებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ამიტომ სხვა ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება. ოიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასს „თანამედროვე პირობებში რეალური შესაძლებლობა აქვს გააერთიანოს თავისი ხელმძღვანელობით ხალხის დიდი უმრავლესობა და უზრუნველყოს წარმოების ძირითად საშუალებათა გადასვლა ხალხის ხელში“ [1].

პარტიის XX ყრილობის მიერ მიღებული ახალი დებულება გამომდინარეობს სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიიდან და ამავე დროს წარმოადგენს მის შემდგომ განვითარებას, რომელსაც უდიდესი ისტორიული ვნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე.

---

[1] სკკპ XX ყრილობის რეზოლუციები, გვ. 13.

შ ი ნ ა ა რ ს ი

თ ა ვ ი I. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარება

თ ა ვ ი II. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში მშვიდობიანი გადაზრდისათვის ბრძოლის ლენინური გეგმა 63

1. ვ. ი. ლენინი რუსეთის პროლეტარიატის ამოცანების შესახებ რევოლუციის გარდამავალ ეტაპზე 63

2. ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა ლენინის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის . 11[illegible]

რედაქტორი ა. ირემაძე
გამომცემ. რედაქტორი ვ. შალამბერიძე
მხატვარი კ. ალიმბარაშვილი
ტექრედაქტორი გ. იაშვილი
კორექტორი თ. მაჩაბელი

გადაეცა წარმოებას 24/VII-1957 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/X-1957 წ.
ქაღალდის ზომა 84×108 1/32. ფიზ. ნაბ.
თაბახი 5,6. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9,02.
სააღრიცხვ.-საგამომცემ. თაბახი 7,92.
უე 03252. შეკვეთის № 825. ტირაჟი 3000.
ფასი 3 მ. 35 კაპ.

•

საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
თბილისი, მარჯანიშვილის ქ., 5.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომ-
ცემლობის 1-ლი სტამბა. თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.

1-я типография Главполиграфиздата Министерства
культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

Александр Николаевич Кобандзе

Борьба коммунистической партии за осуществление ленинского плана мирного развития русской революции (март—июль 1917 г.).

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси 1957